ISSN 0206—5681

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-ფ/2
1983

## ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია

2. 1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1983, № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

# ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია

# СЕРИЯ ФИЛОСОФИИ И ПСИХОЛОГИИ

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

2. 1983

გამომცემლობა „მეცნიერება" • თბილისი
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА» • ТБИЛИСИ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო  კ ო ლ ე გ ი ა:

თ. ბუაჩიძე, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), გ. თევზაძე, ვ. კეშელავა, ზ. მიქელაძე, რ. ნათაძე, შ. ნადირაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი), ო. ჯიოევი (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი ც. **შალამბერიძე**

Р Е Д А К Ц И О Н Н А Я  К О Л Л Е Г И Я:

Буачидзе Т. А., Григолава В. В. (*зам.* ***редактора***), **Джиоев** О. И. (***зам.*** *редактора*), Кешелава В. В., Микеладзе З. Н., Натадзе Р. Г., Надирашвили Ш. А., Прангишвили А. С., Тевздзе Г. Б., Чавчавадзе Н. З. (*редактор*).

Ответственный секретарь **Ц. А. Шаламберидзе**

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1983.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს  მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
**ტელეფონი 37-95-46 телефон**

გადაეცა წარმოებას 12.4.83; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.7.83; შეკვ. № 1255;
**ანაწყობის ზომა** $7 \times 11^1/_2$; **ქაღალდის ზომა** $7 \times 108^1/_{16}$; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 10.5; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,5; უე 08254; ტირაჟი 750;
**ფასი 85 კაპ.**

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

# შინაარსი

## მარქსის დაბადების 165 და გარდაცვალების 100 წლისთავი

ლ. ტაბიძე, ადამიანის ბიოგენეზისა და სოციოგენეზის ურთიერთობის პრობლემა კ. მარქსის ფილოსოფიურანთროპოლოგიურ კონცეფციაში . . . . . 5
გ. ნოდია, კ. მარქსი შრომისა და თამაშის მიმართების შესახებ . . . . . 16

## ფილოსოფია

მ. დოლიძე, ენა და რეალობა სუბიექტ-ობიექტის განსხვავებულ მიმართებებში . . 30
ნ. მშვენიერაძე, ადამიანის ადგილი კანტის ტელეოლოგიურ სისტემაში . . . 36
ა. კუკანია, კ. პოპერი და პოსტპოზიტივიზმი . . . . . . . . 43

## ფსიქოლოგია

ვ. ნორაკიძე, პიროვნების თვისებები და ფიქსირებული განწყობა . . . . . 55
ნ. ყიფიანი, ზნეობრივისა და შემოქმედებითის ურთიერთგაპირობებულობა განწყობის თეორიაში . . . . . . . . . . 68
ე. მაღრაძე (ქუთაისი), დადებითი და უარყოფითი შეფასების მოტივაციური როლი დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მნემურ აქტივობაში . . . . . . 81
თ. ბაგოშიძე, ობიექტებით აზრობრივი მანიპულირების დარღვევა ტვინის მარჯვენა და მარცხენა ჰემისფეროების უკანა ნაწილების დაზიანების დროს . . . . 90
ლ. ბალანჩივაძე, მუსიკალურ-საშემსრულებლო ქცევა და მისი მოტივაცია . . . 103

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მ. ჭელიძე, მ. მაჭავარიანი, ვ. ნიბლაძე, მნიშვნელოვანი ისტორიულ-ფილოსოფიური გამოკვლევა სოკრატეს შესახებ . . . . . . . . 117

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# СОДЕРЖАНИЕ

## К 165-ЛЕТИЮ РОЖДЕНИЯ И 100-ЛЕТИЮ КОНЧИНЫ К. МАРКСА

О. И. ТАБИДЗЕ, Проблема соотношения биогенеза и социогенеза человека в философско-антропологической концепции К. Маркса . . . . . 5
Г. О. НОДИА, К. Маркс о соотношении труда и игры . . . . . 16

## ФИЛОСОФИЯ

М. Г. ДОЛИДЗЕ, Язык и реальность в различных отношениях субъекта и объекта . . . . . 30
Н. З. МШВЕНИЕРАДЗЕ, Место человека в телеологической системе Канта . 36
А. Ш. КУКАНИЯ, К. Поппер и постпозитивизм . . . . . 43

## ПСИХОЛОГИЯ

Вл. Г. НОРАКИДЗЕ, Свойства личности и фиксированная установка . . 55
Н. В. КИПИАНИ, Взаимообусловленность нравственного и творческого в теории установки . . . . . 68
М. Г. МАГРАДЗЕ (Кутаиси), Мотивационная роль положительной и отрицательной оценки в мнемической активности учащихся младших классов . 81
Т. Ш. ГАГОШИДЗЕ, Нарушения мысленного манипулирования объектами при поражении задних отделов левого и правого полушария мозга . . 90
Л. В. БАЛАНЧИВАДЗЕ, Музыкально-исполнительское поведение и его мотивация . . . . . 103

## КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

М. И. ЧЕЛИДЗЕ, М. И. МАЧАВАРИАНИ, В. А. НИБЛАДЗЕ, Ценное историко-философское исследование о Сократе . . . . . 117

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მარქსის დაბადების 165 და გარდაცვალების 100 წლისთავი

ოთარ ტაბიძე

## ადამიანის ბიოგენეზისა და სოციოგენეზის ურთიერთობის პრობლემა კ. მარქსის ფილოსოფიურანთროპოლოგიურ კონცეფციაში

17.567

როგორც ცნობილია, კ. მარქსის ნააზრევი ერთიან სისტემას წარმოადგენს და მოიცავს ფილოსოფიას, პოლიტიკურ ეკონომიას და სოციალიზმის თეორიას. მაგრამ თუ შევეცდებოდით ერთი ფრაზით გადმოგვეცა ამ ნააზრევის არსი, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ეს არის მოძღვრება ადამიანის განთავისუფლების შესახებ. კ. მარქსი გვიხატავს ადამიანის ადამიანურობასმოკლებულ ყოფიერებას სხვადასხვა ისტორიულ პირობებში, განსაკუთრებით — კაპიტალისტური წყობილებისას, აშკარავებს კაცობრიობის ულმობელ ისტორიას, მის მამოძრავებელ ბევრ ცხოველურ და ეგოისტურ მექანიზმებს, ისტორიის ობიექტურ მამოძრავებელ ძალებს, მის დეტერმინირებულობას საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების კანონზომიერებებით, მაგრამ საბოლოოდ და არსებითად მისი მოძღვრება ჰუმანიზმია, კაცობრიობის საოცნებო მომავლის აუცილებლობას აღიარებს უმაღლეს ღირებულებად და ასაბუთებს; ამ მომავლისათვის, ნამდვილი ადამიანური ყოფიერების დამკვიდრებისათვის, ბრძოლის გზებსა და საშუალებებს ადგენს.

ამიტომ გასაგებია, რომ კ. მარქსის ერთიან მოძღვრებაში ადამიანის ფილოსოფიურ პრობლემებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. პირველ რიგში, ცხადია, აქ იგულისხმება ამოსავალი ფილოსოფიურანთროპოლოგიური საკითხი ადამიანის არსის შესახებ. კ. მარქსი ერთიანობაში განიხილავს ადამიანის არსისა და კაცობრიობის ისტორიის პრობლემებს. როგორც ცნობილია, ისტორიზმის პრინციპი მარქსისეული აზროვნების მიუცილებელი ნიშანია. ამ პრინციპის თანახმად, ადამიანის არსის პრობლემა და კაცობრიობის ისტორიის პრობლემა, რომელიც ანთროპოგენეზისის საკითხსაც მოიცავს, ერთიანი პრობლემაა: ერთი მხრივ, ადამიანის არსს შეუძლებელია ვწვდეთ ისტორიისაგან მოწყვეტით, და, მეორე მხრივ, თვით კაცობრიობის ისტორიის განხილვა ადამიანის არსის ასეთ თუ ისეთ გაგებას გულისხმობს. აქ მკაფიოდ უნდა აღინიშნოს, რომ, წინააღმდეგ საკმაოდ გავრცელებული ზედაპირული გაგებისა, არსობრივი და ისტორიული თვალსაზრისების ერთიანობა გულისხმობს არა თითოეული მათგანის დამოუკიდებელი მნიშვნელობის წაშლას, არამედ, პირიქით, მათს დადგენას. დიალექტიკა, როგორც ყოველი განვითარების თვალსაზრისი, იმას გულისხმობს, რომ ისტორიის გარეშე შეუძლებელია განვითარების ტენდენციის დადგენა, ვერ ვწვდებით ნამდვილ არსს, რომლის ქმნადობის მექანიზმი ამ ტენდენციაშია მოცემული, თავისთავად კი, რა თქმა უნდა, რაიმე არსის მოაზრება ისტორიის გარეშეცაა შესაძლებელი. ისტორია, თავის მხრივ, ნამდვილ ისტორიად მხოლოდ მაშინ შეიძლება იქცეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა რაიმე გარკვეულობის, რაიმე არსის ქმნადობის ისტორია იქნება; თავისთავად კი, ყოველ შემთხვევაში, შემეცნების დაბალ საფეხურებზე, ისტორია ნაკლებად არსებითის და თვით მოვლენის ისტორიადაც შეიძლება გვევლინებოდეს.

კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის საერთო კონცეფციის მიხედვით, ადამიანში თანაარსებობენ განვითარების სხვადასხვა დონეები, რომელთა შორისაც არის ბიოლოგიური და სოციალური (ზოგადად ამ თანაარსებობის შემდეგი სტრუქტურა შეიძლება დავადგინოთ: ფიზიკური სინამდვილიდან ბიოლოგიურის და ფსიქიკურის გავლით ეს დონეები სოციალურსა და გონითს აღწევენ) [8]. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ბიოლოგიის კანონებსაც ემორჩილება და ამავე დროს იგი საზოგადოებრივი არსებაცაა, ემორჩილება საზოგადოებრივი ცხოვრების კანონებს, თვითონვე მონაწილეობს მათს დადგენაში. ამასთან, ეს უკანასკნელნი შეუძლებელია ბიოლოგიურ კანონებზე იქნან დაყვანილი. კ. მარქსის მოძღვრება, არსებითად რომ ვთქვათ, ადამიანთა საზოგადოების განვითარების სპეციფიკას ეხება და მკვეთრად უსვამს ხაზს ცხოველთა სამყაროს კანონზომიერებებთან მის საერთო, განსხვავებულ და საპირისპირო მომენტებს. ამ კონცეფციის საფუძველზე ფრ. ენგელსი ებრძოდა ადამიანთა საზოგადოებაზე ცხოველთა სამყაროს კანონების უპირობო გადატანას, მაგალითად, არსებობისათვის ბრძოლის კანონის პირდაპირ გადატანას [3, გვ. 333—336]. მარქსმა ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი გამოიკვლია და იმას ასაბუთებდა, რომ ამ კანონზომიერებათა საფუძველზე ბოლოს ადამიანთა საზოგადოება ცხოვრების ცხოველური პირობებისაგან განთავისუფლდება, თავს დააღწევს კერძო არსებობისათვის ბრძოლას და ანარქიას საზოგადოებრივ წარმოებაში, რაც მასში მთლემარე ადამიანური არსობრივი ძალების თავისუფალ განვითარებას გამოიწვევს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, თითქოს ადამიანი ბიოლოგიურ კანონზომიერებებსაც არ ექვემდებარება. ადამიანი როგორც ცოცხალი არსება შეუძლებელია ამ კანონზომიერებების გარეშე მოვიაზროთ. მაგრამ აქ საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა.

არის ბიოლოგიური კანონზომიერებები, რომელნიც თავისი სახით არიან შენარჩუნებული ადამიანის საფეხურზეც. ამისაგან განსხვავებით, არის ისეთი ბიოლოგიური კანონზომიერებები, რომლებიც უპირისპირდებიან სოციალურ კანონზომიერებებს, ადამიანში ისინი შენარჩუნებული არიან მხოლოდ მოხსნილი სახით, მათ ნიადაგზე აიგება ისეთი ახალი, ადამიანისათვის სპეციფიკური ბიოლოგიური მექანიზმი, რომელსაც საპირისპირო შედეგამდე მივყავართ. ასეთია, მაგალითად, ადამიანის ხელის, ტვინის და სხვა ნაწილთა ბიოლოგიური თავისებურება — ისინი საზოგადოებრივი შრომის, ბუნების გარდამქმნელი მოღვაწეობის მიზნის შესაბამისად არიან მოწყობილი, რასაც ვერ ვპოვებთ ცხოველთა სამყაროში.

გავრცელებული შეხედულების მიხედვით, მარქსიზმის ფუძემდებლები ადამიანის ბიოლოგიურ და სოციალურ განვითარებას, მაშასადამე, ბიოგენეზსაც და სოციოგენეზსაც, ერთ მთლიან პროცესად განიხილავენ. ეს უდავოდ სწორი შეხედულებაა, ოღონდ არასწორი იქნებოდა თუ მას ისე გავიგებდით, თითქოს ბიოანთროპოგენეზი და სოციოანთროპოგენეზი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ასპექტებსაც არ წარმოადგენენ. წინამდებარე ნაშრომის ძირითადი ამოცანა სწორედ იმის ჩვენებაა, რომ, მიუხედავად ამ ორი ასპექტის ერთიანობისა, ისინი გარკვეულ დამოუკიდებლობასაც ფლობენ და, მეტიც, ერთი ასპექტით განვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თარება არ ნიშნავს მეორე ასპექტით განვითარებას, კერძოდ — ბიოანთროპოგენეზი, არსებითად რომ ვთქვათ, დასრულებულია, მაშინ როცა სოციოანთროპოგენეზი არსებითად საჭიროებს დასრულებასა და სრულყოფას.

მაგრამ ამ საკითხის განხილვისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ, როგორ ესმის კ. მარქსს ადამიანის არსი.

აქვს თუ არა მას არსი და, თუ აქვს, რაში მდგომარეობს იგი? კ. მარქსის ფილოსოფიურ კონცეფციაში ადამიანის არსის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის გაუცხოების საკითხს. ამ შეხედულების თანახმად, ადამიანის არსი დაფარულია, რამდენადაც თავისი არსის შესატყვის ნამდვილ ადამიანს ჩვენ ვერ ვპოვებთ საზოგადოებრივი ცხოვრების აქამდე არსებულ ფორმებში, რომელთათვისაც დამახასიათებელია ერთი ადამიანის (კლასის) მიერ მეორის ექსპლოატაცია, რაც ასახიჩრებს ადამიანს (როგორც ექსპლოატატორს, ისე ექსპლოატირებულს), ართმევს მას საკუთარ ადამიანურ ბუნებას. ეს გამოიხატება ადამიანის გაუცხოებაში. მარქსი, ერთი მხრივ, მკაცრად აკრიტიკებს ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ წყობილებას, სადაც ადამიანის თავისუფლებებს ქადაგებენ, მაგრამ ადამიანის გაუცხოება შენიღბული სახით საოცრად დიდ მასშტაბებს აღწევს, მეორე მხრივ კი იგი იკვლევს საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებებს, რომელნიც ამ გაუცხოებას განაპირობებენ. ამ კანონზომიერებათა აღმოჩენა არამარტო მომავალი ადამიანური საზოგადოების პროგნოზირების საშუალებას იძლევა, არამარტო ადამიანის გაუცხოების ლიკვიდაციის გარდაუვალობას უჩვენებს საერთოდ, არამედ მოწოდებულია ის გზებიც განსაზღვროს, რომელიც კაცობრიობამ უნდა გაიაროს საზოგადოების ცხოვრების ამ ძირეული გარდაქმნების განხორციელებისათვის.

ადამიანის არსი, კ. მარქსის კონცეფციის მიხედვით, მდგომარეობს გარდამქმნელ, შრომით მოქმედებაში, შემოქმედებით მოღვაწეობაში. ეს არის როგორც გარემოს, ისე საკუთარი თავის გარდაქმნის, თვითშექმნის პროცესი. თავისი ქმნადობის ამ პროცესში ადამიანი გარდაუვალად ახდენს არამარტო გარემოს, არამედ თავისი თავის გასაგნებას, ობიექტივაციას. ხდება, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის შრომის გასაგნება. შ რ ო მ ი ს პროცესში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს თვით ამ შრომის გასაგნებას, განივთებას. ასევე ხდება ადამიანის სულიერი ძალების გასაგნებაც. გასაგნება ადამიანის არსებითი ნიშანია. მაგრამ ეს ასე იქნებოდა მხოლოდ მაშინ, შრომის გასაგნებას ადამიანისადმი მისი დაბრუნება რომ მოჰყოლოდა, ადამიანი რომ თვითონვე ითვისებდეს თავისი შრომის შედეგს, მოიხმარდეს მას, იკმაყოფილებდეს მისით თავის მოთხოვნილებას, რაც შეადგენდა წარმოების პროცესის მიზანს. მაგრამ, ამტკიცებს კ. მარქსი, სინამდვილეში შრომის პროდუქტი სრულად როდი უბრუნდება მის შემქმნელს, მას სხვები ითვისებენ, ხოლო იმისთვის, ვინც მასშია გასაგნებული, იგი იქცევა არა სიმდიდრის, არამედ სიღარიბისა და მონობის წყაროდ. ასეთ გასაგნებას, სადაც ადამიანის მიერ შექმნილი პროდუქტი მტრულად უპირისპირდება თვითონ შემქმნელს, მარქსი გაუცხოებას უწოდებს. კ. მარქსი ადრეულ ნაწერებშიც და შემდგომ ნაწარმოებებშიც მიუთითებს გაუცხოების ორ სახეზე — ეკონომიურ და სულიერ გაუცხოებაზე — და ამ უკანასკნელს პირველის შედეგად მიიჩნევს. ეკონომიური გაუცხოება რომ სულიერ გაუცხოებას განაპირობებს, ამის შესახებ მარქსი ჯერ კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავის „ეკონომიურ-ფილოსოფიურ ხელნაწერებში“ მიუთითებდა. „რელიგიური გაუცხოება, — წერს კ. მარქსი, — ხდება მხოლოდ ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ი ს სფეროში, ადამიანის შინაგანი სამყაროს სფეროში, მაგრამ ეკონომიური გაუცხოება არის ნამდვილი ცხოვრების გაუცხოება, — ამიტომ მისი ლიკვიდაცია ორივე მხარეს მოიცავს“ [7, ტ. 42, გვ. 117]. შემდგომ განვითარებას ეს აზრი იღებს კ. მარქსის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკაში“ და სხვა შრომებში, ხოლო მარქსის „კაპიტალში“ ღრმადაა გამოკვლეული გაუცხოების მთელი მექანიზმი. გაუცხოება ვლინდება არა მარტო შრომის საბოლოო პროდუქტთან მიმართებაში, არამედ თვითონ შრომის პროცესში: „თვითონ წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა ქ ტ შ ი, თვითონ წ ა რ მ ო ე ბ ი თ ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა შ ი... შრომა მუშისათვის წარმოადგენს რაღაც გ ა რ ე გ ა ნ ს, მის არსს რომ არ მიეკუთვნება;... იგი თავის შრომაში თავის თავს კი არ იკმაყოფილებს, არამედ უარყოფს... ესაა ი ძ უ ლ ე ბ ი თ ი შ რ ო მ ა. ეს შრომის მოთხოვნილების დაკმაყოფილება კი არაა, არამედ მხოლოდ ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ა ყოველგვარი სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა, მაგრამ არა შრომის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა“ [7, ტ. 42, გვ. 90—91]. ეს შეეხება წარმოების ყველა ისეთ წესს, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა ისეთ ფორმას, რომლებიც ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ექსპლოატაციას ემყარებიან. „...შრომის ისეთ ისტორიულ ფორმებში, როგორიცაა მონური, საბეგარო, დაქირავებული შრომა, შრომა ყოველთვის გვეძლევა როგორც რაღაც საზიზღარი, ყოველთვის წარმოადგენს გ ა რ ე გ ა ნ ი ძ უ ლ ე ბ ი თ შ რ ო მ ა ს, ხოლო მისი საპირისპირო არა-შრომა ყოველთვის გვეძლევა როგორც თავისუფლება და ბედნიერება“ [7, ტ. 46², გვ. 110]. როდესაც ვამბობთ, რომ კ. მარქსის კონცეფციის მიხედვით, ადამიანის შინაგან ბუნებას შეადგენს შრომა, უნდა მკაფიოდ მივუთითოთ, რომ ეს არის არა გარეგანი იძულებითი შრომა, არამედ შრომა შინაგანი მოთხოვნილებით, შემოქმედებითი საქმიანობა, ქცევა, რომელიც შემოქმედებითი მოღვაწეობის გაშლის მოთხოვნილებას ემყარება. საქმე ისაა, რომ არსებობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი წარმოება იწვევს ცოცხალი არსების ბიოლოგიურ და სოციალურ გარდაქმნებს, წარმოშობს საზოგადოებრივად მწარმოებელ არსებას — ადამიანს და თვით ეს შრომა უკვე ადამიანის მოთხოვნილებად იქცევა. ადამიანი არის ცოცხალი არსება, რომელსაც შემოქმედებითი ძალების გაშლის მოთხოვნილება აქვს და ვინც შემოქმედებაში პოულობს თვითდადგინებას. მაგრამ გაუცხოება გაშლის საშუალებას არ აძლევს ადამიანის არსობრივ, შემოქმედებით ძალებს, ასახიჩრებს ადამიანს, ართმევს მას მის საკუთარ ბუნებას. ასეთ პირობებში ადამიანი „თავისუფლად კი ვერ ავითარებს თავის ფიზიკურ და სულიერ ენერგიას, არამედ ქანცავს თავის ფიზიკურ ბუნებას და არღვევს თავის სულიერ ძალებს“ [7. ტ. 42, გვ. 90].

გაუცხოება, კ. მარქსის მოძღვრების მიხედვით, გაპირობებულია საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობით, წარმოების წესით, რომელიც ემყარება კერძო საკუთრებას და საზოგადოებრივი შრომისათვის დამახასიათებელ შრომის დანაწილებას. მარქსის ამ დებულებას განმარტავს ენგელსი თავის ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“. იგი მიუთითებს, რომ შრომის პროდუქტის გაცვლის და ფულის, როგორც მწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რმოებელთა შორის შუამავლის, გაჩენასთან ერთად მწარმოებლები კარგავენ კონტროლს თავისი შრომის შედეგზე, რაც მათი შრომის მითვისების საშუალებას აძლევს სხვებს [4, ტ. 2, გვ. 316, 389]. კერძო საკუთრება და შრომის დანაწილება სასაქონლო წარმოების პირობებში, როცა ერთი მხრივ არიან მუშები, რომლებიც თავის სამუშაო ძალას აქირავებენ, მეორე მხრივ კი არიან ადამიანები, რომლებიც ფლობენ კერძო საკუთრებას წარმოების საშუალებებზე, საშუალებას აძლევს ამ უკანასკნელთ მიითვისონ მუშების განივთებული შრომა ზედმეტი პროდუქტისა და ზედმეტი ღირებულების სახით (იგულისხმება, რომ ამის საშუალება აქვთ მხოლოდ წარმოების საშუალებათა მფლობელებს და არა სხვებს). ეს არღვევს პირველარსებულ ჰარმონიას წარმოებასა და მწარმოებელთა მოთხოვნილებებს შორის, როდესაც იმდენს აწარმოებდნენ, რამდენიც საჭირო იყო მწარმოებელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, და წარმოების ერთადერთ მიზნად სწორედ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება იგულისხმებოდა. ზემომითითებული ახალი პირობები კი იწვევს მუშების გაღარიბებას და კერძო მესაკუთრეთა გამდიდრებას, ამასთან, ერთადერთ მიზნად ეს უკანასკნელნი თავისი შემოსავლის გადიდებას აქცევენ. კ. მარქსის პირველ უდიდეს დამსახურებას წარმოადგენს გაუცხოების ამ მექანიზმის მიკვლევა, იმის აღმოჩენა, რომ ასეთი გაუცხოების საფუძველია წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება, შრომის დანაწილება და სასაქონლო წარმოება, სადაც ჩნდება ზედმეტი ღირებულება, რომელსაც კაპიტალისტი ითვისებს.

მაგრამ გაუცხოების კანონზომიერებების ანალიზი გაუცხოების წარმავალ ბუნებას ადასტურებს. ამის მტკიცება კი მარქსის თეორიას ძირეულად განასხვავებს თანამედროვე პესიმისტური მიმართულების ექსისტენციალისტების გაუცხოების კონცეფციებისაგან. კ. მარქსმა განავითარა მოძღვრება კლასებისა და კლასობრივი ბრძოლების შესახებ, კომუნისტური საზოგადოების გარდუვალობის შესახებ, იმის შესახებ, რომ აუცილებლად მოხდება გაუცხოების ლიკვიდაცია წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების გაუქმების გზით, რაც საშუალებას იძლევა ადამიანის არსობრივ, შემოქმედებით ძალთა ნამდვილი თავისუფალი გაშლისათვის. კომუნისტური წარმოების წესი, კ. მარქსის აზრით, გააუქმებს კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობებს, სადაც საზოგადოებრივ წარმოებასთან შეერთებულია კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე და, ამის საფუძველზე, შრომის შედეგების არათანაბარი, უსამართლო მითვისება. ეს საზოგადოება საზოგადოებრივ წარმოებას საზოგადოებრივ განაწილებას შეუერთებს, მოხსნის სასაქონლო წარმოებას მისთვის დამახასიათებელი ერთადერთი მთავარი მიზნითურთ — მიღებულ იქნეს მაქსიმალური მოგება, შემოიტანს სამართლიანი განაწილების პრინციპს — ყველას მისი მოთხოვნილების მიხედვით, და ამით აღადგენს დაკარგულ ჰარმონიას წარმოებასა და მოთხოვნილებებს შორის. ცხადია, ადამიანის სოციალური დამკვიდრება ამ ამოცანებთანაა დაკავშირებული.

მსჯელობები ადამიანის გაუცხოების შესახებ ადამიანის არსს ნეგატიური თვალსაზრისით გვიხასიათებენ, მიუთითებენ არსებული ადამიანის შეუსატყვისობაზე მის ნამდვილ ბუნებასთან, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ამითვე დადებითი დახასიათებაც არ იყოს მოცემული, რომელიც ლოგიკურად იგულისხმება როგორც ნეგატიური დახასიათების საფუძველი. მაგრამ აქ გაუცხოების მთელი მექანიზმია გაშუქებული, რის გამოც პირდაპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რი დახასიათებაცაა მოცემული, რომელიც, ცხადია, მეტია, ვიდრე უარყოფით დახასიათებაში ლოგიკურად ნაგულისხმევი არასრული დადებითი დახასიათება. ადამიანს, კ. მარქსის თეორიით, აქვს თავისი არსი როგორც რეალური პოტენცია. გაუცხოებულ ადამიანშიც დასტურდება „მთვლემარე“ ადამიანური „არსობრივი ძალები“, შემოქმედებითი ძალები, რომლებიც სათანადო საზოგადობრივ-ეკონომიურ ვითარებაში, გაუცხოების მოხსნის პირობებში, პოვებენ თავის სრულ განვითარებას. ასეთია ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის იდეა, რომელიც კ. მარქსმა წამოაყენა. ყოველმხრივი განვითარება აქ ნიშნავს ნამდვილი ადამიანური ბუნების სრულ გაშლას, ადამიანურ ძალთა სრულ გამოვლენას.

ადამიანის არსი ჩანს მისი დაპირისპირებისას ცხოველთან. კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის მიხედვით, ადამიანი ცხოველივით პირდაპირ კი არ ითვისებს გარემოდან თავისი მოთხოვნილების საგნებს (როცა ცხოველს ამის საშუალება ეძლევა, მისგან ადამიანისაკენ მიმავალი გზა მოჭრილია, რადგანაც მხოლოდ გარდაქმნის საჭიროება ედება საფუძვლად ადამიანის წარმოშობას). ადამიანი თვითონ ქმნის თავისი არსებობის პირობებს იმ გზით, რომ გარემოს თავისი მიზნების, თავისი მოთხოვნილებების შესაბამისად გარდაქმნის. ეს არის საზოგადოებრივი შრომა როგორც ადამიანის პირველშემოქმედება. ადამიანი შექმნა შრომამ, და ადამიანის არსიც შრომასთანაა დაკავშირებული: ადამიანი არის შემოქმედი, გარემოს გარდამქმნელი არსება.

ადამიანის არსის პრობლემა, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ერთი მხრივ, ანთროპოგენეზის პრობლემის ამოსავალია, მეორე მხრივ კი, მისი გადაწყვეტის შედეგი. ანთროპოგენეზის საკითხი კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის ფილოსოფიურ კონცეფციაში ერთიანი პრობლემაა, მაგრამ ორადაა განშტოებული. ამ კონცეფციის მიხედვით, ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს იგი ამავე დროს ბუნებისეული არსებაც არ იყოს. ამის შესაბამისად გამოიყოფა ორი საკითხი: ადამიანის როგორც ბუნებისეული არსების წარმოშობის, ბიოანთროპოგენეზის პრობლემა (1) და მისი როგორც საზოგადოებრივი არსების წარმოშობის, სოციოანთროპოგენეზის პრობლემა (2). ასეთი დიფერენციაციის მართებულობას ადასტურებს როგორც მთლიანი მარქსისტული ფილოსოფიურანთროპოლოგიური კონცეფციის ანალიზი, ისე ფრ. ენგელსის პირდაპირი მითითება ამაზე. „ბუნების დიალექტიკაში“ იგი ადამიანს ცხოველისაგან განასხვავებს საზოგადოებრივი მიმართებით და სპეციფიკური ბიოლოგიური მიმართებით: „საზოგადოებრივი წარმოების მხოლოდ შეგნებულ ორგანიზაციას, სადაც გეგმაზომიერად აწარმოებენ და ანაწილებენ, შეუძლია ადამიანები საზოგადოებრივი მიმართებითაც ისევე მაღლა ასწიოს და დანარჩენ ცხოველთა სამყაროზე მაღლა დააყენოს, როგორც ეს წარმოებამ შეასრულა საერთოდ ადამიანებისათვის სპეციფიკური ბიოლოგიური მიმართებით“[1] [5, გვ. 23]. ენგელსმა სპეციალურად განიხილა ბიოანთროპოგენეზის პრობლემა თავის ცნობილ ნაშრომში „შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის პროცესში“ და ზო-

---

[1] 1954 წლის ქართულ გამოცემაში, ჩვენი აზრით, დაშვებულია უზუსტობა, როცა სიტყვების „საზოგადოებრივი მიმართებითაც“ ნაცვლად წერია "საზოგადოებრივ ურთიერთობაშიაც" [5, გვ. 23]. რაც შეეხება პირველ, 1950 წლის, ქართულ გამოცემას, მასში გამოტოვებულია სიტყვა „ბიოლოგიური“ და ნაცვლად სიტყვებისა „სპეციფიკური ბიოლოგიური მიმართებით“ არის „სპეციფიკური მიმართებით“ [5, გვ. 23], რაც არსებითად ცვლის ფრაზის შინაარსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიერთ სხვა თხზულებაშიც. რაც შეეხება პრობლემის მეორე ასპექტს — ადამიანის წარმოშობისა და განვითარების საკითხს საზოგადოებრივი მიმართებით, იგი ძირითადი საკითხია კ. მარქსის ფუძემდებელ ნაშრომებში, რომლებიც საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების განვითარების კანონზომიერებებს ეხება.

ადამიანის როგორც ბიოლოგიური სპეციფიკური არსებისა და მისი როგორც სოციალური არსების წარმოშობისა და განვითარების საკითხთა ეს დიფერენციაცია მხოლოდ *სრულიად გარკვეული* მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. ჯერ ერთი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ეს არის ერთიანი პროცესი და ამ ასპექტების გამოყოფა გარკვეულ აბსტრაქციას ეყრდნობა, თუმცა ამ აბსტრაქციის მეცნიერული ღირებულება უდავოა. მეორეც, ადამიანის ბიოლოგიური წარმოშობა-განვითარების მოწყვეტა *საერთოდ* სოციალურისაგან შეუძლებელია: ადამიანი როგორც ბუნებისეული არსება წარმოიშვა *საზოგადოებრივი წარმოების* პროცესის საფუძველზე. საქმე ეხება ადამიანის სოციალური განვითარების სპეციალურ საკითხს, რომელშიც განხილვის საგანს წარმოადგენს ბიოლოგიური თავისებურებების მხრივ არსებითად უკვე ჩამოყალიბებული ადამიანი და დგება ადამიანის საზოგადოებრივი ყოფიერების გარდაქმნის ამოცანა. ამ აზრით, და მხოლოდ ამ აზრით უნდა იქნეს გაგებული დებულება, რომ ადამიანის ბიოლოგიური გენეზისი არსებითად დასრულებულია, ხოლო სოციალური მიმართებით სრულყოფა მნიშვნელოვანი და მწვავე პრობლემაა. ორივე შემთხვევაში ადამიანი არის არსება, რომელიც გარემოს გარდაქმნის საფუძველზე ქმნის თავისი არსებობის პირობებს. საზოგადოებრივი წარმოებითი საქმიანობა, შრომა ქმნის ადამიანს. მაგრამ ადამიანი ბიოლოგიური ასპექტით არის სტიქიური წარმოებისა და განაწილების შედეგი, ხოლო ადამიანის ქმნადობა საზოგადოებრივი ასპექტით თავის აუცილებელ პირობად გულისხმობს წარმოებისა და განაწილების შეგნებულ, გეგმაზომიერ ჰარმონიულ ორგანიზაციას. „ისტორიული განვითარება,— მიუთითებს ენგელსი იქვე,—ასეთ ორგანიზაციას ყოველდღიურად გარდაუვალს მაგრამ ყოველდღიურად შესაძლებელსაც ხდის. მისგან დაიწყება დათარიღება ახალი ისტორიული ეპოქისა“... [5, 1954 წ. გვ. 23—24].

ბიოანთროპოგენეზი ადამიანის არსიდან გამომდინარეობს და ამ არსისვე ქმნადობას ხდის გასაგებს. ენგელსი მიდის დასკვნამდე, რომ ადამიანის განსხვავებას ცხოველისაგან ქმნის მათი განსხვავება არსებობის შენარჩუნებისაკენ მიმართულ მოქმედებებში. ცხოველი მხოლოდ სარგებლობს გარემომცველი ბუნებით და სარგებლობს სტიქიურად, ადამიანი კი გარდაქმნის ამ ბუნებას თავისი მიზნების, მოთხოვნილებების შესატყვისად. სწორედ ეს ედება საფუძვლად ადამიანისა და ცხოველის ბიოლოგიურ განსხვავებებს, ადამიანის სპეციფიკური აგებულებისა და სხვა ბიოლოგიური ქარაქტერისტიკების წარმოშობას — ხელების, როგორც შრომის ინსტრუმენტის, ტვინის, მეტყველების, ორ ფეხზე სიარულის და მისთანათა წარმოშობასა და განვითარებას. ცხოველი უშუალოდ სარგებლობს ბუნების მონაცემებით და თუ ბუნებრივი პირობები აღარ შეესატყვისებიან მის მოთხოვნილებებს, იგი ეგუება მათ (თუ ცალკეული ინდივიდი ვერ ახერხებს ამას, მაშინ ამ ამოცანას წყვეტს გვარის, ფილოგენეტური განვითარება). ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანისათვის ნორმალურია ის მდგომარეობა, როცა მისი არსებობის პირობები, მისი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საგნები ჯერ კიდევ არაა მოცემული მზა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხით. მაგრამ ამ დროს ადამიანი ცხოველივით როდი ეგუება ახალ პირობებს (რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ადამიანიც როგორც ცოცხალი არსება ფლობს შეგუების ბიოლოგიურ მექანიზმებს, მაგრამ აქ იმაზეა ლაპარაკი, რომ ადამიანის თვითშენარჩუნების ძირითად და არსებით გზას წარმოადგენს არა შეგუება, არამედ გარემოს გარდაქმნა ადამიანის ინტერესების შესაბამისად), ადამიანი მ ო ი პ ო ვ ე ბ ს თავის საარსებო პირობებს გარემომცველი ბუნების გარდაქმნის გზით და ამ გარდაქმნის სპეციფიკური ორგანიზაციის — საზოგადოებრივი წარმოების — გზით.

წარმოებისათვის და საერთოდ ადამიანის გარდაქმნითი, შემოქმედებითი მოქმედებისათვის არსებითია ცნობიერება. კ. მარქსი თავის „კაპიტალში" ამის შესახებ წერს: „რაც ყველაზე მდარე ხუროთმოძღვარს იმთავითვე საუკეთესო ფუტკრისაგან განასხვავებს, ეს ის გარემოებაა, რომ ხუროთმოძღვარმა, ვიდრე ფიჭის უჯრედს ააშენებდეს, უკვე თავის თავში ააშენა იგი. შრომის პროცესის დასასრულს ვღებულობთ შედეგს, რომელიც ამ პროცესის დასაწყისისას მუშის წარმოდგენაში, მაშასადამე, იდეალურად, უკვე არსებობდა. იმაში, რაც ბუნებით მოცემულია, მუშას მარტო ფორმის ცვლილება როდი შეაქვს, იგი ამასთანავე ამ ბუნებით მოცემულში ახორციელებს თავის შეგნებულ მიზანს..." [1, ტ. 1, გვ. 228].

განიხილავს რა ადამიანის ცნობიერების საკითხის ამ ასპექტს, ტ. იაროშევსკი იმოწმებს ლუკაჩს: „...ონტოლოგიური თვალსაზრისით ცხოველის ცნობიერება ორგანული სიცოცხლის ეპიფენომენს წარმოადგენს", და წერს: „სრულიად სხვაგვარადაა საქმე ადამიანის შემთხვევაში. ცნობიერება აქ არ შეიძლება იყოს ონტოლოგიური ეპიფენომენი, იგი ადამიანის ცხოვრების მთავარი ონტოლოგიური თავისებურებაა, რაც გაპირობებულია საზოგადოებრივი პრაქტიკის და, პირველ რიგში, საზოგადოებრივი წარმოების მიზანშეწონილი, მიზანდებული ხასიათით" [9, გვ. 179]. ცნობიერების ამგვარი მნიშვნელობა ადამიანის საფეხურზე სადავო არ უნდა იყოს (თუმცა ცნობიერების ო ნ ტ ო ლ ო გ ი უ რ ი დახასიათება, რომელიც აქ იგულისხმება, ბევრი ასპექტით მოითხოვს გარკვევას). მაგრამ, ჩვენი აზრით, არც ცხოველთან შეიძლება ცნობიერების (ე. წ. პირველადი ცნობიერების) ეპიფენომენალურობის მტკიცება. პირველადი ცნობიერება ცხოველური სიცოცხლისათვის ისევე არსებითი უნდა იყოს, როგორც სეკუნდარული ცნობიერება ადამიანისათვის, როგორც ადამიანური ქცევის, შრომისა და შემოქმედების პირობა. განსხვავება ადამიანურ და ცხოველისეულ ცნობიერებათა შორის არსებითად იმას ეხება, რომ ადამიანთან დამატებით იგულისხმება ობიექტივაციის აქტი, როგორც ცნობიერების შინაარსად წარმოდგენილი გარესინამდვილის, ისე თვითონ საკუთარი ქცევისა და ცნობიერების გასაგნება. ეს კი ადამიანის საზოგადოებრივ მწარმოებლურ მოქმედებებთანაა დაკავშირებული არსებითად, როგორც მისი აუცილებელი პირობა. ამ ვითარებაზე მიუთითებენ მარქსი და ენგელსი „გერმანულ იდეოლოგიაში", სადაც ცხოველისა და ადამიანის განსხვავების შესახებ ნათქვამია, რომ ცხოველი არ „მიემართება" საერთოდ არაფერს, მისთვის მისი „მიმართება" არ არსებობს როგორც მიმართება. აქედან: ცნობიერება იმთავითვე საზოგადოებრივი პროდუქტია [7, ტ. 3, გვ. 29—30]. ცხადია, აქ ტერმინი „ცნობიერება" სეკუნდარული ცნობიერების მნიშვნელობითაა მოხმარებული, ხოლო მტკიცება იმას ეხება, რომ რეფლექსია, ობიექტივაცია, თვითცნობიერება, თავისი მიმართების გაცნობიერება ადამიანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სათვისაა დამახასიათებელი და არა ცხოველისათვის. რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პირველადი ცნობიერების არსებითი როლი უნდა უარვყოთ ცხოველური არსებობის დონეზე. სეკუნდარული ცნობიერება გვიანდელი წარმონაქმნია, მანამდე, ადამიანის ქმნადობის პროცესში და ხშირად დღევანდელ საფეხურზეც მოთხოვნილების პირველადი ცნობიერება განაპირობებს წარმოების პროცესის წარმოშობას და მიმდინარეობასაც. ცნობიერების რედუქცია არაცნობიერ დონემდე ყოველთვის ერთი და იმავე რიგის შეცდომაა, სულერთია, საქმე პირველად ცნობიერებას ეხება თუ შეგნებას.

მარქსი და ენგელსი ადამიანის სპეციფიკურ ბიოლოგიურ თვისებებს და საზოგადოებრივ წარმოებას ერთიანობაში განიხილავენ. ენგელსი ნაშრომში „შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის პროცესში“ შრომასთან დაკავშირებულ ბიოლოგიურ თვისებებს განიხილავს როგორც შრომითი მოქმედების წარმოშობისა და განვითარების პ ი რ ო ბ ა ს, მაგრამ, მეორე მხრივ, მათ შრომითი საქმიანობის ნიადაგზე აღმოცენებულად მიიჩნევს. ხოლო საზოგადოებრივი შრომის წარმოშობის პირველწყაროს, ენგელსის მიხედვით, შეადგენს გაერთიანებული წარმოების აუცილებლობა, რათა ინდივიდებს შეეძლოთ არსებობის შენარჩუნება. „... იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო განვითარების პროცესში ცხოველური მდგომარეობიდან გამოსვლა... საჭირო იყო კიდევ ერთი ელემენტი: თავდაცვის ის უნარი, რომელიც ცალკეულ ინდივიდს აკლდა, უნდა შეცვლილიყო ჯოგის გაერთიანებული და კოლექტიური მოქმედებით“ [4, ტ. 2, გვ. 225].

კ. მარქსის კონცეფციის მიხედვით, ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოების განვითარებას საბოლოო ანგარიშით საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების თავისებური ობიექტური კანონები წარმართავენ, თუმცა თვითონ ამ ობიექტურ კანონზომიერებებში ჩართულია ადამიანი და მისი ძალები, რის გამოც შეცდომაა, როცა მარქსის თეორია ისე ესმით, თითქოს მთელი ადამიანი და მისი ძალები და უნარები (ცნობიერება, მიზნები, თავისუფალი არჩევანის უნარი და სხვ.) დეტერმინირებული იყონ რაღაც მ ა თ  გ ა რ ე შ ე  მ ო ა ზ რ ე ბ ა დ ი ეკონომიური ცხოვრების კანონებით. საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრება, კ. მარქსის მიხედვით, შეადგენს ბაზისს, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, განსაზღვრავს ზედნაშენებს, სადაც ადამიანის ცნობიერებაც (ფსიქოლოგია და იდეოლოგია), მისი მიზნების სფეროც, მისი შემოქმედებითი ქცევებიც და მისი თავისუფალი არჩევანიც იგულისხმება. მაგრამ ამასთან დაკავშირებით, ჩვეულებრივ, მხოლოდ იმაზე მიუთითებენ, რომ ზედნაშენი, თავის მხრივ, გარკვეულ გავლენას ახდენს ბაზისზე, სინამდვილეში აქ ამაზე მეტიც უნდა ითქვას. საქმე ისაა, რომ ადამიანი თავისი ცნობიერებით, მიზნებით, მოთხოვნილებებით, თავისუფალი არჩევანით, თ ვ ი თ ო ნ  ბ ა ზ ი ს შ ი ვ ე იგულისხმება: წარმოების წყაროა ადამიანის მოთხოვნილება და იგი მის გარეშე ყოველგვარ აზრს კარგავს. მართალია, „ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას“ [2, გვ. 10—11], მაგრამ, მეორე მხრივ, ადამიანის ცნობიერება, მოთხოვნილებებისა და მიზნების სახით, იგულისხმება თვით საზოგადოებრივი ყოფიერების ცნებაში, წარმოების სტრუქტურაში. „მოხმარება, — წერს კ. მარქსი, — საჭიროების სახით, მოთხოვნილების სახით, თვითონ არის შინაგანი მომენტი მწარმოებლური საქმიანობისა“ [2, გვ. 272]. ამრიგად, თუ წარმოების წესი ბაზისს შეადგენს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მასშივეა ჩართული მოხმარება-მოთხოვნილება როგორც მისი სტრუქტურული მომენტი. მოთხოვნილება კი თავისი არსითვე ცნობიერების პლანისეული ცნებაა[2]. მართალია, ეს ცნობიერება არაა აუცილებელი ობიექტივაციის დონეზე მიმდინარეობდეს, შეგნების საფეხურზე იყოს ამაღლებული, საკმარისია იგი პირველადი ცნობიერების ფაქტს წარმოადგენდეს. ასევე ითქმის მიზნის ცნობიერების შესახებაც, საზოგადოებრივი წარმოების მაღალგანვითარებულ დონეზეც შესაძლებელია ადამიანები წარმოებაში გარკვეულ მიზანს დებდნენ, მაგრამ მათი ყოველმხრივი ობიექტივირება სულაც არაა აუცილებელი და ბევრ შემთხვევაში პრიმარული ცნობიერების დონეს იქით საქმე არ მიდის. ნამდვილი ადამიანური ყოფიერების დამკვიდრება კ. მარქსს ესახებოდა სწორედ როგორც ისეთი საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრება, სადაც ადამიანთა მოთხოვნილებების შესაბამისად იქნებოდა აგებული მთელი საზოგადოებრივი წარმოება, მოხსნილი იქნებოდა გაუცხოების ეკონომიური პირობები, რაც სულიერი გაუცხოების ლიკვიდაციასაც გამოიწვევდა, იძულებითი, გაუცხოებული შრომა, კ. მარქსის კონცეფციის მიხედვით, უნდა ლიკვიდირებულ იქნეს და კაცობრიობა თავისუფლების სამყაროს ეზიაროს. აუცილებლობის მიღმა, ამბობს კ. მარქსი, „... იწყება ადამიანის ძალის განვითარება, რომელიც წარმოადგენს თვითმიზანს, თავისუფლების ჭეშმარიტ სამეფოს...“ [1, ტ. $3^2$, გვ. 449].

ადამიანის განვითარება და სრულყოფა საზოგადოებრივი მიმართებით, გულისხმობს წარმოების წესის შეცვლას, ისეთი საზოგადოებრივი ყოფიერების დამკვიდრებას, სადაც ლიკვიდირებულ იქნება ადამიანის გაუცხოება. ეს, არსებითად რომ ვთქვათ, არა ბიოლოგიური, არამედ საზოგადოებრივი ხასიათის გარდაქმნებია. მართალია, ადამიანის ეკონომიური გაუცხოება იწვევს მის ბიოლოგიურ შეზღუდულობასაც თვით ფიზიკურ დამახინჯებამდე, მაგრამ ამ შეზღუდულობისა და დამახინჯების გამომწვევი მიზეზები ადამიანის ბიოლოგიურ პროცესებში კი არაა, არამედ წარმოების წესში, საზოგადოებრივ-ეკონომიურ ყოფიერებაშია. ამ აზრით უნდა ითქვას, რომ ადამიანის ბიოლოგიური განვითარება არსებითად მიღწეულია, ხოლო მისი სოციალური ქმნადობა, სრულყოფა — მომავლის საქმეა.

ამ პრობლემის შესწავლაში კ. მარქსის დიდ დამსახურებად უნდა ვაღიაროთ ადამიანის თვითშექმნის იდეის განვითარებაც. კ. მარქსთან ადამიანი ობიექტური მადეტერმინირებელი ძალების თვალსაზრისითაა განხილული,მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ადამიანის გარეგანი განსაზღვრულობა ფატალურად იყოს მიჩნეული. ამ კონცეფციის მიხედვით, რომელიც ობიექტურ დეტერმინაციას ჰუმანიზმთან აერთიანებს, ადამიანი თვითონ არის თავისი ბედის გამგებელიც, რამდენადაც ეკონომიური ცხოვრების კანონებში იგულისხმება აქსიოლოგიური ჰუმანისტური საწყისიც — ადამიანის მოთხოვნილება როგორც წარმოების აზრისმდებელი არსებითი რგოლი. ამან მისცა საშუალება კ. მარქსს, თვითონ ეკონომიური ცხოვრებით დეტერმინირებულობის პრინციპიდანვე მისულიყო აქსიოლოგიური ხასიათის უმნიშვნელოვანეს დასკვნამდე, რომ კაცობრიობის ისტორია ადამიანის განთავისუფლებისაკენ მიემართება.

---

2 მოთხოვნილების ცნობიერების საკითხი უფრო დაწვრილებით განხილულია ჩვენს ნაშრომში [6].

О. И. ТАБИДЗЕ

# ПРОБЛЕМА СООТНОШЕНИЯ БИОГЕНЕЗА И СОЦИОГЕНЕЗА ЧЕЛОВЕКА В ФИЛОСОФСКО-АНТРОПОЛОГИЧЕСКОЙ КОНЦЕПЦИИ К. МАРКСА

## Резюме

В учении К. Маркса философская проблема человека занимает центральное место. В нем проблема сущности человека и проблема антропогенеза представлены в единстве: сущность человека можно понять лишь на основе его становления, а антропогенез — лишь посредством решения вопроса о сущности человека. К. Маркс понимает человека как единство природного (биологического) и социального. Человек существенно отличается от животного не только как социальное, но и как биологическое существо.

К. Маркс видит сущность человека в его трудовой, общественно-производственной деятельности, в преобразующей, творческой деятельности, и в силах и качествах, развившихся в соответствии с этой сущностью. Как весь человек, так и его специфические биологические и психологические особенности понимаются как результат общественного производства, так же понимается и биогенез и социогенез человека. Однако биологическое и социальное формирование человека не покрывают друг друга. В частности, биологическое формирование человека сегодня, по существу, завершено, тогда как его социальное формирование — совершенствование является делом будущего и самой актуальной задачей. Задача эта связана с экономической и духовной отчужденностью человека и с ликвидацией экономической отчужденности, что должно привести к устранению духовной отчужденности, к всестороннему развитию человека, развертыванию его сущностных творческих сил, пока лишь дремлющих в условиях отчужденности.

## ლიტერატურა

1. მარქსი კ., კაპიტალი, თბ., ტ. 1, 1954, ტ. $3^{2}$, 1959.
2. მარქსი კ., პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953
3. მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული წერილები, თბ., 1949.
4. მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები ორ ტომად, თბ., 1950.
5. ენგელსი ფ., ბუნების დიალექტიკა, თბ., 1950 და 1954 წლის გამოცემები.
6. ტაბიძე ო., თავისუფლების და მოთხოვნილების ცნებათა ურთიერთმიმართების საკითხისათვის, წიგნში „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები", 6, 1979.
7. Маркс К., Энгельс Фр., Сочинения.
8. Табидзе О., К проблеме целостности человека, «Вопросы философии», № 3, 1973.
9. Ярошевский Т., Размышления о практике, М., 1976.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტმა ნ. ჭავჭავაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია ნოდია

# კ. მარქსი შრომისა და თამაშის მიმართების შესახებ

თავდაპირველად მოვიყვან ერთ ციტატს „კაპიტალიდან“, სადაც კ. მარქსი პირდაპირ ახსენებს თამაშს შრომასთან მიმართებაში. იგი ამბობს: „გარდა იმ ორგანოების დაძაბვისა, რომლებიც შრომას ასრულებენ, მთელი ამ შრომის განმავლობაში აუცილებელია მიზანშეწონილი ნებისყოფა, რომელიც ყურადღების სახით ვლინდება, და აუცილებელია მით უფრო, რაც უფრო ნაკლებ იტაცებს შრომა მუშას თავისი შინაარსით და შესრულების წესით, მაშასადამე, რაც უფრო ნაკლებ სიამოვნებას აყენებს მუშას შრომა როგორც მისი საკუთარი ფიზიკური და სულიერი ძალების თამაში“ [1, ტ. 1, გვ. 118]. თუმცა ეს ციტატი „კაპიტალის“ ქართული გამოცემიდან მომყავს, მისი ოდნავ შესწორება მომიხდა: „კაპიტალის“ ქართველი მკითხველი აქ სიტყვა „თამაშს“ ვერ ნახავს. გამოცემულ თარგმანში ფრაზის ბოლო ასე იკითხება: „ფიზიკური და სულიერი ძალების თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ა“. არადა, ორიგინალში გასაგებად წერია: „S p i e l seiner eignen körperlichen und geistigen Kräfte“ [13, გვ. 193]. რუსულად ეს ადგილი სწორად არის თარგმნილი: „Труд как игра физических и интеллектуальных сил“ [6, ტ. 23, გვ. 189].

„კაპიტალის“ ქართველი მთარგმნელის გაუბედაობა გასაგებია. ჩვეულებრივი გაგებით, შრომა და თამაში ურთიერთგამომრიცხველი სახეებია ადამიანის მოღვაწეობისა. როცა კაცზე ვიტყვით: „ის შრომობს“, ამ დროს ვგულისხმობთ: „ის არ თამაშობს“, და პირიქით[1]. კ. მარქსის ზემომოტანილი ციტატი კი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ თუ შრომა, მოტანილი დახასიათების საპირისპიროდ, საინტერესო იქნება მუშაკისათვის მისი შინაარსითა და შესრულების წესით, მაშინ ის მისი ფიზიკური და სულიერი ძალების თამაშს მიუახლოვდება. ეტყობა, მთარგმნელს გაუჭირდა იმის დაჯერება, რომ კ. მარქსს შეეძლო ასეთი უცნაური რამ ეთქვა.

ამ სტატიის მიზანია იმის ჩვენება, რომ კ. მარქსს შემთხვევით კი არ წამოსცდენია ამ კონტექსტში სიტყვა „თამაში“[2], არამედ მისი მოხმობა შრომის მისეული თეორიის მეტად ნიშანდობლივ მხარეზე მიგვანიშნებს. კერძოდ, შრომისა და თამაშის ცნებათა მიმართების ანალიზი დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ შრომის, როგორც კომუნისტურ საზოგადოებაში ადამიანის პირველი საარსებო მოთხოვნილების შესახებ მარქსისტული თეზისი. როგორც ჩვენი პარტიის გე-

---

1 საგულისხმოა, მაგალითად, რომ წიგნში „ადამიანი ადამიანთა შორის“ ნ. ნათაძე შრომის არსის გასარკვევად იყენებს თამაშის ცნებას, როგორც თავისი მსჯელობის ნეგატიურ ამოსავალს: შრომა მისთვის უპირველეს ყოვლისა არათამაშია, ხოლო თუ მასში მაინც მონაწილეობს თამაშის ელემენტი (თუ ის თავისთავად სასიამოვნოა), ის სწორედ ამიტომ აღარ არის შრომა. ის ასე მსჯელობს: „თუ მთელი დღის მანძილზე უმოძრაოდ ჯდომა მომწყინდა და კაცს, რომელიც ეზოში ქას თხრის, ხელი წავახმარე, ეს არ ნიშნავს, რომ ვ ი მ უ შ ა ვ ე; როდესაც ტომ სოიერმა თავის ძმაბიჭებს ღობე შეათეთრებინა, მას ისინი შ რ ო მ ა ზ ე არ დაუყოლიებია“ [3, გვ. 112].

2 მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ იმ გარემოებაზეც, რომ განსახილველი ციტატი მოტანილია პარაგრაფიდან „შრომის პროცესი“, სადაც მარქსი ს ა ზ ო გ ა დ ო დ შრომის რაობას არკვევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნერალურმა მდივანმა ი. ანდროპოვმა გახაზა თავის სტატიაში „კარლ მარქსი და სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის ზოგიერთი საკითხი“, „მარქსს კაპიტალიზმის შემცვლელი ფორმაციის ისტორიულ დანიშნულებად მიაჩნდა, გადაექცია შრომა მტანჯველი, იძულებრივი მოღვაწეობისაგან პიროვნების უპირველეს საარსებო მოთხოვნილებად“ [2, გვ. 8]. არა მგონია, ამ დებულების სადღეისო მნიშვნელობასა და აქტუალობას საგანგებო დასაბუთება სჭირდებოდეს.

შრომისა და თამაშის ურთიერთობა არასოდეს ყოფილა მოდური თემა მარქსისტული აზროვნების ისტორიაში, მაგრამ გარკვეული ტრადიცია მას მაინც აქვს. ვინც მას ასე თუ ისე შეხებია, აუცილებლად იხსენებს პლეხანოვის კამათს გერმანელ ეკონომისტთან კარლ ბიუხერთან. ბიუხერი, სწავლობდა რა შრომის ფორმებს, გავრცელებულს განვითარების პრიმიტიულ დონეზე მყოფ ხალხებში, მივიდა დასკვნამდე, რომ „თამაში შრომაზე უფროსია, ხელოვნება კი წინ უსწრებს სასარგებლო საგანთა წარმოებას“ [10, გვ. 57]. პლეხანოვმა პრინციპულად არასწორად მიიჩნია ეს დებულება. ის ეთანხმება სპენსერის თვალსაზრისს, რომ თამაში ორგანიზმის ჭარბი ენერგიის ხარჯვაა, მაგრამ შ ი ნ ა ა რ ს ო ბ რ ი ვ ი მხრივ ის, მისი აზრით, წარმოადგენს შრომითი პროცესების მ ი ბ ა ძ ვ ა ს და ამ გზით მათთვის მზადებას. ამდენად, ამბობს პლეხანოვი, „თამაში შვილია შრომისა და ეს უკანასკნელი დროში წინ უსწრებს მას“ [10, გვ. 62].

ზოგიერთი მარქსისტი მკვლევარი პლეხანოვის მოყვანილ დებულებას მიიჩნევს შრომისა და თამაშის მიმართების მარქსისტულ განსაზღვრებად და, მეტიც, თამაშის რაობის განსაზღვრებადაც. მათი აზრით, თამაშის მატერიალური წარმოების პროცესიდან, უტილიტარული მოღვაწეობის კანონზომიერებიდან გამოყვანა აუცილებელია მისი მარქსისტული, ე. ი. მატერიალისტური თეორიის შესაქმნელად. ეს პრინციპი გატარებული, მაგალითად, დ. ელკონინის მონოგრაფიაში „თამაშის ფსიქოლოგია“ [12]. არსებობს სხვა აზრიც: საბჭოთა მკვლევარი კ. კანტორი წიგნში „სილამაზე და სარგებლობა“, იხსენებს რა პლეხანოვისა და ბიუხერის კამათს, პლეხანოვს ცალმხრივობას სწამებს და ბიუხერის პოზიციას უფრო მართებულად მიიჩნევს [9, გვ. 60—64].

ჩემი აზრით, გენეტურ პლანში შრომისა და თამაშის მიმართების პრობლემის დაყენება ყოვლად გაუმართლებელია. რაც არ უნდა ვეცადოთ, ვერც თამაშიდან გამოვიყვანთ შრომას და ვერც შრომიდან — თამაშს. თუ მე სწორად გავიგე ბიუხერის თვალსაზრისი [იხ. 7], ის იმას კი არ ამტკიცებს, რომ ჩვეულებრივად გაგებულმა, უდარდელმა და უმიზნო თამაშმა რაღაცნაირად „შობა“ შრომა, შრომაში „გადავიდა“, არამედ იმას, რომ შრომის უადრესი ფორმები შერწყმულნი იყვნენ კოლექტიურ რიტმულ მოძრაობებთან, სიმღერასთან და ამის გამო სახალისო, თამაშობრივ ხასიათს იძენდნენ. ასეთი, თამაშისმაგვარი შრომა წინ უსწრებს, ბიუხერის მიხედვით, თანამედროვე ფაბრიკულ შრომას, რომელშიც არაფერია სახალისო და საინტერესო და რომელიც სრულდება მხოლოდ მატერიალური ანაზღაურების გულისთვის ან ზნეობრივი პასუხისმგებლობის ძალით. (მე ბიუხერის თეორიის „რაციონალური მარცვლის“ გამორჩევას ვცდილობ, თორემ პლეხანოვის მიერ მოყვანილი და ზემოთ ციტირებული მისი დებულება ნამდვილად იყო კრიტიკის ღირსი). რაც შეეხება თამაშის გამოყვანას შრომიდან (რის დროსაც „შრომა“ განისაზღვრე-



17.567

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბა როგორც „უტილიტარული მოღვაწეობა“), ეს მცდელობაც ვერ აღწევს მიზანს, რადგან რომც დავეთანხმოთ იმ აზრს, თითქოს ყოველი თამაშობრივი ქმედება არის რაღაც უტილიტარული ქმედების მიბაძვა, მაინც გაურკვეველი რჩება თამაშის ს ა ზ რ ი ს ი: რა საჭიროა რაღაც მიზნობრივი ქმედების ფორმალური განმეორება თვით ამ მიზნის გარეშე? ამაზეც კი მოიძებნება პასუხი — თამაში მომავალი სასარგებლო საქმიანობისათვის მზადებააო — მაგრამ ამ შემთხვევაში თამაშის სპეციფიკა საერთოდ იკარგება, თამაში უტოლდება ვარჯიშს, წვრთნას, და გაუგებარი ხდება, რატომღა არის თამაში, ჩვეულებრივი ვარჯიშისაგან განსხვავებით, თავისთავად სახალისო რამ.

ჩემი მიზანია, განვიხილო შრომისა და თამაშის მიმართება ონტოლოგიურ-ანთროპოლოგიურ პლანში: რა მიმართებაშია ერთმანეთთან შრომა და თამაში, როგორც სამყაროში ადამიანის ყოფნის ორი სხვადასხვა წესი; რამდენად შეიძლება მათი ერთმანეთთან დაახლოება ან — თუნდაც იდეალურად — გაიგივება. საამისოდ კი ჯერ ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ შრომისა და თამაშის არსი.

საზოგადოდ ითვლება, რომ თუ მხოლოდ ადამიანის თამაშზე ვილაპარაკებთ (ე. ი. ცხოველების თამაშს გამოვრიცხავთ), თამაში ბ ა ვ შ ვ ე ბ ი ს თ ვ ი ს დამახასიათებელი სახეა მოღვაწეობისა. „თამაშის ფსიქოლოგია“ ბავშვის ფსიქოლოგიის ნაწილია და, რამდენადაც ვიცი, ამ გარემოებას არავინ თვლის გაუმართლებლად. ზრდადასრულებული ადამიანი ძალზე იშვიათად ან სულ არ თამაშობს: მის მიმართ სიტყვა „თამაში“ უფრო ხშირად გადატანითი მნიშვნელობით იხმარება — ამ დროს „თამაში“ შეიძლება ნიშნავდეს „ბავშვობასთან დაბრუნებას“, „ბავშვისმაგვარ ქცევას“. კაცს რომ წყრომით ეტყვიან: „რას თამაშობო“, იგულისხმება: „რას ბავშვობ“, „შენი ბავშვი ხომ არა გგონივარ“. ასეთი „თამაში“ ნიშნავს უდარდელ, უპასუხისმგებლო, არასაქმიან ქცევას, რომელსაც არავითარი საზრისი და მიზნობრივი გამართლება არ გააჩნია. ზოგი მკვლევარი ბავშვის თამაშს მაინც მიაწერს რაღაც მიზანშეწონილებას, იქნება ეს ჭარბი ენერგიის ხარჯვა, მომავალი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების გავარჯიშება და ა. შ. — ნებისმიერ შემთხვევაში მაინც იგულისხმება, რომ თამაში უშუალო კავშირში არ არის რაიმე სერიოზულ, სოლიდურ „საქმესთან“. თუ გავითვალისწინებთ, რომ შრომა მოწიფულ ადამიანთა ხვედრია (თუ ვინმეს ადრეული ასაკიდან უხდება შრომა, მასზე ამბობენ — ბავშვობა არა ჰქონიაო), მაშინ გამოდის, რომ შრომა და თამაში ასაკობრივადაც შორდება ერთმანეთს და რეალური შეხვედრის წერტილი მათ არსებითად არც აქვთ. თუ ასე გავიგებთ, საუკეთესო ვარიანტი შრომისა და თამაშის დაკავშირებისა პლეხანოვის ზემოთ მოტანილი დებულებაა: თამაში შრომისათვის მზადებაა, თაობიდან თაობაზე შრომითი ჩვევების გადაცემის ფორმაა.

მაგრამ, ამასთანავე, თამაშის ცნებას ფილოსოფიური მოხმარების ტრადიციაც აქვს, არცთუ მძლავრი, მაგრამ საკმაოდ მყარი. პირველად ფილოსოფიურ ასპარეზზე ის კანტმა შემოიტანა. მას თამაშის ცნება მშვენიერების, ხელოვნების პრობლემათა განხილვისას დასჭირდა, როცა მეტად რთული პრობლემის წინაშე იდგა. ერთი მხრივ, კანტმა მშვენიერი გაიგო როგორც წ მ ი ნ დ ა დ მშვენიერი, როგორც „დაუინტერესებელი ჭვრეტის“ საგანი, ე. ი. ისეთი რამ, რაც არ არის დამოკიდებული არც სხეულებრივ სიამოვნებაზე, არც ცნებით ჭეშმარიტებაზე, არც ზნეობრივ სიკეთეზე. მეორე მხრივ, მას მაინც უნდა დაესაბუთებინა მშვენიერების ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო, უფრო სწორად —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ ო გ ა დ მ ა რ თ ე ბ უ ლ ი ხასიათი, ე. ი. ის, რომ რაც მშვენიერია, აღიარებული უ ნ დ ა იყოს ასეთად ყოველი სუბიექტის მიერ. რადგან კანტმა თავადვე აიკრძალა ამ ზოგადმართებულობის ობიექტური საფუძვლის ძიება (მშვენიერი ცნებითი აზროვნების სფეროს რომ არ დამორჩილებოდა), მას მოუხდა წმინდად სუბიექტური ზოგადმართებულობის შესაძლებლობის დასაბუთება. ზოგადმართებული კი, კანტის მიხედვით, მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რაც ასე თუ ისე დაკავშირებულია ადამიანის შემეცნებით უნარებთან. კანტს უნდა ეპოვა ადამიანის შემეცნებითი უნარების ისეთი მდგომარეობა, რომელიც ზოგადობით ხასიათდება შემეცნების ობიექტზე დამოკიდებულების გარეშე. ასეთია, კანტის მიხედვით, შემეცნებითი უნარების (წარმოსახვისა და განსჯის) თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი თ ა მ ა შ ი ს მდგომარეობა, რომელიც კანტმა განსაზღვრა როგორც „უმიზნო მიზანშეწონილება". მშვენიერების ჭვრეტას, უბიძგებს რა ადამიანის შემეცნებით უნარებს ასეთი თამაშისაკენ, ისინი განსაკუთრებული ჰარმონიის მდგომარეობაში მოჰყავს, და სწორედ ამ ჰარმონიის შეგრძნება არის, ალბათ, ე. წ. ესთეტიკური სიამოვნება.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს გავყვეთ თამაშის ცნებას კანტის ესთეტიკის პრობლემათა წიაღში. მთავარია, გავარკვიოთ თამაშის კანტისეული ცნების საზრისი, რაც „უმიზნო მიზანშეწონილების" პარადოქსულ განსაზღვრებაშია ფიქსირებული. ჩემი აზრით, ამ პარადოქსულობის მეშვეობით კანტს თამაშში ორი მომენტის ერთიანობა უნდოდა გამოეხატა. ერთი მხრივ, თამაში არის წმინდად თავისუფალი, ე. ი. თვითმიზნური, ავტონომიური ქმედება, რომელიც არანაირად არ არის განსაზღვრული მისთვის გარეგანი ფაქტორებით (კერძოდ, მიზნით). თამაშის საზრისი თვით თამაშის შიგნითაა — უამისოდ ის თამაში აღარ იქნება. მეორე მხრივ, თამაშის თავისუფლება იმპულსურ-აფექტური ბუნებისა კი არ არის, არამედ გააჩნია შინაგანი მასაზრისებელი ცენტრი, ერთგვარი „შინაგანი მიზანი", რომელიც თამაშის ელემენტებს წესრიგის, ჰ ა რ მ ო ნ ი ი ს სახეს აძლევს. ამგვარად, თამაში გამოდის როგორც ადამიანის თავისუფლების, ავტონომიურობის რეალური ყოფნის მოდელი, ნიმუში.

ბუნებრივია, ასე ინტერპრეტირებული თამაშის ცნება ვიწრო ესთეტიკური პრობლემატიკის ჩარჩოებში არ დარჩებოდა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ის სწორედ კანტის ესთეტიკურ კონცეფციაში „მოხვდა". საქმე ისაა, რომ, კანტის მიხედვით, ესთეტიკური უნარი ერთ-ერთი კი არ არის ადამიანის სხვა უნართა შორის, არამედ უმაღლესი, სინთეტური, მისი მთლიანობის გამომხატველი. ამიტომ ფ. შილერს სრული უფლება ჰქონდა, კანტიდან ამოსვლით ეთქვა: „ადამიანი მხოლოდ მაშინ თამაშობს, როდესაც ის ადამიანია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და სავსებით ადამიანი მხოლოდ მაშინ არის, როდესაც თამაშობს" [5, გვ. 533]. ეს შეიძლება ასე გავიგოთ: ადამიანი მხოლოდ მაშინაა თავისუფალი, როცა ნამდვილად ადამიანია, და ადამიანია მხოლოდ მაშინ, როცა თავისუფალია.

XX საუკუნეში კანტისა და შილერის ხაზი თავისებურად გააგრძელა ჰოლანდიელმა კულტუროლოგმა იოჰან ჰეიზინგამ. მისი თვალსაზრისით, მთელი ადამიანური კულტურა წარმოიშვა თამაშში და როგორც თამაში. არსებითად, თამაში გამოდის მასთან კულტურის სული და გული, მისი მაცოცხლებელი ელემენტი. ჰეიზინგა ჩამოთვლის თამაშის ხუთ „ფორმალურ ნიშანს", რომლებშიც ისევ კანტისეული „უმიზნო მიზნობრიობა" ჩანს. თამაში თავისუფალი, თვითმიზნური ქმედებაა, რომელიც ვერავითარ ბიოლოგიურ ან ფსი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქოლოგიურ კანონზომიერებებზე ვერ დაიყვანება და წმინდად გონით გამოვლენას წარმოადგენს. ამიტომ ის ამორთულია ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრებიდან, სადაც ყოველ ქცევას რაღაც უტილიტარული საზრისი აქვს, და შემოიზღუდავს გარკვეულ დროულ-ვრცეულ მონაკვეთს, რომელშიც ყოველდღიური ცხოვრების კანონები და წესები ძალას კარგავს. ამ კანონებსა და წესებს თამაში უპირისპირებს საკუთარ წესრიგს, ფიქსირებულს თამაშის წესებში, რომელიც არა მარტო არ ჩამორჩება, არამედ თავისი სიმკაცრითა და შეუვალობით აღემატება კიდეც სამყაროს წესრიგს. თამაში „ქმნის წესრიგს და მეტიც, ის არის წესრიგი, — ხაზს უსვამს ჰეიზინგა.—ამ არასრულყოფილ სამყაროში და უკუღმართ ცხოვრებაში მას დროებითი, საზღვრებში მოქცეული სრულყოფილება შემოაქვს. თამაში უპირობო წესრიგს მოითხოვს" [14, გვ. 17].

ჰეიზინგა თამაშის კიდევ ერთ არსებით ნიშანს გამოჰყოფს. თამაშისთვის ნიშნეულია დ ა ძ ა ბ უ ლ ო ბ ა, რაც იქიდან გამომდინარეობს, რომ საბოლოო შედეგი თამაშისა წინასწარ არ არის ცნობილი — თამაშში რისკის, მასთან ერთად „იღბალის" მომენტი მონაწილეობს. ამიტომ თამაში მკაცრ გამოცდას უწყობს თამაშის პროცესში ჩაბმული ადამიანების ფიზიკურსა და სულიერ უნარებს, ხშირად „ზღვრულ" სიტუაციებში აყენებს მათ. თამაში სრულიადაც არ არის „ადვილი"; მოთამაშე ყოველდღიურობის დინებიდან ამოერთვება, მაგრამ, სამაგიეროდ, არანაკლებ „მომთხოვნ" სინამდვილეში ჩაერთვება.

მოკლედ, ყოველივე ზემონათქვამი შეიძლება ასე განვაზოგადოთ: თამაში არის თავისუფალი, შინაგანი წესრიგი, რომელიც გარეგან, თავსმოხვეულ წესრიგს უპირისპირდება; ადამიანის შექმნილი წესრიგი, რომელიც სამყაროს ნივთობრივი წესრიგისგან გამოარჩევს თავს; ადამიანის არსის შესაბამისი წესრიგი, განსხვავებით წესრიგისაგან, რომელთან შეგუებაც ადამიანისგან საკუთარი თავის დათრგუნვას მოითხოვს.

თამაშის ამგვარი გაგება ნამდვილად აღარ ემთხვევა თამაშის ჩვეულებრივ, ყოფით გაგებას. თუ რამდენად სწორია ის, რამდენად გამოხატავს რეალური თამაშის ბუნებას — ამის გარკვევის მცდელობა შორს წაგვიყვანდა. ჯერჯერობით დავსვათ კითხვა: როგორ მიმართებაში იქნება შრომა ა ს ე გ ა გ ე ბ უ ლ თამაშთან?

შრომის დახასიათება — თუ შრომის ყოველდღიურ-ყოფითი გაგებიდან ამოვალთ — დაგვანახებს, რომ არსებით პუნქტებში ის რადიკალურად განსხვავდება თამაშისაგან. საქმე იმდენად შრომის ს ი ძ ნ ე ლ ე არ გახლავთ — ზემოთ დავინახეთ, რომ წესრიგი, დაძაბულობა, აქედან — სიძნელეც უცხო არ უნდა იყოს თამაშისათვის. მაგრამ რატომ ხდება, რომ თამაშისას სიძნელეები კი არ აშინებს ადამიანს, არამედ პირიქით, იზიდავს, შრომას კი იგი უმეტესწილად გაურბის? იმიტომ, რომ შრომის მიზანი, მისი საზრისი თვით შრომის გარეთაა. გავრცელებული აზრით, შრომა არის უტილიტარული საქმიანობა, ანუ კეთება საგნებისა, რომლებიც რ ა ღ ა ც ი ს თ ვ ი ს არიან სასარგებლო, სხეულისთვის თუ სულისთვის. თვითონ პროცესს, შინაარსს შრომისა ამ საზრისთან შეიძლება არავითარი კავშირი არ ჰქონდეს, ამიტომ შრომა იქცევა შიშველ დაძაბულობად, შიშველ წესრიგად, დისციპლინად. ჩემთვის შინაგანი, ჩემი ბუნების შესაბამისი მხოლოდ პროდუქტი შეიძლება იყოს შრომისა (ისიც უკეთეს შემთხვევაში) და არა თვით შრომა. შრომის გარეშე იოლად ვერ წავალ, თორემ თავისთავად უშრომლობაა ყველაზე დიდი ბედნიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შრომის აუცილებლობას ადამიანი განიცდის როგორც წყევლას, რომელიც ღმერთმა მას რაღაც მძიმე ცოდვისთვის მოუვლინა[3]. შრომა შეიძლება მხოლოდ შ ე ა მ ს უ ბ უ ქ ო, ე. ი. იმგვარად გარდაქმნა შრომითი პროცესები, რომ მათ შესრულებას შედარებით ნაკლები ფიზიკური და გონებრივი ენერგიის ხარჯვა დასჭირდეს(იდეალი აქ ისევ სრული უმოქმედობაა). მაგრამ ამგვარი შემსუბუქება არსებითად არ ცვლის საქმის ვითარებას: შრომა მაინც უსიამოვნო, არათავისუფალ მოქმედებად რჩება, და კიდევ საკითხავია, ამცირებს თუ ზრდის ამგვარი „შემსუბუქება" ადამიანის სუბიექტურ უარყოფით დამოკიდებულებას შრომისადმი: შესაძლოა, ფიზიკური ენერგიის ინტენსიური ხარჯვა, კუნთების დაძაბულობა რამდენადმე „ახშობს" შრომის არათავისუფლების და, ამდენად, შინაგანი უსაზრისობის შეგრძნებას, რაც ამ „ჩამხშობი" კომპონენტის გარეშე უფრო მძლავრი შეიქმნება. მე არა მაქვს ხელთ შესაბამისი სოციოლოგიური მასალა, მაგრამ მარტივი დაკვირვებაც გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ შრომის შემსუბუქების პროცესი სრულიადაც არ იწვევს ადამიანებში „შრომისმოყვარეობის" ზრდას, უფრო პირიქით. ერთადერთი ნამდვილად პოზიტიური შედეგი, რაც უშუალო ფიზიკური შრომისგან ადამიანის მოცილებას მოჰყვება, არის არა საკუთრივ შრომის „შემსუბუქება", „გაადვილება", არამედ მისი ეფექტიანობის ზრდა, რის შედეგადაც სასურველი შედეგი უფრო მალე მიიღწევა და ადამიანს უჩნდება მეტი „თავისუფალი დრო".

ამრიგად, თამაშის საზრისი თვით თამაშის შიგნითაა და ამის გამო ის ადამიანისათვის სასურველი, სასიამოვნო მოქმედებაა, შრომის საზრისი კი მის გარეთაა და ამიტომ შრომა არასასიამოვნო, არასასურველია ადამიანისათვის. თქმა იმისა, რომ შრომა მხოლოდ უტილიტარული მოქმედებაა, ე. ი. მისი საზრისი მის გარეთაა, ნიშნავს: შრომა თავისი ბუნებით არათავისუფალი მოქმედებაა. თუ ვიტყვით, რომ შრომის საზრისი (მიზანი) მის გარეთაა, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ თ ვ ი თ ო ნ შრომა ადამიანისათვის სიამოვნების, კმაყოფილების წყარო ვერ იქნება.

ეს დასკვნა, მიუხედავად მისი ლოგიკურობისა, ბევრს არ დააკმაყოფილებს. ხომ ფაქტია, რომ არსებობს მეტად და ნაკლებად სასიამოვნო შრომა და რომ ხანდახან ადამიანი ესწრაფვის შრომას ისე, რომ მატერიალური ანაზღაურების მოტივი მისთვის გადამწყვეტი არ არის. მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც მიუთითებენ, რომ თუმცა ამგვარ შრომას მატერიალური ანაზღაურების მოტივი არ განსაზღვრავს, მისი მამოძრავებელი არც თვით შრომითი აქტის მიმზიდველობაში უნდა ვეძიოთ. კერძოდ, შრომა შეიძლება მიმზიდველი იყოს, როგორც ფიზიკური ვარჯიში; როგორც ადამიანის სოციალური პრესტიჟის განმტკიცების საშუალება; როგორც რელიგიური აქტი (მაგალითად, როგორც შესრულება მცნებისა: ადამიანი მუდამ გართული უნდა იყოს სასარგებლო საქმის კეთებით, რადგან უსაქმურობამ შეიძლება ცოდვაში ჩააგდოს იგი, ან: პატიოსანი შრომით მოიხადე სასჯელი ჩადენილი ცოდვებისათვის); დაბოლოს, როგორც ზნეობრივი ქმედება — როდესაც შრომის მოტივია ის სარგებლობა, რაც ჩემი შრომის პროდუქტს მოაქვს მთელი საზოგადოებისა თუ კონკრეტული პიროვნებისადმი. ყველა ამ შემთხვევაში ცხადია, რომ შრომის საზრისი თვით შრომის გარეთ რჩება, შრომა მაინც ვერ სცდება ს ა შ უ ა-

3 შრომის ამგვარი გაგება ბიბლიაშია ფიქსირებული: ღმერთმა შეაჩვენა ადამი და იმით დასაჯა იგი, რომ მის შთამომავალთ მძიმე გარჯით უნდა მოეპოვებინათ პური არსობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლ ე ბ ი ს როლს. ხოლო თუ ასეა, თამაშთან მას საერთო ისევ არაფერი რჩება. ბუნებრივი გამოდის, რომ ადრე ნახსენებ ი. ჰეიზინგას, რომელიც თავის წიგნში ვრცლად მსჯელობს თემებზე: „თამაში და ომი", „თამაში და სამართალი", „თამაში და ფილოსოფია" — აზრადაც არ მოსვლია, რაღაცნაირად დაეკავშირებინა ერთმანეთთან თამაში და შრომა.

ბევრი ავტორი შრომის ასეთი გაგების ფარგლებში ცდილობს ახსნას კომუნისტური შრომის სპეციფიკაც, შრომის ქცევა ადამიანის პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად. ამ დროს პირველ პლანზე გამოდის შრომის ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა. საკმაოდ თანმიმდევრულად და დამაჯერებლად წყვეტს ამ საკითხს, მაგალითად, ნ. ნათაძე (შეგახსენებთ, რომ იგი იმ ავტორთაგანია, ვინც კატეგორიულად უპირისპირებს ერთმანეთს შრომასა და თამაშს). ის წერს: „შრომა იმიტომაა მოთხოვნილება, რომ მოთხოვნილებას წარმოადგენს თვით საგნის შექმნა. მე ვძლევ მასალის წინააღმდეგობას და ვაკეთებ ახალ რაღაცას, რაც მანამდე ქვეყნად არ იყო (იგულისხმება, რა თქმა უნდა, რომ ეს საგანი სიკეთისთვისაა განკუთვნილი). ამგვარი საგნის შექმნით ადამიანი თავის არსებობას ამართლებს, ამით მას ებადება რწმენა, რომ ქვეყნად სარგებლობა მოაქვს" [3, გვ.114]. ამ რწმენას აძლიერებს შრომის სოციალური მხარის მოწესრიგება: „თუ მშრომელს წილი უდევს საზოგადოების მართვაში, ხოლო წარმოებას, რომელშიც იგი ერთი ათიათასთაგანია, საზოგადოება მართავს, მაშინ მას აქვს გარანტია, რომ მისი შრომა მის უკითხავად წყალში არ გადაიყრება: წარმოებას ექნება მიზანი, რომელიც ჯიბის ინტერესზე არ დაიყვანება, და მშრომელს ექნება გარანტია, რომ მისი შორმა აზრიანია" [3, გვ. 116]. როგორც ვხედავთ, შრომის ამგვარი ინტერპრეტაცია საკმაოდ დამაჯერებელია, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ: მის მიხედვით გამოდის, რომ კომუნისტური შრომა გულისხმობს არსებითად არა შრომის ხასიათის, არამედ შრომის სუბიექტის მორალური განწყობის შეცვლას. რა თქმა უნდა, ეს ცვლილება ხდება უღრმესი სოციალური, ბაზისური გარდაქმნების საფუძველზე, — მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში საკუთრივ კომუნისტური შრომის ცნების შ ი ნ ა ა რ ს ი გვაინტერესებს. მოყვანილი ინტერპრეტაციით კი (რომელიც საკმაოდ გავრცელებულია, თუმცა ყოველთვის არ არის ასე ნათლად გადმოცემული) ეს შინაარსი შრომისადმი კომუნისტურ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს უტოლდება.

ჩემი აზრით, კ. მარქსის ნაწერებში შრომის სხვაგვარი გაგებაა რეალიზებული. კერძოდ, ამ გაგების თანახმად, დებულება, რომ შრომის საზრისი თვით შრომის გარეთაა, მიეყენება არა შრომას საერთოდ, არამედ მის ერთ-ერთ ფორმას — მართალია, ისტორიულად ყველაზე გავრცელებულს, მაგრამ ერთ-ერთს, თანაც გამრუდებულს, „გაუცხოებულს". ნამდვილი, თავისი ცნების შესაბამისი შრომა კი, გარკვეულ საზღვრებში, თამაშის მონათესავედ შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ამ მხრივ მარქსის წინამორბედია დიდი ფრანგი უტოპისტი შ. ფურიე. თავის თხზულებებში ის ამოდიოდა იმ თვალსაზრისიდან, რომ გარკვეულ პირობებში შრომა, შრომის პროცესი შეიძლება თავისთავად მიმზიდველი გახდეს. მაგრამ მას ეს საკითხი საკმაოდ გამარტივებულად ესმოდა. ამ სიმარტივის საფუძველი ისაა, რომ ფურიე შრომის ნეგატიურ მხარეს მხოლოდ მის მ ო ნ ო ტ ო ნ უ რ ო ბ ა შ ი ხედავს. ამიტომ საკმარისია ეს გარეგნული მონოტონურობა მოიხსნას, რომ ნებისმიერი შრომა სასიამოვნო და სახალისო პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცესად იქცეს. ხოლო მონოტონურობის თავიდან აცილება შეიძლება შრომის სახეთა ხშირი ცვლით: როგორც კი სწორედ ამგვარი შრომა თავს მოგვაბეზრებს, მაშინვე სხვა ტიპის შრომაზე გადავიდეთ. ამით შრომა საუკეთესო გართობად იქცევა და იმდენად მიმზიდველი გახდება, რომ კაცი ძილისთვისაც კი ძნელად გაიმეტებს დროს და დილაუთენია ადგება, რომ შრომა-გართობას მიჰყოს ხელი (ფურიეს ზუსტად ჰქონდა წარმოდგენილი მომავალი საზოგადოების ადამიანის დღის რეჟიმი, რომელსაც ეს უკანასკნელი სრულიად ძალდაუტანებლად დაიცავს). ამასთან, მთელი საზოგადოების მასშტაბით შრომა-გართობათა ერთობლიობა ეკონომიკურად საოცრად ეფექტურ ჰარმონიას ქმნის: მე რომ ერთი სახის სამუშაო მომწყინდება და სხვაზე გადავალ, სწორედ ამ დროს ვიღაც სხვას რაღაც სხვა საქმე მოაბეზრებს თავს და იგი სიამოვნებით გააგრძელებს ჩემს დაწყებულს [იხ. 11, გვ. 113—122 და სხვაგან].

ფურიეს მსჯელობის გულუბრყვილობა აშკარაა და მისი კრიტიკა დღეს ძნელი არ არის. ჩვენთვის მთავარია მივუთითოთ მის პრინციპულ, ძირეულ შეცდომაზე. რაიმე საქმე მაშინ შეიძლება აღვიქვათ, როგორც სახალისო რამ გასართობი, როცა მისი გაკეთება-არგაკეთების მხრივ სრულიად თავისუფალნი ვართ, როცა ის შეიძლება გაუკეთებელიც დავტოვოთ, როცა მისი შესრულებისაკენ არავითარი გარეგანი აუცილებლობა არ გვიბიძგებს. ფურიეს „სოციეტარული სამყაროს" მოქალაქეს კი, რაც გინდა ადვილად იცვალოს მან თავისი შრომა-გასართობები, შეგნებული ექნება, რომ უსაქმურობა არ შეუძლია — არა იმიტომ, რომ თვითონ არ უნდა, არამედ იმიტომ, რომ უშრომლად სასიცოცხლო სარჩოს ვერ მოიპოვებს. ამდენად, რაც გინდა სახალისო და საინტერესო იყოს შრომის პროცესი, თუ ის ეკონომიკური ამოცანის შესრულებას ემსახურება, თამაშად ვერასოდეს იქცევა. ამასთან დაკავშირებით მარქსი საგანგებოდ აღნიშნავს: „Труд не может стать игрой, как того хочет Фурье" [6, ტ. 46, გვ. 221].

რაც შეეხება თვით მარქსის შეხედულებას შრომის რაობის შესახებ, თეზისურად ის შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ[4]: მარქსის თანახმად, შრომა თავისი არსით, თავისი ცნებით არის ადამიანის იდეალური ჩანაფიქრის განხორციელება საგნობრივი ფორმით, ბუნების საგნის კულტურის საგნად ქცევა. შრომა ერთადერთი საშუალებაა, რისი წყალობითაც ადამიანი, როგორც უნივერსალური არსება, ადგენს, ავლენს თავის უსასრულო პოტენციას. შრომა არის „ადამიანის სამყაროს" აგება, ურომლისოდაც ადამიანი ფიქციაა, ცარიელი, უშინაარსო ცნებაა. ამგვარად გაგებული, იდეალიზებული შრომა თანხვდება შემოქმედებას, რადგან ამ უკანასკნელის ცნებაში, თუ მას, ერთის მხრივ, მისტიკურ-ირაციონალურ, მეორეს მხრივ კი ფსიქოლოგიურ დანამატებს მოვაცილებთ, სხვა არაფერი იგულისხმება, თუ არა ის, რაც ზემოთ შრომაზე ვთქვით. შრომა ადამიანის თვითგანხორციელებაა და, ამდენად, შემოქმედებითი მოღვაწეობაა. მაგრამ ისტორიულად ისე მოხდა, რომ შრომის სხვადასხვა კომპონენტები — კერძოდ, ერთის მხრივ, იდეალური ჩანაფიქრების, „პროექტების" შემუშავება („გონებრივი", „სულიერი" შრომა) და მეორეს მხრივ, ამ პროექტების შესრულება („ფიზიკური" შრომა) სხვადასხვა ადამიანებზე, მეტიც, საზოგადოების სხვადასხვა კლასებზე განაწილდა, თანაც

---

4 უფრო ფართოდ შრომის მარქსისტული ფილოსოფიური კონცეფცია განხილული მაქვს სტატიაში „შრომა, კულტურა, შემოქმედება" [4].

ეროვნული ბიბლიოთეკა



საკუთრივ „შრომის“ სახელი შრომის მეორე, შესრულებით მხარეს მიეწერა. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ შრომა მექანიკურ, ბუნებრივი პროცესების მაგვარ მოქმედებად გადაიქცა, რომელშიც მისი სუბიექტი — მშრომელი — მხოლოდ „ბუნების გაწვრთნილი ძალის“ [6, ტ. 46, გვ. 119] სახით გამოდიოდა. ამიტომ მშრომელისათვის, პიროვნებისათვის (მაგრამ არა მთელი საზოგადოების მასშტაბით) შრომამ დაკარგა თავისი საზრისი, ძირეული დანიშნულება და გადაიქცა მისი შინაგანი უნივერსალურ-შემოქმედებითი ბუნებისათვის უცხო, გარეგნულ, იძულებით საქმიანობად, რომელსაც მარქსმა „გაუცხოებული შრომა“ უწოდა.

აქედან ჩვენს თემასთან დაკავშირებით შემდეგი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: თუკი შრომას განვიხილავთ ონტოლოგიურ დონეზე, როგორც ადამიანის თვითგანხორციელებას, თვითშექმნას, რომლის პროცესშიც „ადამიანის ძალის განვითარება“ „თვითმიზნად“ გამოდის, მაშინ შეგვიძლია ისიც ვთქვათ, რომ შრომის საზრისი თვით შრომის შიგნითაა და ამ ნიშნით შრომა თამაშის მონათესავე გამოდის. მაგრამ ამ დასკვნის გასამართლებლად აუცილებელია ერთი არსებითი შენიშვნა გავაკეთოთ. დებულება: „შრომის საზრისი თვით შრომის შიგნითაა“ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს შრომის საზრისი შრომის *პროცესშია* საძიებელი. შრომის პროცესი მხოლოდ ერთ-ერთი (თუმც ცენტრალური, გამაშუალებელი და გარეგადამწვდომი) ელემენტია შრომისა, რომლის სხვა მხარეებსაც შეადგენენ შრომის სუბიექტი, შრომის საგანი, შრომის იარაღი, შრომის მიზანი. სხვათა შორის, არც ისაა მთლად სწორი, როდესაც ამბობენ: თამაშის საზრისი თვით თამაშის პროცესიაო. თუკი თამაში შეჯიბრის ხასიათს ატარებს, მაშინ თამაშის პროცესი ექვემდებარება ამ პროცესის გარეთ მდგომ მიზანს — მოგებას. მაგრამ ეს არ ცვლის იმ გარემოებას, რომ თამაშის საზრისი იმანენტურია თვით თამაშის მიმართ, რადგან მოგებას (სანამ თამაში მართლა თამაშია და პროფესიულ სპორტად არ გადაგვარებულა) მხოლოდ თამაშის მიმართ აქვს საზრისი, თამაშის პირობითი დრო-სივრცის გარეთ ის მნიშვნელობას კარგავს — ყოველ შემთხვევაში, უშუალო გავლენას არ ახდენს მოთამაშის სოციალურ-სამეურნეო ცხოვრებაზე. ანალოგიურად შეიძლება ვიმსჯელოთ შრომაზე. ის, რომ შრომის საზრისი იმანენტურია თვით შრომის მიმართ, არ ნიშნავს, რომ მშრომელი თავისი შრომის პროცესით ტკბება. შრომის პროცესს ყოველთვის შრომის მიზანი განსაზღვრავს, მაგრამ გამოთქმას „შრომის მიზანი“ ორგვარი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. დავუშვათ, მე ვაკეთებ სკამს. რა პასუხი უნდა გავცე კითხვაზე: „რა არის ჩემი შრომის მიზანი?“ მე შემიძლია ვთქვა: „ჩემი შრომის მიზანი არის გავაკეთო სკამი“. ამ დროს სიტყვაში „შრომა“ იგულისხმება შრომის პროცესი, შრომის მიზანში კი — შრომის *შინაგანი* მიზანი, რომელიც „შიგნიდან“, ე. ი. შინაარსეულად განსაზღვრავს შრომის პროცესს. მაგრამ შეიძლება ჩემი პასუხი ასეთი იყოს: „ჩემი შრომის მიზანია ჩემი ოჯახის წევრებს ვასიამოვნო“, ან: „ჩემი შრომის მიზანია ფული გავაკეთო“. ამ დროს სიტყვაში „შრომა“ იგულისხმება შრომა მისი კომპონენტების მთლიანობაში (აქ შედის შრომის შინაგანი მიზანიც), შრომის მიზანში კი — შრომის *გარეგანი* მიზანი, რომელიც გადის „თვითონ შრომის“ გარეთ და შრომის პროცესს ან არაპირდაპირ უკავშირდება, ან (ფულად-სასაქონლო ურთიერთობების დროს) სულაც შემთხვევით ეთანადება მას. „გაუცხოებული შრომა“ სწორედ

ეროვნული ბიბლიოთეკა



იმგვარ შრომას ჰქვია, როდესაც შრომას მისთვის უცხო შემთხვევითი გარეგანი მიზანი განსაზღვრავს.

შრომის საზრისი რომ თვით შრომის შიგნითაა, ეს არც იმას ნიშნავს, რომ შრომამ დაკარგა „სიმძიმე“ და მსუბუქ, „ადვილ“, გასართობ საქმედ იქცა. როდესაც მარქსი აკრიტიკებს ფურიეს იმისათვის, რომ მან თავის „სოციეტარულ საზოგადოებაში“ შრომა ცარიელ გასართობად წარმოადგინა, იგი გახაზავს: «Действительно свободный труд, например, труд композитора, вместе с тем представляет собой дьявольски серьезное дело, интенсивнейшее напряжение» [6, ტ. 46, გვ. 110]. უცხო საგნობრიობის „თავის ჭკუაზე“ მოქცევა, სუბიექტურობის ობიექტურ ფორმებში ჩატევა უბრძოლველად არ ხდება. ამ ბრძოლის ამსახველია ისეთი გამოთქმები, როგორც „შემოქმედებითი წვა“, „შემოქმედებითი ტანჯვა“. რაც უფრო ღრმად იჭრება ადამიანი საგნობრიობაში, თავისი სუბიექტურობის რაც უფრო ღრმა ფენების ამოზიდვას ცდილობს საგნობრიობის სამზეოზე, მით უფრო ინტენსიურია ეს „ტანჯვა“. მისი შიში შეიძლება ხელსაც უშლიდეს კაცს, თავის საქმეს შეუდგეს. ცნობილი შეხედულება ნიჭისა და სიზარმაცის ერთიანობის შესახებ ბევრი უსაქმურის გასამართლებელი ყოფილა, მაგრამ მასშიც არის თავისი სიმართლე: ნიჭიერი კაცი რთულ ამოცანებს ისახავს მიზნად, ამგვარი ამოცანის შესრულებას კი გაცილებით მეტი პიროვნული ენერგიის დახარჯვა სჭირდება, ვიდრე გაკვალული გზით სიარულს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედებით საქმეს გაცილებით მეტი სიძნელე ახლავს თან, მას მაინც გამოუჩნდება ხოლმე გამკეთებელი. რატომ? ეკონომიკურად ის შეიძლება მომგებიანი არც იყოს, არც მისი ზნეობრივი საზრისია ხშირად წინასწარ ნათელი. თვითონ საქმე „ეძახის“ ადამიანს, მოსვენებას არ აძლევს და თავს აკეთებინებს. თვითონ შრომა, თუ ის თავისუფალია გარეგანი იძულებისაგან, გამოდის საკუთარი თავის დეტერმინანტად, — ისევე, როგორც თამაში.

მაგრამ ყოველივე, რაც ჯერჯერობით შრომისა და თამაშის მიმართებაზე პოზიტიური აზრით ვთქვით, იდეალურ პლანს, ცნებით დონეს შეესაბამებოდა. რანაირად უნდა დავუკავშიროთ ეს ცნებითი დონე რეალობას? რამდენად შეიძლება ვილაპარაკოთ თავისუფალი შრომის, შრომის განთავისუფლების რეალურ შესაძლებლობაზე? ხომ ფაქტია, რომ ადამიანმა, სანამ ის ადამიანად რჩება, უნდა იზრუნოს თავისი ფიზიკური არსებობის შენარჩუნებაზე და საამისოდ უნდა იშრომოს. მაშასადამე, შრომა სავსებით ვერ განთავისუფლდება მისთვის გარეგან მიზანზე დამოკიდებულებისაგან. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ თავისუფალი, შემოქმედებითი შრომა ფილოსოფოსის მშვენიერი ზმანებაა მხოლოდ? შეგვიძლია მოვიშველიოთ ამგვარი კონცეფცია: ცალკეული ადამიანი ცალკეულ შრომით აქტში, როგორც წესი, ეკონომიკური ამოცანის შესრულებაზეა ორიენტირებული (ე. ი. —უბრალო სიტყვებით რომ ვთქვათ — თავის და თავისი ოჯახის წევრთა რჩენაზე). მაგრამ ბუნება ადვილად არ უთმობს მას თავის სიმდიდრეს. იმისათვის, რომ რაიმე გამოსტყუოს მას, ადამიანს მთელი თავისი ძალების დაძაბვა სჭირდება. ამასთან ერთად, იზრდება მისი (და, რაც მთავარია, ოჯახის წევრების) მოთხოვნილებები, მშრომელმაც თავისი შრომით სულ მეტი და მეტი (რაც მთავარია, მრავალფეროვანი) პროდუქტი უნდა შექმნას. ამას ემატება სოციალური ფაქტორები — მჩაგვრელთა კლასის ძალდატანება, კაპიტალიზმის დროს — კონკურენცია. მშრომელს სულ ახალი და ახალი შრომითი ხერხების გამოგონება უხდება. ეს „ახალი შრომითი ხერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხების გამოგონება“ არის სწორედ ის, რაზეც ზემოთ ვლაპარაკობდით: ადამიანის შინაგანი ძალების განამდვილება, ბუნებასა და საკუთარ თავში ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა. ამ პროცესში ადამიანი ხანდახან „შემოქმედებით სიხარულსაც“ განიცდის, მაგრამ ეს არ არის მთავარი: მიუხედავად იმისა, უხარია მას თუ იტანჯება, ობიექტურად საქმე კეთდება, ყალიბდება მრავალმრხივი უნარების მქონე, უნივერსალური არსება — ადამიანი, ფართოვდება მისი თვალსაწიერი, იქმნება ადამიანის სამყარო — კულტურა (რომელშიც, რა თქმა უნდა, ადამიანის ეს ახალი უნარებიც შედის). ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ: შრომა არის ადამიანის დადგენა-განამდვილება, მარქსის სიტყვებით, „ბუნების ჰუმანიზაცია და ადამიანის ნატურალიზაცია“, ე. ი. ბუნებრივი პოტენციების ათვისება ადამიანის მიერ და ადამიანური შესაძლებლობების განხორციელება ბუნების მიერ შემოთავაზებული მასალის მეშვეობით. შესაბამისად, ერთეული ადამიანისათვის შრომა სრულებით არ იქნება თამაში, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ცალკეული ადამიანი კვდება, ხოლო მისი შრომის რაღაც მხარე კულტურის მონაპოვრად შეიძლება იქცეს და მომავალ თაობებს გადაეცეს, მაშინ „აბსოლუტურ“ დონეზე შრომა თვითმიზნური მოღვაწეობაა და ცალკეული ადამიანის სწრაფვა სარჩოს მოპოვებისაკენ მხოლოდ მექანიზმია, რითაც ინდივიდის ენერგია მოძრაობაში მოიყვანება ზოგადი მიზნის მისაღწევად. მოკლედ, ვიღებთ ჰეგელის „გონის ეშმაკობის“ ნაცნობი სქემის თავისებურ ინტერპრეტაციას: ინდივიდი აქაც საშუალებად გამოდის აბსოლუტისთვის, ოღონდ აბსოლუტის როლს ამჯერად კულტურა თამაშობს. ადამიანისთვის შრომა წვალებაა, ჯაფაა, ოფლისღვრაა, აბსოლუტის თვალსაზრისით — თამაში, ადამიანის ძალების კიდევ ერთხელ და ახალი სახით მოსინჯვა. დაახლოებით ამას გულისხმობენ, როცა ამბობენ, შრომა არა მხოლოდ ეკონომიკური ამოცანის შესრულება, სასარგებლო ნივთების ქმნაა, არამედ აგრეთვე ადამიანის ადამიანად ჩამოყალიბებააო (თუმც ჰეგელთან ანალოგიებს, როგორც წესი, ერიდებიან და არც თამაშთან ადარებენ შრომას).

ამ კონცეფციაში ბევრი რამ სწორია: ადამიანის შესაძლებლობათა განამდვილება, ადამიანის ადამიანად ქცევა შრომის პროცესში ისე მომხდარა, რომ თვითონ ერთეული მშრომელი სუბიექტი თავის შრომას „არაადამიანურად“ განიცდიდა და პირადად იგი სულაც არ გრძნობდა, რომ „ვითარდებოდა“ — პირიქით, შრომა უფრო ცხოველურ დონესთან აბრუნებდა მას. შრომითი პროცესების განვითარება საბოლოო ჯამში ყოველთვის ადამიანური უნარების, ადამიანის განვითარებაა, მაგრამ შესაძლებელია ეს მხოლოდ მთელი საზოგადოების მასშტაბით იყოს ასე, ცალკეული ინდივიდები კი მრავლად ეწირებიან „საერთოდ ადამიანის“ ამაღლებას. „გაუცხოებული შრომის“ ერთ-ერთი არსებითი ასპექტი სწორედ ისაა, რომ ამა თუ იმ საზოგადოების მწარმოებლურ ძალთა განვითარების დონე უცხო რჩება ერთეული მშრომელი ინდივიდებისათვის. ჩვენი თემის მხრივ აქედან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ აღნიშნული სქემა, რომელიც შრომის ონტოლოგიურ გაგებასაც აერთიანებს და ეკონომიკურსაც, ინარჩუნებს შრომისა და თამაშის დაპირისპირებას, რამდენადაც საქმე ერთეულ მშრომელს ეხება. ამ „ერთეულ მშრომელში“ იგულისხმება ისიც, ვისაც შრომის საზოგადოებრივმა განაწილებამ შედარებით შემოქმედებითი საქმე არგუნა — რაკი შრომის მიზანი ეკონომიკურია, „თამაშზე“ ლაპარაკი ზედმეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოველივე ეს წარსულს, გაუცხოებული შრომის სამყაროს ეხება. მაგრამ როგორ გვექნება საქმე შრომის გაუცხოების მოხსნის პირობებში? გაუცხოების მოხსნა შრომის განთავისუფლებაა. რა აზრს ვდებთ ამ გამოთქმაში — „შრომის განთავისუფლება"? შრომა და თამაში ხომ თავდაპირველად იმ ნიშნით დავუპირისპირეთ ერთმანეთს, რომ თამაში თავისუფალი მოღვაწეობაა ადამიანისა, შრომა კი — არათავისუფალი. არის თუ არა შრომის განთავისუფლება „განთავისუფლება" სწორედ ამ აზრით და ამდენად ხომ არ მოასწავებს ის დაპირისპირების მოხსნას შრომასა და თამაშს შორის?

ამ საკითხის გასარკვევად საჭიროა მოვიხმოთ მარქსის მოძღვრება აუცილებლობისა და თავისუფლების სამეფოთა შესახებ. აუცილებლობის სამეფოს მარქსი უწოდებს მატერიალური წარმოების სფეროს. კომუნისტური საზოგადოების პირობებში ამ აუცილებლობის სამეფოს შიგნით მაქსიმალური თავისუფლება იქნება მიღწეული, რაც იმაში მდგომარეობს, რომ „სოციალიზებული ადამიანი, ასოციაციაში შეკავშირებული მწარმოებლები ამ თავიანთ ნივთიერებათა ცვლას ბუნებასთან რაციონალურად არეგულირებენ, მას თავიანთ საერთო კონტროლს უქვემდებარებენ, იმის ნაცვლად, რომ პირიქით, იგი ბრმა ძალასავით ბატონობდეს მათზე". „მაგრამ, — განაგრძობს მარქსი, — ეს მაინც აუცილებლობის სამეფოდ რჩება. მის მიღმა იწყება ადამიანის ძალის განვითარება, რომელიც წარმოადგენს თვითმიზანს, თავისუფლების ჭეშმარიტ სამეფოს" [1, ტ. 3, ნაწ. 2, გვ. 449][5]. ამ „თავისუფლების ჭეშმარიტი სამეფოს" ტერიტორია თანხვდება საზოგადოების „თავისუფალი დროის" ტერიტორიას, თავისუფალი დრო კი მარქსს ესმის როგორც არა უბრალოდ მოცალეობა, არამედ როგორც დრო, „განკუთვნილი უფრო ამაღლებული მოღვაწეობისათვის" [6, ტ. 46, გვ. 221]. ეს „უფრო ამაღლებული მოღვაწეობა" არის თავისუფალი, შემოქმედებითი შრომა, რომელიც წარმოადგენს თვითმიზანს და ამდენად უნათესავდება ადამიანის „ფიზიკური და სულიერი ძალების თამაშს".

ხომ არ ნიშნავს ეს, რომ „აუცილებლობის სამეფოს" ტერიტორიაზე შრომის ხასიათი არ იცვლება, რომ საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის პირობების ოპტიმიზაცია მხოლოდ მის სოციალურ და ზნეობრივ ასპექტებს შეეხება (შრომისა და მისი პროდუქტების სამართლიან განაწილებას, ან კიდევ შრომის მოტივის ზნეობრივ გამართლებულობას, რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი), რომ ამგვარი შრომა მოკლებულია შემოქმედებით მუხტს და არ შეიძლება თავისთავად მიმზიდველი იყოს? რა თქმა უნდა, არა. მარქსის მიხედვით, მწარმოებლურ ძალთა განვითარებასთან ერთად შრომა მიიღებს მეცნიერულ ხასიათს, „უშუალო შრომა", ე. ი. ადამიანის მიერ სხვადასხვა მექანიკური ოპერაციების შესრულება, მთლიანად გადაეცემა მანქანათა სისტემას, ადამიანი კი ამ პროცესის „გვერდით" დადგება, როგორც მისი მარეგულირებელი, როგორც საზოგადოებრივი გონების წარმომადგენელი. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი შრომის პროცესში განთავისუფლდება მექანიკური, მანქანურისმაგვარი ფუნქციების შესრულებისაგან და მხოლოდ მის სპეციფიკურ-ადამიანურ, შემოქმედებით

---

5 ან იქვე: „თავისუფლების სამეფო სინამდვილეში იქ იწყება, სადაც შეწყდება შრომა, რომელიც ნაკარნახევია გაჭირვებითა და გარეგანი მიზანშეწონილებით; მაშასადამე, თავისი ბუნების მიხედვით ეს სამეფო საკუთრივ მატერიალური წარმოების სფეროს მიღმა მდებარეობს" [1, ტ. 3, ნაწ. 2, გვ. 448].

ეროვნული ბიბლიოთეკა



უნარებს გამოიყენებს, შრომის პროცესშიც (და არა მხოლოდ მის გარეთ) ადამიანად იგრძნობს თავს [იხ. 6, ტ. 46, გვ. 213—218]. მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ეს შრომა საბოლოო ჯამში მაინც ადამიანის გარდუვალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება, ამ შრომის გარეშე ადამიანი თავის არსებობას ვერ შეინარჩუნებს. ამიტომ აქ უნდა გავიმეოროთ ის, რაც ზემოთ ვთქვით ფურიეს კრიტიკასთან დაკავშირებით: რაც გინდა სასიამოვნო და მიმზიდველი იყოს შრომა სუბიექტურად, ფსიქოლოგიურად, ადამიანური თავისუფლების განხორციელებად ის იქცევა მხოლოდ მაშინ, როდესაც *მიზნის* (და არა მხოლოდ პროცესის) მხრივ იქნება თავისუფალი.

მაშასადამე, მივედით დასკვნამდე, რომ შრომისა და თამაშის იგივეობაზე (მათი თვითმიზნურობის ნიშნით) მხოლოდ „თავისუფლების სამეფოს" მიმართ შეიძლება ლაპარაკი. დასასრულ უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს: რამდენად *სრულია* ეს იგივეობა? შეგვიძლია თუ არა კატეგორიულად განვაცხადოთ, რომ მატერიალური წარმოების, „აუცილებლობის სამეფოს" მიღმა ადამიანი კომუნისტურ საზოგადოებაში „მოთამაშე ადამიანად" იქცევა? არა, ამის თქმა არ შეგვიძლია. შემოქმედებითი შრომა უტოლდება თამაშს იმ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მონოლოგურ პროცესად წარმოვიდგენთ, ე. ი. თუ ჩავთვლით, რომ შრომის სუბიექტის (ეს სუბიექტი შეიძლება კოლექტიურიც იყოს) ერთადერთი პარტნიორი ბუნებაა, ხოლო წარმმართველი ამ შრომისა — ბუნების მოთვინიერების აზარტი. შრომის სუბიექტად თუ მთელ კაცობრიობას განვიხილავთ, ამის უფლება გვექნება. მაგრამ ერთეული სუბიექტისათვის, პიროვნებისათვის შემოქმედება *დიალოგური* პროცესია. შემოქმედების პროდუქტი არ არის რაღაც თვითკმარი, ის არის *ნიშანი*, რომელსაც აქვს *საზრისი*, მას მოაქვს რაღაც *ცნობა*, განკუთვნილი მეორე ადამიანისათვის. შემოქმედება მეორე ადამიანთან ურთიერთობაა; ის არა მარტო თვითდადგენაა, არამედ *თვითგახსნაც*. შემოქმედების წყალობით, შემოქმედების პროდუქტით გაშუალების შედეგად ადამიანთა ურთიერთობა მათი არსის ულრმეს, უსაკუთრეს, ინტიმურ ფენებს მოიცავს — ამიტომ მას, როგორც სწორედ ურთიერთობის ფორმას, სხვა ვერაფერი შეცვლის. ამ კომუნიკაციური ფუნქციის წყალობით შემოქმედებითი შრომა ტრანსცენდირებს საკუთარ თავზე — ტრანსცენდენტურობა კი აუქმებს თამაშს. თამაში წმინდად იმანენტური მოღვაწეობაა.

მაგრამ თავისუფალ შრომას, შემოქმედებასა და თამაშს შორის ანალოგიის ნაწილობრივი ხასიათი სულაც არ უარყოფს ამ ანალოგიის *სიღრმეს*. მისი განხილვა, ჩემი აზრით, ახალი და საინტერესო კუთხით წარმოაჩენს კომუნისტური შრომის, საერთოდ კომუნისტური საზოგადოებრივი იდეალის ზოგიერთ პრობლემას.

**Г. О. НОДИА**

## К. МАРКС О СООТНОШЕНИИ ТРУДА И ИГРЫ

Резюме

Соотношения труда и игры К. Маркс касается в своих сочинениях всего несколько раз. Однако анализ этого соотношения на основе его вы-

ეროვნული ბიბლიოთეკა

сказываний способен высветить интересные аспекты марксовой философской концепции труда, в частности, вопросы, связанные с сущностью коммунистического труда, труда, как первой жизненной потребности человека. В традиционном понимании труд и игра предстают как взаимоисключающие виды человеческой деятельности и в позитивном плане их соотношение можно мыслить лишь с **генетической** точки зрения. Но Маркс, поняв труд как самополагание, самоосуществление человека, тем самым сделал возможным рассмотрение **сущностной** взаимосвязи труда и игры. Игра при этом понимается как свободная, самоцельная и самоценная деятельность, ставящая человеческий порядок на место вещного порядка мира. Соотношение труда и игры по-разному предстает, во-первых, в условиях «отчужденного труда» (здесь об этом соотношении можно говорить лишь в идеальном плане), а в коммунистическом обществе — применительно к «царству необходимости» (сфере материального производства) и «царству свободы» (свободному времени). Реальное тождество труда и игры возможно лишь в последнем случае, но и тут оно носит частичный характер, ибо свободный труд является не только «игрой физических и интеллектуальных сил» человека [7, т. 23, с. 189], но и формой **общения**, диалогической деятельностью, которая уже никак не сводится к игре.

## ლიტერატურა


1. მარქსი კ., კაპიტალი, თბ., ტ. 1. 1954; ტ. 3, ნაწ. II, 1959.
2. ანდრონოვი ი., კარლ მარქსის მოძღვრება და სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის ზოგიერთი საკითხი. „საქართველოს კომუნისტი", 1983, № 3.
3. ნათაძე ნ. ადამიანი ადამიანთა შორის. თბ., 1979.
4. ნოდია გ. შრომა, კულტურა, შემოქმედება. „მაცნე", ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია. 1981, № 4.
5. შილერი ფ. რჩეული თხზულებანი სამ ტომად, ტ. 3, თბ., 1965.
6. Маркс К. и Энгельс Ф. Сочинения.
7. Бюхер К. Работа и ритм. СПб., 1899.
8. Кант И. Сочинения в шести томах, т. 5, М., 1966.
9. Кантор К. Красота и польза. М., 1967.
10. Плеханов Г. Сочинения, т. XIV, М., 1926.
11. Фурье Ш. Избранные сочинения, т. III, М., 1954.
12. Эльконин Д. Психология игры. М., 1978.
13. Marx K. Das Kapital. Erster Band. Dietz Verlag, Berlin, 1962.
14. Huizinga J. Homo ludens. Hamburg, 1956.


წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ჭავჭავაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფილოსოფია

მამუკა დოლიძე

## ენა და რეალობა სუბიექტ-ობიექტის განსხვავებულ მიმართებებში

თანამედროვე მეცნიერული და მხატვრული აზროვნების განვითარებამ განსაკუთრებული სიმწვავით დააყენა ენისა და რეალობის ურთიერთმიმართების პრობლემა. ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში, კვანტური თეორიის დაბადებამ დასვა საკითხი მიკროსამყაროში მაკროცნებათა აუცილებლობის შესახებ. ეს პოსტულატი, ისტორიაში შესული ბორის პრინციპის სახელწოდებით, თავისი შინაარსით გასცდა ფიზიკურ პრობლემატიკას და მეცნიერების ენის ზოგად-ფილოსოფიურ ასპექტს შეეხო. გამოირკვა, რომ სუბიექტისაგან იზოლირებული ფიზიკური სისტემის აბსტრაქცია, რომლის საფუძველზე იყო აგებული მთელი კლასიკური ფიზიკა, უვარგისია მოვლენათა კვანტურმექანიკური შემეცნების დონეზე, სადაც სუბიექტი თავისი გაზომვის საშუალებებითა და აღწერის ენით არის არა პასიური მჭვრეტელი, არამედ იმ ურთიერთქმედების განუყოფელი ნაწილი, რომლის ინტეგრირებულ შედეგს წარმოადგენს მთელი მიკროფიზიკური რეალობა. ამასთან დაკავშირებით შეიცვალა ენის ფუნქციაც. ის გამოჩნდა განუყოფელ ერთიანობაში თავის საგნობრივ არსთან. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ურთიერთშერწყმა მოხდა არა მხოლოდ მიკროკოსმში, არამედ ყველგან, სადაც შემეცნებამ მიაღწია იმ სიზუსტესა და სიღრმეს, რომელშიც დაიკარგა ზღვარი სუბიექტსა და ობიექტს შორის, სადაც შეუძლებელი გახდა ამ ორი მხარის ერთმანეთისგან მოწყვეტა.

მხატვრული აზროვნების განვითარებამ მიაღწია ისეთ საფეხურს, სადაც მოსალოდნელია სუბიექტის (მთხრობელის) და ობიექტის (ნაწარმოების შინაარსის) განუყოფელი შერწყმა. მხედველობაში გვაქვს არა ავტორისეული მე-ს უშუალო ჩანართი მისი წარმოსახვის სამყაროში, (რაც უცხო არ არის კლასიკური აზროვნებისთვის), არამედ მხატვრული რეალობის ქსოვილთან ისეთი სუბიექტური ელემენტების შეერთება, რომლებიც ამ რეალობის არსებობის წინაპირობას შეადგენენ. ასეთი ერთიანობის გამო ფორმა მკვეთრად აღარ არის გამიჯნული შინაარსისაგან. ამიტომ ხდება ზოგჯერ როლების შეცვლა: ფორმის (სტილის) სახეცვლილებას შინაარსეული მნიშვნელობა ენიჭება, გადმოცემული შინაარსი კი სცილდება თავის საგნობრივ არსს და სტილთან გაიგივებული ავტორის კონკრეტულ ფსიქო-ფიზიკურ მდგომარეობას გამოხატავს. ასეთი ურთიერთგადასვლა სრულიად უცხოა ტრადიციული მხატვრული აზროვნებისთვის, სადაც გაშუალებულად მოცემული მთხრობელი ანუ სტილი მკვეთრადაა გამიჯნული გადმოცემული ამბისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი ისეა მოწოდებული, თითქოს ის ნამდვილად მომხდარია და არა გამოგონილი. რა თქმა უნდა ასეთი, (ვუწოდოთ მას კლასიკური), მიდგომის ფარგლებში არაა აუცილებელი, რომ მხატვრული ნაწარმოები ობიექტური რეალობით იყოს მკაცრად განსაზღვრული. ხელოვნებას თავისი თამაშის წესები აქვს და ამ კანონთა საფუძველზე მხატვრულ რეალობაში ისეთი რამ შეიძლება არსებობდეს, რაც სინამდვილეში შეუძლებელია. ამრიგად, კლასიკური მიდგომა არ ამოიწურება რეალიზმით და სხვა მიმდინარეობებსაც მოიცავს, მაგრამ ყველა მის საზღვრებში მოქცეულ ქმნილებათა მრავალფეროვ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნებისთვის არსებითია ერთი მომენტი: როგორიც არ უნდა იყოს მხატვრული ნაწარმოები, სინამდვილეს მიახლოებული თუ მისგან დაშორებული, ის პირობითად გამოდის როგორც თავისთავადი, დამოუკიდებელი რეალობა და არა როგორც სუბიექტის წარმოსახვის შედეგი. იმ პირობითობაში, თამაშის იმ წესებში, რომელთა დაცვით აიგება „ტრადიციული“ ნაწარმოები, იგნორირებულია შემქმნელი სუბიექტი და მისი შედეგი მიჩნეულია პირველად, თავისთავად არსებულ სამყაროს ასახვად.

პრინციპულად განსხვავებულ საფუძველზეა აგებული „არატრადიციული“ ნაწარმოები, რომლის მაგალითად ჩვენ დავასახელებთ თომას მანის ტრილოგიას „იოსები და მისი ძმები“. აი რას წერს თვითონ ავტორი ამ რომანის შესახებ.

«Поясняющая и анализирующая авторская речь, прямое вмешательство писателя отнюдь не всегда противопоказаны искусству, — все это может быть элементом искусства, самостоятельным художественным приемом... Книга комментирует самое себя, — она говорит, что эта легенда, пережившая на своем веку столько разных переложений и преломлений, на этот раз преломляется в особой среде, где она как бы обретает самосознание и по ходу действия поясняет самое себя. **Пояснения входят здесь «в правила игры», они представляют собой по-сути дела не авторскую речь, а язык самой книги, в сферу которого они включены**... это речь косвенная, стилизованная и шутливая, способствующая мнимой достоверности, очень близкая к пародии или, во всяком случае, иронизирующая, ибо применять научные методы к материалу совсем не научному, сказочному — значить заведомо иронизировать над ним» (ხაზგასმა ჩვენია — მ. ღ.) [4, ტ. 4, გვ. 174 ].

როგორც მწერლის ამ გამონათქვამიდან ჩანს, თამაშის იმ წესებში, რომელთა დაცვით არის გათამაშებული ეს ტრილოგია, არაა დაშვებული შინაარსის ფარდობითი დამოუკიდებლობა მთხრობელისაგან, დოკუმენტური სიზუსტის მიუხედავად იგრძნობა ირონია, რაც გამოიხატება გადმოცემული ამბისა და გადმოცემის მანერის შეუფარდებლობაში. ავტორისა და მასალის (სუბიექტისა და საგნის) ასეთი ურთიერთშერწყმის გამო მწერლის კომენტარები შინაარსის გარეთ კი არაა გატანილი, არამედ თვით ნაწარმოების ენის განუყოფელი ნაწილია, რის გამოც მხატვრული ქმნილება თავის თავში იმასაც მოიცავს, რაც მისი არსებობის წინაპირობას შეადგენს და, ამდენად, იქცევა ისეთ განუყოფელ მთლიანობად, რომელიც თვით ახდენს რეფლექსიას საკუთარ თავზე, არა როგორც სინამდვილის აღწერაზე, არამედ როგორც გამონაგონზე. ვინაიდან აქ ავტორი აღარ დგას თავისი ქმნილების გარეთ, ეს უკანასკნელი იქცევა სუბიექტ-ობიექტის განუყოფელ სისტემად, მოიცავს რა თავის საწყისს, იქცევა თავისთავად, თვითგანვითარებად ორგანიზმად.

ამ მოსაზრებების გამო ჩვენ არ ვიზიარებთ აპტის [3, გვ. 113—149] შეხედულებას იმის თაობაზე, რომ თითქოს თომას მანის ტრილოგიაში გამოსჭვივის ავტორის ირონია მის მიერ გადმოცემული მასალის მიმართ. ვინაიდან ზღვარი წაშლილია სუბიექტსა და საგანს შორის, აქ ადგილი აქვს არა მთხრობელის ირონიას, არამედ მოთხრობილი ამბავის თვითრეფლექსიას; რადგან მხატვრული რეალობა თავისი არსებობის საფუძველსაც მოიცავს, ამიტომ ის თვითმოძრავ, თავისთავად სისტემად გვევლინება, თვითშეიმეცნებს საკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თარ თავს. ნაწარმოებმა თითქო „იცის“ რომ ის არის ნაწარმოები, გამონაგონი და ამიტომ ირონიით ეკიდება საკუთარ პრეტენზიას დოკუმენტურობასა და ფაქტობრივ სიზუსტეზე.

როგორც ვხედავთ, „იოსები და მისი ძმები“ ტრადიციული აზროვნებისგან განსხვავებულ მხატვრულ პრინციპზე აგებული ნაწარმოებია და ეს თავისებურება ბიბლიური თქმულების განხორციელების ტექნიკით კი არ განისაზღვრება (როგორც ამას ფიქრობს აპტი) არამედ „თამაშის ახალი წესით“, რომლის თანახმად ავტორი და მხატვრული რეალობა ერთ განუყოფელ მთლიანობას შეადგენენ.

შევადაროთ ასეთი მიდგომა მიკროსამყაროში შექმნილ გნოსეოლოგიურ სიტუაციასთან. იქ არაპიროვნულად მოცემული სუბიექტი — ცდის პირობები და საშუალებები, ქმნიან მიკროობიექტის როგორც შემეცნების, ასევე მისი გარკვეულ მდგომარეობაში არსებობის საფუძველსაც. კვანტურმექანიკური რეალობა განუყოფლადაა შერწყმული სუბიექტის მიერ მისი შემეცნების საშუალებებსა და პირობებთან. ასეთ საშუალებებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენა და სწორედ ამიტომ ენა, განსხვავებით კლასიკური დონიდან, მიკროსამყაროში არის არა მხოლოდ აღწერის საშუალება, არამედ თვით მიკრორეალობის გარკვეული სახით არსებობის, მისი ასეთად მოცემულობის საფუძველი. სწორედ ამ უკანასკნელი მომენტის გამო ბორი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ენას მიკროკოსმში, ხედავდა რა, რომ შემეცნების კვანტურმექანიკურ დონეზე შეუძლებელი ხდება ობიექტის განყენება სუბიექტისაგან, რომ აზრი ეკარგება თავისთავადი მოვლენის ცნებას მისი შემეცნების პირობებსა და საშუალებებთან (ენასთან) ერთიანობის გარეშე [2, გვ. 139—148].

ამრიგად ჩამოყალიბდა ანალოგიური მდგომარეობები სხვადასხვა სფეროში. მხატვრულმა და მეცნიერულმა შემეცნებამ მიაღწია ისეთ დონეს, სადაც უკვე ირღვევა ის პირობითობა, რომლის თანახმად ობიექტი განყენებულია სუბიექტისაგან. ეს ორი მხარე უკვე შერწყმულია მათი არადიფერენცირებადი ურთიერთქმედების შედეგში და ასეთი ინტეგრირების შედეგად, ერთი მხრივ, მიიღება ავტორისეული მე-ს ჩანართი მხატვრული რეალობის ქსოვილში, მეორე მხრივ კი, მიიღება მიკროსამყაროს ერთიანობა სუბიექტის მიერ მისი შემეცნების გნოსეოლოგიურ პირობებთან.

ვნახოთ ახლა როგორ განსაზღვრავს სუბიექტ-ობიექტის ასეთი ერთიანობა ენის ფუნქციას.

მიკროსამყაროში, მოვლენათა კვანტურმექანიკური შემეცნების დონეზე ფიზიკური რეალობა წარმოადგენს ობიექტურ რეალობას მოცემულს ცდის პირობებთან და საშუალებებთან (ხელსაწყო + ექსპერიმენტის ენა) განუყოფელ ურთიერთქმედებაში. ამრიგად რეალობა მიკროდონეზე მოიცავს ცდაში დაკვირვებად მოვლენებს, მოვლენებს რომელნიც მიჯაჭვულნი არიან სუბიექტის მიერ მათი შემეცნების კონკრეტულ გნოსეოლოგიურ პირობებთან. თუ მაკროსამყაროში დასაშვებია პირობით ცდისაგან განყენება და ლაპარაკი „დაუკვირვებად“ ფიზიკურ პროცესებზე, მიკროკოსმში თვით თეორია გვიკრძალავს ასეთ განყენებას, კლასიკური პირობითობის შენარჩუნებას, მაგრამ ეს აკრძალვა თეორიის შემოსაზღვრულობაზე კი არ მეტყველებს, არამედ შემეცნების მიკროსიღრმეში ობიექტურად შექმნილ ვითარებაზე. აქედან გამოდის, რომ წმინდა, თავისთავადი კვანტური მდგომარეობა წარმოადგენს უშინაარსო, ცარიელ აბსტრაქციას, რომელიც მოკლებულია ფიზიკურ აზრს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კვანტური თეორიის პირობითობაში სუბიექტისაგან განყენებული, ცდისმიღმური მდგომარეობა არის იდეალიზაცია, რომელიც, განსხვავებით კლასიკური დონიდან, არ შედის ფიზიკური რეალობის სფეროში.

აპტის შეხედულებით, თომას მანის ჰუმანიზმი განხილულ ტრილოგიაში გამოიხატება არა შინაარსობრივად, არამედ ფორმით, კერძოდ, იმ ირონიის საშუალებით, რომელიც მდგომარეობს მწერლის ხაზგასმულად თანამედროვე სალიტერატურო ენის შეუფარდებლობაში ბიბლიურ მასალასთან. ეს ფორმით გამოკვეთილი ირონია არ არის მარტოოდენ მხატვრული ხერხი, იგი გამოთქვამს ავტორის კონცეფციას, კერძოდ, მის ჰუმანიზმს. ენის ირონიული დამოკიდებულება მასალის მიმართ მეტყველებს იმაზე, რომ, დოკუმენტური სიზუსტის მიუხედავად, ნაწარმოების შინაარსი ვერ აღწევს თავის მიზანს, იგი ვერ სწვდება თავის იდეალს, ბიბლიური თქმულების რეალობას და რჩება როგორც გამონაგონი. ამ მოსაზრების დადასტურებაა თვით თომას მანის აზრი:

«Точность и конкретность деталей являются здесь лишь обманчивой иллюзией, игрой созданной искусством, видимостью; здесь пущены в ход все средства языка, психологизации, драматизации действия и даже приемы исторического комментирования, чтобы добиться впечатления реальности и достоверности происходящего, но несмотря на вполне серьезный подход к героям и их страстям, подоплекой всего этого кажущегося правдоподобия является юмор» [4, ტ. 9, გვ. 174].

ამრიგად, ეს ირონია არის ნაწარმოების რეფლექსია საკუთარ თავზე, როგორც წარმოსახვის თამაშზე, რომელიც ვერასოდეს მიაღწევს თქმულების სინამდვილეს. ირონია გვიჩვენებს გადაულახავ უფსკრულს ბიბლიურ იდეალსა და მის მხატვრულ განხორციელებას შორის, ამით ხაზს უსვამს პირველის ამაღლებულობას და ამ ამაღლებაში, ამ ზოგადსაკაცობრიო იდეალის ხელშეუხებლობაში, გამოიხატება (აპტის აზრით), თომას მანის ჰუმანიზმი.

როგორც ვხედავთ, ჰუმანიზმის იდეა გამოხატულია ფორმით და არა შინაარსით. ფორმას ეძლევა შინაარსობრივი ფუნქცია და ასეთი როლების შეცვლა, ზემოთქმულის თანახმად, დასაშვებია მხოლოდ სუბიექტ-ობიექტის (ავტორისა და მხატვრული რეალობის) ერთიანობის საფუძველზე.

ანალოგია კიდევ უფრო გამჭვირვალე ხდება: მოვლენათა კლასიკურ-ფიზიკურ რეალობაში ფარდობითად უგულებელყოფილია სუბიექტი; კლასიკური თეორია საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ცდის გნოსეოლოგიური პირობებისა და საშუალებებისაგან დამოუკიდებელ მაკროპროცესებზე, ამიტომ ეს უკანასკნელნი განეკუთვნებიან ფიზიკურ რეალობას. მიკროსამყაროში ასეთი ფარდობითი უგულებელყოფა დაუშვებელია. თეორია გვიკრძალავს ფიზიკური აზრი მივანიჭოთ ცდის პირობებისგან (მათ შორის ექსპერიმენტის ენისგან) განყენებულ მიკრომდგომარეობას, ამიტომ ეს მდგომარეობა წარმოადგენს იდეალიზაციას, გატანილს ფიზიკური რეალობის საზღვრებს მიღმა.

ტრადიციულ მხატვრულ აზროვნებაში ამბავი ისეა გადმოცემული, თითქოს, ის ნამდვილად მომხდარია და არა გამოგონილი. მის მხატვრულ რეალობაში ფარდობითად უგულებელყოფილია სუბიექტი — ავტორი. არატრადიციულ შემოქმედებაში ასეთი განყენება არ შედის „თამაშის წესში", აკრძალულია, ამიტომ მასალა არ გამოდის ნამდვილად მომხდარი ამბავის პრეტენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზიით. ის, რაც სუბიექტს უსწრებს წინ, პირობითადაც არ შედის მხატვრული რეალობის ქსოვილში და ეს უკანასკნელი იმის გათვალისწინებით აიგება, რომ არსებობს გადაულახავი მიჯნა სუბიექტის მხატვრულ სამყაროსა და წმინდა ობიექტურ სინამდვილეს შორის.

ტრილოგიაში ჩაქსოვილი ირონია სწორედ ამ მიჯნაზე მიანიშნებს; რომ ის, რაც ავტორს უსწრებდა წინ (მითი), არასოდეს არ დაიყვანება მის სუბიექტურ ინტერპრეტაციაზე.

ამრიგად, ერთი მხრივ, გვაქვს წმინდა მიკრომდგომარეობა, არსებული დამკვირვებლის გარეშე, ფიზიკური რეალობის საზღვრებს მიღმა, მეორე მხრივ კი, მხატვრული რეალობის ფარგლებიდან გარეთ გატანილი მითი, რომელიც წინ უსწრებს ავტორს.

კლასიკურ ფიზიკაში ენა წარმოადგენს მხოლოდ აღწერის საშუალებას, მეტ-ნაკლები სიზუსტით რომ გამოხატავს მისგან დამოუკიდებელ საგნობრივ არეს.

მიკროსამყაროში ენა ამავე დროს არის შესაბამისი სხეულებრივი სფეროს გარკვეული სახით არსებობის საფუძველიც, სწორედ ამიტომ ენა და რეალობა განუყოფელი მთლიანობაა და კვანტური თეორიის ფარგლებში აზრი არა აქვს ვილაპარაკოთ ისეთ ფიზიკურ რეალობაზე, რომელიც მოწყვეტილია თავისი გამოხატვის საშუალებებს.

ტრადიციულ ლიტერატურაში ენა არის მისგან პირობითად დამოუკიდებელი შინაარსის გადმოცემის საშუალება. აქედან იხსნება შესაძლებლობა მასალა განცდილ იქნეს როგორც რაღაც პირველადი, ვთქვათ, ნამდვილად მომხდარი ამბავი, გადმოცემული კონკრეტულ-ენობრივ ფორმაში.

„იოსები და მისი ძმები“ არატრადიციულ მეთოდზე აგებული ნაწარმოებია. აქ ენა გამოდის როგორც მხატვრული რეალობის არსებობის საფუძველი, მისი წინაპირობა, აქედან შესაბამისი საგნობრივი არე და მისი აღწერა ერთ განუყოფელ მთლიანობას შეადგენს და შეუძლებელია ვილაპარაკოთ ისეთ მხატვრულ რეალობაზე, რომელიც წინ უსწრებს თავის კონკრეტულ-ენობრივ ფორმას, შეუძლებელია მივიღოთ ის პირობითობა, რომლის თანახმად გამონაგონი წინ უსწრებს სუბიექტ-ავტორს და უტოლდება ნამდვილად მომხდარ ისტორიას.

**М. Г. ДОЛИДЗЕ**

# ЯЗЫК И РЕАЛЬНОСТЬ В РАЗЛИЧНЫХ ОТНОШЕНИЯХ СУБЪЕКТА И ОБЪЕКТА


Резюме

Единство субъекта и объекта на микроскопическом уровне описания реальности приводит к неразрывности средств описания (в частности, языка) с соответствующей предметной областью. Язык теории в этом случае выступает не только как средство, но и как основа определенной данности предмета познания. Именно этим можно объяснить необходимость классических понятий в неклассической области.

ეროვნული ბიბლიოთეკა



Развитие художественного познания приводит к аналогичному единству субъекта-автора и изображаемого объекта. Данное единство стирает границу между автором и произведением, включает комментарий повествователя в язык самой книги, приводит к неразрывности качества языка со смысловым содержанием, с художественной реальностью словесного творчества.

Приведённая аналогия позволяет установить философский статус принципа дополнительности, вытекающий из единства субъекта и объекта, из неразрывности языка и предмета и возникающий в различных областях человеческого познания.

## ლიტერატურა


1. Бахтин М. М. Эстетика словестного творчества, М., 1979.
2. Бор Н. Квантовая физика и философия. В сб. Атомная физика и человеческое познание. М., 1961.
3. Вопросы литературы, 1970, № 1.
4. Томас Манн, Собрание сочинений.


წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინო მშვენიერაძე

# ადამიანის ადგილი კანტის ტელეოლოგიურ სისტემაში

ტელეოლოგიის იდეა ერთ-ერთი იმ იდეათაგანია, რომელსაც ფილოსოფიამ თავისი წარმოშობისთანავე მიმართა. პირველად ტელეოლოგია ცნების სახით პლატონმა გამოიყენა, ხოლო არისტოტელესთან უკვე მოცემული გვაქვს ტელეოლოგიური სისტემა. მომდევნო პერიოდში ტელეოლოგიამ თითქმის გაბატონებული მდგომარეობა დაიჭირა. შუა საუკუნეებში სამყარო გაგებულ იქნა ისეთ ყოფიერებით წესრიგად, რომელშიაც ჩართულია ყველაფერი. „მიზანი — მიზეზის“ შესაბამისად ახალ დროში ქრ. ვოლფმა ტელეოლოგია განსაზღვრა როგორც „ნატურალურფილოსოფიის ის ნაწილი, რომელიც საგანთა საბოლოო მიზანს გადმოსცემს“.

ტელეოლოგიის ცნება არსებითი მნიშვნელობისაა კანტის ფილოსოფიური სისტემისათვის. კანტი ტელეოლოგიას ავითარებს, როგორც ისეთ პრინციპს, რომელიც უნდა დაეხმაროს სინამდვილის სხვადასხვა მხარეთა გაცნობიერება-ინტეგრაციაში. ამ ცნებით ერთმანეთს უნდა დაუკავშირდეს პირველი კრიტიკის სპეკულატური და მეორე კრიტიკის პრაქტიკული განზომილებანი, დადგინდეს ფიზიკურ და მორალურ სინამდვილეთა ურთიერთობის სურათი, ე. ი. უნდა გაერთიანდეს და დასრულდეს მთელი ფილოსოფიური სისტემა.

ამჯერად ჩვენს მიზანს წარმოადგენს არა კანტის მოძღვრებაში ტელეოლოგიის ადგილისა და როლის განსაზღვრა, არამედ იგი ჩვენი ინტერესის სფეროში შემოდის იმდენად, რამდენადაც უკავშირდება ანთროპოლოგიურ პრობლემატიკას. მეორე კრიტიკაში კანტი ერთგან აღნიშნავს, რომ ადამიანი ცხოველს აღემატება არა იმიტომ, რომ მას აქვს გონება, (მხოლოდ გონება რომ აძლევდეს მას საშუალებას საკუთარი თავი მოიხმაროს ისე, როგორც ამას ახერხებს ცხოველი ინსტინქტის მეშვეობით, მაშინ ადამიანს ცხოველზე მაღალი მიზანი არ ექნებოდა), არამედ იმავე მიზნის განხორციელების უბრალოდ სხვა ხერხი; ადამიანი იმით აღემატება ცხოველს, რომ მას აქვს ცხოველისაგან განსხვავებული მ ი ზ ა ნ ი. გონებას ძალუძს მორალურობა აქციოს ცხოვრების მმართველ მიზნად, სწორედ ესაა ადამიანის პრეროგატივა და სიდიადე.

კანტის აზრით, თეორიული გონება ადამიანის უმნიშვნელოვანესი იარაღია, მეტიც, მისი უარსებითესი ატრიბუტი, მაგრამ იგი საკმარისი არ არის ადამიანის ღირსების დასადგენად. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ კანტისავე თქმით, იგი რუსომ დააყენა სწორ გზაზე მას შემდეგ, რაც ცხადყო ის აზრი, რომ სწორედ მორალური ბედია ადამიანს რომ გამოჰყოფს სამყაროს სხვა არსებებიდან და აძლავს ჭეშმარიტ ღირებულებას. ადამიანის მორალური ბედი კი, რასაკვირველია, ტელეოლოგიური ცნებაა.

ამგვარად, კანტთან ჩვენ ვპოულობთ ანთროპოლოგიური, მორალური და ტელეოლოგიური ინტერესების მეტად საინტერესო ურთიერთმიმართებას. შევეცადეთ ამ კონტექსტში განვიხილოთ კანტის თვალსაზრისი ადამიანსა და მის ბუნებაზე. კანტის მიერ ტელეოლოგიისაკენ მიბრუნება შეიძლება ჩაითვალოს გარკვეული სახის რეაქციად მექანიციზმის წინააღმდეგ. ისტორიულად ცნობილია რომ პირიქით მოხდა, ბუნების მეცნიერებიდან სწორედ მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქანიციზმმა განდევნა ტელეოლოგია: მექანისტური პრინციპის მეშვეობით ბუნების მრავალ მოვლენას მოეძებნა ბუნებათმეცნიერული ახსნა. ბუნებისმეტყველება გათავისუფლდა რელიგიურ-სქოლასტიკური გაგებისაგან, მაგრამ ეს მიმართულება გადაულახავ წინააღმდეგობას გადააწყდა იქ და მაშინ, სადაც და როცა საჭირო გახდა სიცოცხლის ახსნა: კლასიკური მექანიკა მოძრაობის მექანიკური კანონებით ცდილობდა გაეგო ორგანული ბუნებაც კი. მაგრამ მექანისტური პრინციპი უძლური აღმოჩნდა, მან ვერ ახსნა აგებულება და მოქმედება ორგანიზმებისა, რომლებსაც არაორგანული სხეულებისაგან განსხვავებით გააჩნიათ მიზანშეწონილი აგებულება, მიზანშეწონილ კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან და გარემომცველ სამყაროსთან.

მექანიციზმი არ აღმოჩნდა ის თეორია, რომელიც სამყაროს ახსნიდა მის მრავალფეროვნებაში, გაიგებდა სიცოცხლის სხვადასხვა ფორმას. მით უმეტეს ის ვერ წვდებოდა სიცოცხლის განსაკუთრებულ სახეს — ადამიანს.

მექანიკური კაუზალობა ის პრინციპია, რომელიც სავსებით საკმარისია არაორგანული სამყაროს ასახსნელად. კანტი იზიარებს დებულებას: „მომეცით მატერია და მე მისგან ავაგებ სამყაროს“, მაგრამ ამასთანავე უარყოფს მექანიციზმის გამოყენებას ელემენტარული ორგანიზმების ასახსნელადაც კი. „შეიძლება თუ არა ვთქვათ“ — კითხულობს კანტი: „მომეცი მატერია და მე გიჩვენებთ როგორ უნდა შევქმნა მისგან ჭია?“ მხოლოდ მექანიკური პრინციპიდან ამოსვლით „ვერც ერთი ნიუტონი ვერ გახდის გასაგებს ბალახის ღეროს წარმოშობასაც კი, თუ მას არ დავუქვემდებარებთ მიზნის ცნებას“ [4, გვ. 428]. ე. ი. ტელეოლოგიურ განხილვას ექვემდებარებიან ბუნების ის მოვლენები, რომლებიც მხოლოდ მექანიკური გზით ვერ აიხსნებიან და აუცილებლობით მოითხოვენ მიზნობრიობის პრინციპის დაშვებას.

მით უმეტეს შეუძლებელია ადამიანის ახსნა ტელეოლოგიური პრინციპის გარეშე. რადგან, გარდა იმისა, რომ ის ცოცხალია და ამით ჩართულია გარეგანი მიზანშეწონილების ჯაჭვში, ის არის ერთადერთი არსება, რომელსაც შეუძლია გაწყვიტოს მიზეზობრიობის ჯაჭვი და საფუძველი დაუდოს ახალ მიზეზობრიობას, ე. ი. მოიქცეს თავისუფლად.

„თუ ახლა მე.... სრულიად თავისუფლად და ბუნებრივი მიზეზების აუცილებლად განმსაზღვრელი გავლენის გარეშე ჩემი სკამიდან ვდგები, მაშინ ამ ხდომილებაში იწყება უთუოდ ახალი მწკრივი მთელი მისი ბუნებრივი შედეგებით უსასრულობაში, თუმცა დროის მიხედვით ეს მოვლენა მხოლოდ გაგრძელებაა წინამორბედი მწკრივისა. რამეთუ ეს გადაწყვეტილება და საქმე სულაც არ მდებარეობს მხოლოდ ბუნებრივ მოქმედებათა თანამიმდევრობაში და არ არის მათი უბრალო გაგრძელება.... და ამიტომ თუმცა დროის მიხედვით არა, მაგრამ მიზეზობრიობის მიხედვით მაინც უნდა ერქვას მოვლენათა რაღაც მწკრივის უთუოდ პირველ საწყისი“ [2, გვ. 298].

კანტისათვის ტელეოლოგიური მსჯელობა არ არის ბუნების განმსაზღვრელი პრინციპი, არამედ ბუნების განხილვის მაქსიმაა, ის ცდის მარეგულირებელი პრინციპია, რადგან საგანთა წარმოშობაზე, შემოქმედ პირველძალაზე მხოლოდ ტელეოლოგიური მსჯელობაა შესაძლებელი; როდესაც ცდაში გვაქვს მოცემული ცოცხალი სხეული, რომელსაც ვერ გავიგებთ ისეთ მთელად, რომელიც ნაწილთა აგრეგატს წარმოადგენს, საკმარისი აღარაა მექანიკური ახსნა, რომელიც ვერასგზით ვერ ახსნის ნაწილებიდან მთელის წარმოშობას. ამიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა



განსჯა ამოდის მთელიდან, როგორც პირობიდან, როგორც ნაწილთა შემქმნელიდან; მხოლოდ ამ გზით გაიგება მოცემულის ფორმაც, კავშირიც და მოქმედების ხასიათიც. თუ განსჯა მიიღებს ასეთ მთელს, როგორც მწარმოებელ ძირს, მოქმედების ბუნების ამხსნელს, მაშინ ნაწილებამდე მყოფი ეს მთელი რეალური კი არა, „იდეალური“ ანუ მთელის იდეა იქნება. სადაც მთელის წარმოდგენა მიზეზია, რეალური მთელი კი შედეგი, იქ ეს მიზეზი განისაზღვრება შედეგის წარმოდგენით. ამის გამო შედეგიც მიღწევადია როგორც მიზანი. მიზეზი კი ვლინდება მიზანსწრაფულად, როცა ჭვრეტა ორგანულ სხეულთა ძირში მიზანმსწრაფ მიზეზებს დებს; ამით იწყება მათ შესახებ ტელეოლოგიური მსჯელობა.

კანტმა ადამიანური ბუნების ინტელექტუალური პირობებიდან ახსნა ტელეოლოგიური უნარი და ცხადყო, რომ მისი წარმოშობაც და მნიშვნელობაც სუბიექტურია, გამოყენება კი ემპირიული. ეს უნარი ვრცელდება ცდაზე, რომლის ობიექტიც არის ცოცხალი არსება.

ამგვარად, კანტმა ტელეოლოგია წარმოგვიდგინა როგორც თავისებური მოძღვრება ბუნებაზე, ოღონდ ის არის არა მეცნიერება, არამედ მსჯლობის რეფლექსური უნარის კრიტიკა, რომლის მთავარი კითხვაა: როგორ ვიმსჯელოთ ბუნებაზე საბოლოო მიზეზთა პრინციპის მიხედვით? ტელეოლოგიური ჭვრეტა მოვლენებს აერთიანებს მიზნის მიხედვით. მისთვის ბუნება საგანთა მიზანშეწონილებაა. ამ იერარქიაში ერთი წევრი მიზანია მასზე დაბლა მდგომისათვის, ხოლო საშუალება მაღლა მდგომისათვის. როცა საგანი არსებობს სხვებისათვის, ის მხოლოდ საშუალებაა, შეფარდებითია, გარემიზანია, განსაზღვრული მთელი ბუნების შნაგანი კანონზომიერებით, მიზანშეწონილებით. გარეგან მიზანშეწონილებაში ნაგულისხმებია ისეთი ვითარება როდესაც ბუნების ერთი საგანი ემსახურება მეორეს როგორც საშუალება, როდესაც ერთი საგნის ყოფიერება დაქვემდებარებულია მეორის ყოფიერებისადმი. ასე მაგალითად, მცენარე საშუალებაა მრავალი ცხოველისათვის, ცხოველი ადამიანისათვის. მაგრამ ბუნებაში არსებობს ისეთი მიზანიც, რომელიც საშუალება ვერ იქნება ვერც ერთი სხვა არსებისათვის, და რომელიც განიხილება როგორც საბოლოო მიზანი. ასეთია ადამიანი, ის არსება, რომელიც არა მხოლოდ ბუნების კანონზომიერებით არის განსაზღვრული, არამედ დაჯილდოებულია სხვა უნარითაც. მას ძალუძს „გავიდეს“ თავისი ბიოლოგიური არსებობიდან და ამაღლდეს მასზე. მას შეუძლია დაისახოს მიზანი, იმოქმედოს ამ მიზნის შესაბამისად და დაიმორჩილოს ბუნება საშუალების სახით. ამ აზრით არის კიდეც ადამიანი ბუნების საბოლოო მიზანი.

„რისთვის არსებობენ ეს ცხოველები მთელ ბუნებასთან ერთად? — ადამიანისათვის, რომელსაც განსჯა ასწავლის სხვადასხვა სახით გამოიყენოს ყველა ეს ქმნილება დედამიწაზე. ადამიანი არის საბოლოო წევრი შესაქმისა, რადგან ის არის ერთადერთი არსება, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მიზნის ცნება და მიზანშეწონილად ფორმირებულ საგანთა აგრეგატიდან თავისი გონების მეშვეობით შეადგინოს მიზანთა სისტემა“ [4, გვ. 459]. ამგვარად, ადამიანი ბუნების მიზანია იმით, რომ მას გააჩნია ინტელიგენცია და ნება, და არა იმიტომ რომ ის არის ცოცხალი არსება, ბუნების ქმნილება.

ადამიანის გრძნობადი მდგომარეობის სრულყოფა, მისი დაკმაყოფილება ანუ განცხრომა, სულაც არ არის ბუნების მიზანი. ცდა კარგად ადასტურებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამ მხრივ ადამიანი სულაც არ არის ბედნიერი. ჩვენი ბედნიერება, განცხრომა წამიერია. ყოველი დაკმაყოფილებული მოთხოვნილება ახალ სურვილებს აღვიძებს. ადამიანი ბუნების რჩეული ისევე არ არის, როგორც სხვა საგნები, ისიც ერთ-ერთი ჩვეულებრივი რგოლია მიზეზობრიობის ჯაჭვისა: „ადამიანი ვერასოდეს ვერ მიაღწევს იმას, რასაც ის გულისხმობს ბედნიერების ქვეშ, რაც სინამდვილეში არის მისი საბოლოო მიზანი, როგორც საბოლოო მიზანი ბუნებისა (და არა თავისუფალი მიზანი), რადგან მისი ბუნება ისეთი არ არის, რომ სადმე გაჩერდეს, დაკმაყოფილდეს მიღწეულით და მით დატკბეს. მეორეს მხრივ, ბუნებას სრულიადაც არ შეუქმნია ის როგორც განსაკუთრებით გამორჩეული და არ ყოფილა მისი გამორჩევით მწყალობელი, სხვა ცხოველებთან შედარებით. ბუნება მასაც (ადამიანს) ისევე ნაკლებ ზოგავს, როგორც სხვა ცხოველებს“ [4, გვ. 463].

თუ ადამიანი მიზანია ბუნების, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას უნარი აქვს თავისი მიზნების განსაზღვრისა, შეუძლია მოქმედება ამ მიზნების შესაბამისად. ადამიანის განათლება, როგორც მიზანი, მის განცხრომას აღემატება; განცხრომაზე მაღლა დგება შრომა, შემოქმედებითი მოღვაწეობა, რომელიც გარდაქმნის ჩვენს ცხოვრებას. ადამიანი უფრო მაღალ მიზნებს მიემართება, ვიდრე ბუნებამ მას, როგორც ბუნებრივ არსებას დაუსახა. თანდათან ცივილიზაციის გზაზე რბილდება სიმკაცრე და ველური მიდრეკილებანი, რომელიც ასე დამახასიათებელია ადამიანისათვის, როგორც ცხოველური გვარისათვის, მაგრამ ართულებენ ადამიანობის თვალსაზრისით მის განვითარებას. განათლება აწესრიგებს და არბილებს ჩვენს ბუნებრივ მისწრაფებებს, ის მათ უფრო ფაქიზს ხდის. სრულებითაც არ არის იმის საჭიროება, რომ ადამიანი თავის ბუნებრივ მდგომარეობას დაუბრუნდეს, რადგან მიზანი ბუნებრივი მდგომარეობა კი არაა, არამედ განათლება, თავისუფალი სახელმწიფო, საგანთა მეცნიერული და ესთეტიკური ჭვრეტა, ფილოსოფოსობა.

ადამიანი სწორედ მაშინაა თავისუფალი, როცა ბუნებისაგან, საგნებისაგან დამოუკიდებლად აქტივობს. ასეთი აქტივობა კი მორალურია (ადამიანი გადის ბუნებრივი, ორგანული ტელეოლოგიის ფარგლებიდან და ხდება მორალური ტელეოლოგიის სუბიექტი).

არსება, რომელიც მხოლოდ იმ კანონებს ემორჩილება, რომელთაც იგი საკუთარ თავს უწესებს, კანტისათვის წარმოადგენს თავისთავად მიზანს და მიზანს თავისთვის. ასეთია „ადამიანი ნოუმენი“, იგი არის „ინტელიგიბელური ადამიანი“ (ინტელიგიბელურში იგულისხმება მხოლოდ გონებით მისაწვდომი), რომელიც თავის თავს ადასტურებს კატეგორიულ იმპერატივში.

ადამიანი საკუთარი აქტივობით, გონიერი, მიზანშეწონილი მოქმედებით აღწევს თავის არსს, ვითარდება ცხოველურიდან ნამდვილ ადამიანურამდე, უმორჩილებს რა თავის მისწრაფებებს ადამიანობის იდეას. ადამიანი არის გონითი მიზანი, გონიერი, მიზანდამსახველი და კანონების შემქმნელი, თავისუფლების მოყვარე არსება. ჭეშმარიტი თავისუფლება მხოლოდ მორალური შეიძლება იყოს: „ადამიანის, როგორც მორალური არსების მიმართ არ შეიძლება დაისვას კითხვა რისთვის არსებობს ის, მისი არსებობა თავის თავში ატარებს ყველაზე მაღალ მიზანს, რომელსაც, რამდენადაც ეს მას ძალუძს, უნდა დაუმორჩილოს მთელი ბუნება. მით უმეტეს არ უნდა დაუმორჩილოს მან თავისი თავი ბუნების არავითარ გავლენას, რომელიც შეიძლება ამ მიზანს ეწინაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მდეგებოდეს. თუ ნივთები სამყაროში, როგორც თავისი არსებობით სხვაზე დამოკიდებული საგნები, საჭიროებენ უმაღლეს მიზეზს, მოქმედს მიზნის შესაბამისად, სწორედ ადამიანი არის საბოლოო მიზანი შესაქმისა, ვინაიდან მის გარეშე მიზანთა ჯაჭვი არ იქნებოდა სრული. მხოლოდ ადამიანში და მხოლოდ მასში, როგორც მორალის იდეებში გვხვდება განუპიროვნებელი კანონმდებლობა მიზნისა და სწორედ ეს კანონმდებლობა აძლევს მას საშუალებას, რომ იყოს საბოლოო მიზანი, რომელსაც ტელეოლოგიურად ექვემდებარება მთელი ბუნება“ [4, გვ. 469].

ადამიანის გარეშე მთელი სამყარო იქნებოდა ცარიელი, უშინაარსო, უმიზნო, რადგან ადამიანია ის არსება, რომელიც ჭვრეტს სამყაროს და მასში შეაქვს მიზნის ცნება, მხოლოდ მას შეუძლია გამოთქვას ღირებულებითი მსჯელობა, შეაფასოს საგნები, მისცეს სამყაროს საზრისი. მხოლოდ ადამიანს გააჩნია სრულყოფილების იდეალი. მხოლოდ მას შეუძლია გააუმჯობესოს საკუთარი თავი. ამ შემთხვევაში ჩვენ ადამიანი გვესახება როგორც პიროვნება, მორალურ-პრაქტიკული გონების სუბიექტი, ყველა ღირებულებაზე უფრო მაღლა მდგომი, რომელიც არ წარმოიდგინება როგორც საშუალება, არც სხვისთვის, არც საკუთარი თავისთვის, არამედ იგი შეფასებული უნდა იქნეს როგორც თავისთავადი მიზანი, რომელსაც გააჩნია ღირსება (აბსოლუტური შინაგანი ღირებულება). სწორედ ეს შინაგანი ღირებულება (ღირსება) არის იმის პირობა, რომ გონიერ არსებას შეუძლია იყოს მიზანი თავისთავად. მაშასადამე, ბუნებრივ მიზანთა რიგის საბოლოო რგოლი ყოფილა ადამიანი, როგორც მორალური, თავისუფალი არსება. მეტიც — თვითონ ეს თავისუფლებაა ადამიანის მიზანი, თვითმიზანი.

ამგვარად, მიზანი ყოფილა ადამიანის მორალური ნება, და არა მისი განცხრომა. სამყაროს მიზანია არა ბუნებრივი ადამიანი, მისი ფიზიკური თვისებებით ბუნებაზე რომ არის მიჯაჭვული მოთხოვნილებათა გამო, არამედ ის ადამიანი, რომელიც თვითონ ქმნის ღირებულებას საკუთარი თავიდან. ეს კი მას ძალუძს თავისუფალი ნების მეშვეობით: „ღირებულება (ღირსება) მხოლოდ თვითონ ადამიანმა უნდა მიანიჭოს საკუთარ თავს“; იგი „მხოლოდ იმით გამოიხატება, თუ რას აკეთებს, როგორ და რა პრინციპით მოქმედებს არა როგორც ბუნების ნაწილი, არამედ როგორც თავისი სურვილებისაგან თავისუფალი არსება ე. ი. როგორც კეთილი ნება. სწორედ კეთილი ნების მეშვეობით განიხილება ადამიანის არსებობა სამყაროში როგორც ერთადერთი მიზანი“ [4, გვ. 477].

ამგვარად, სამყაროს უმაღლესი მიზანი ადამიანი იქნება არა მორალური კანონის ძალით, არამედ ამ მორალური კანონის პირობებში. ეს ნიშნავს, რომ საქმე ეხება ადამიანს, რომელიც მორალურ კანონთა იძულებით კი არ მოქმედებს, არამედ, ამ კანონს ასრულებს თავისუფლად. მორალური ადამიანის საბოლოო მიზანია უმაღლესი სიკეთე: ე. ი. თუ თავს შევხედავთ, როგორც გრძნობადი სამყაროს წევრს, მაშინ ჩვენ ჩავერთვებით კაუზალობის ჯაჭვში, როგორც მოვლენა, მაგრამ თუ საკუთარ თავს დავაყენებთ ამ ჯაჭვის გარეთ, ამით გამოვეყოფით ყველა სხვა მოვლენას. აქედან დანახული საკუთარი თავი გვესახება როგორც ინტელიგიბელური არსება. როგორც ემპირიულნი, ჩვენ დროში შეპირობებულნი ვართ და ამიტომ არა თავისუფალნი; მაგრამ როგორც ინტელიგიბელური ბუნების მქონენი, დამოუკიდებელნი ვართ დროითი განსაზღვრებისაგან და ამით თავისუფალნი. ინტელიგიბელური სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიექტი არის გრძნობადი სუბიექტის განმსაზღვრელი. ე. ი. ადამიანი ორ სამყაროს ეკუთვნის — ემპირიულს როგორც „ფენომენი“, და ინტელიგიბელურს, როგორც „ნოუმენი“.

ადამიანი, როცა იგი სამყაროს აღიქვამს როგორც მიზანშეწონილების პრინციპით აგებულს, როცა მისი სული ამჟღავნებს მზაობას მორალური განცდისათვის, ესთეტიკური ჭვრეტისათვის, შინაგანად ყოველთვის მიმართულია უფრო მაღლისაკენ და სრულყოფისაკენ, ვიდრე თვითონაა. მას სჭირდება არსება, რომლის მეშვეობითაც იგი გაამართლებს და ახსნის მის ასეთად ყოფნის შესაძლებლობას და რომელიც იქნება მიზნობრივი მიზეზი, როგორც სამყაროსი, ასევე ადამიანის. ამ შემთხვევაში გონება საკუთარი მორალური პრინციპების მეშვეობით ქმნის ღმერთის ცნებას. შინაგანი მორალურ-მიზნობრივი განსაზღვრება ავსებს ბუნების შემეცნების შემდეგ დარჩენილ დანაკლისს.

საბოლოო მიზნის იდეას აქვს მხოლოდ სუბიექტურ-პრაქტიკული რეალობა და მისი დამტკიცება თეორიული გონებით შეუძლებელია. ადამიანურ გონებას არ ძალუძს ღმერთის არსებობის თეორიული მტკიცება, რადგან არ არსებობს არავითარი მატერიალური მონაცემები გრძნობად აღქმად სამყაროში ზეგრძნობადი, ზებუნებრივი არსების შემეცნებისა და განსაზღვრისათვის.

ღმერთის არსებობის დასაშვებად გამოსადეგია მხოლოდ მორალური არგუმენტი. თეოლოგია მხოლოდ ეთიკურ ცნებებს შეიძლება დაეყრდნოს. მორალურ არგუმენტს შემეცნებისათვის კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ ქმედებისათვის. ეთიკო-თეოლოგიამ უნდა დააფუძნოს ღმერთის რწმენა.

ამგვარად, ტელეოლოგიის ცნების მეშვეობით კანტი შეეცადა დაედგინა ადამიანის ადგილი სამყაროში. ღმერთის არსებობის დაშვებამ ხომ არ შეზღუდა ადამიანი, როგორც თავისუფლად მოქმედი „მორალური სუბიექტი?“ კანტს მიაჩნია რომ არა. ადამიანი მოქმედებს განსაზღვრებს თანახმად (კანტი დგას კრეაციონიზმის თვალსაზრისზე, იგი ამოდის ღმერთის ცნების ქრისტიანული გაგებიდან). ეს სულაც არ ეწინააღმდეგება „ნების თავისუფლებით“ აღჭურვილ სუბიექტს. ადამიანი კვლავ რჩება ბუნებისა და საერთოდ სამყაროს საბოლოო მიზნად, რადგან იგია ღმერთის რჩეული და იმთავითვე იმყოფება ღმერთში როგორც მისი „მხოლოდშობილი“ შვილი. მაგრამ „ეს ღმერთის მსგავსი და ხატი“ შეიძლება იყოს არა ცალკეული ადამიანი, არამედ ადამიანის იდეა, ამ იდეასთან მიახლოება, მისი განხორციელება კი შეუძლია ერთეულ ადამიანს, თუ მისი წარმმართველი გახდება თავისუფალი ნება, რომელიც ჩართულია ღმერთსა და ადამიანს შორის. ყოველ კონკრეტულ ადამიანს შეუძლია მოინდომოს მორალურ პიროვნებად გახდომა, ე. ი. ადამიანი არა მხოლოდ პოტენციაში უნდა იყოს „ღმერთის ხატება“, არამედ კიდეც უნდა სურდეს ამ პოტენციის განხორციელება, მისი აქტუალიზაცია. ამრიგად ადამიანი ერთეული თავისუფალი არსებაა და ის თავად ირჩევს გახდეს თუ არ გახდეს „ღმერთის მსგავსი“. „გინდოდეს ისე როგორც ხარ ვალდებული“ („volle, wie du mußt“). კანტისათვის ადამიანის პიროვნებადქცევის მაქსიმაა.

ტელეოლოგიის ცნების გამოყენებით კანტმა დაადგინა, რომ ადამიანი არის როგორც ბუნების მიზანი, ასევე შესაქმისა. რა თქმა უნდა მხოლოდ ამაზე მითითებით არ მოიხსნება ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს ადამიანს, როგორც „ფენომენსა“ და როგორც „ნოუმენს“ შორის, მის სასრულო გრძნობად არსებობასა და უსასრულო „ინტელიგიბელურ ხასიათს“ შორის. მაგრამ ეს შეუთავსებლობანი მხოლოდ აქ, ადამიანის ტელეოლოგიის ასპექ-

ტით განხილვისას როდი იჩენენ თავს, არამედ კანტის მთელ ფილოსოფიურ სისტემას გასდევენ და სხვა უფრო სიღრმისეული მიზეზით არიან განპირობებულნი.

ტელეოლოგიური განხილვის შემდეგ ზოგი რამ მაინც გახდა ნათელი; კერძოდ, რომ ადამიანი ყოფილა ისეთი სულიერ-გონითი არსება, რომელსაც აქვს უნარი დასახოს მიზნები და იმოქმედოს მის შესაბამისად, გაწყვიტოს მიზეზობრიობის ჯაჭვი და გავიდეს თავისუფლების სამყაროში. კანტისათვის კი მიზანი სხვა არაფერია, თუ არა ღმერთთან მიახლოება. თითოეულმა ადამიანმა ეს თავისებურად უნდა მოახერხოს და სწორედ ეს იქნება ადამიანში ჩადებული უმაღლესი შესაძლებლობის, მისი არსებობის მიზნის განხორციელება და მხოლოდ ამ აზრით აქვს ადამიანს მიზნად საკუთარი თავი. ეს ამავე დროს არის სამყაროს საზრისიც, მისი არსებობის აზრის ახსნა, იმის გარკვევა, თუ რა აზრი ჰქონდა სამყაროს შექმნას ღმერთის მიერ. ამიტომაც უწოდა კანტმა ადამიანს სამყაროს „უმნიშვნელოვანესი წევრი“ და „შესაქმის საბოლოო მიზანი“.

**Н. З. МШВЕНИЕРАДЗЕ**

## МЕСТО ЧЕЛОВЕКА В ТЕЛЕОЛОГИЧЕСКОЙ СИСТЕМЕ КАНТА

Резюме

Понятие телеологии имеет существенное значение для философской системы Канта. Без применения этого понятия невозможно объяснить как вообще царство жизни, так и, тем более, его особого представителя — человека, который, с одной стороны, будучи живым существом, включен в цепь внешней причинности, а с другой стороны, является единственным из живых существ, способным разорвать эту цепь, самому себе установить законы, стать причиной собственного действия, чем и может войти в царство свободы. Таковым для Канта является существо, обладающее «волей свободы»—это личность, «единародный сын бога», «его образ и подобие», сам свободно выбирающий, стать или не стать ему «подобием бога» «Хоти так, как ты должен»(„Wolie, wie du mußt“) для Канта и есть максима становления человека личностью. При помощи понятия телеологии Кант устанавливает, что именно «моральная судьба» выделяет человека из сферы живых существ, бесконечно его возвышая. Это делает человека «конечной целью творения».

ლიტერატურა

1. თევზაძე გ. იმანუელ კანტი, თბილისი, 1974.
2. კანტი ი. წმინდა გონების კრიტიკა, თბილისი, 1979.
3. ცინცაძე გ. პიროვნება, დრო, განწყობა, თბილისი, 1981.
4. Кант И. Сочинения в шести томах, т. 5, М., 1966.
5. Кант И. Религия в пределах только разума. СПб., 1908.
6. Фишер К. Иммануил Кант и его учении, ч. 1—2, СПб., 910.
7. F. Van Pe Pitta, Kant as Philosophical o anthropologist, Hague, 1971.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ჭავჭავაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კუკანია

# კ. პოპერი და პოსტპოზიტივიზმი

თანამედროვე პოზიტივიზმის კრიზისი მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში ახალ მიმდინარეობათა წარმოშობასთან, რომლებიც იძლევიან პოზიტივიზმში ცნობილი ძირითადი ფილოსოფიური პრობლემების განსხვავებულ გადაწყვეტას. ამ მიმდინარეობათა წარმომადგენლები არა მხოლოდ აკრიტიკებენ ლოგიკურ პოზიტივიზმს, არამედ აგრეთვე მათ აკისრებენ მთელ პასუხისმგებლობას დასავლეთის მეცნიერების მეთოდოლოგიაში შექმნილი კრიზისისათვის. ერთ-ერთ ასეთ მიმართულებას თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში ეწოდება პოსტპოზიტივიზმი, რომელიც მიმდინარე საუკუნის 50—60-იან წლებში წარმოიშვა.

მართალია, პოსტპოზიტივიზმსა და პოზიტივიზმს შორის, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ბევრი რამ საერთოა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პოსტპოზიტივიზმი უნდა განვიხილოთ უფრო მეტად როგორც პოზიტივიზმისაგან განსხვავებული და, გარკვეული აზრით, მისი საპირისპირო ფილოსოფიური კონცეფცია, ვიდრე მისი იდეების გამაგრძელებელი. ეს განსხვავება ზოგადად ამგვარად წარმოგვიდგება: თუ პოზიტივიზმი შემეცნების საკითხს გრძნობად მონაცემებზე დაყრდნობით ხსნის, და, მაშასადამე, ემპირიზმის პოზიციებიდან მეტაფიზიკას, როგორც მოძღვრებას ობიექტურ სინამდვილეზე, მთლიანად გამორიცხავს, პოსტპოზიტივიზმი კი, პოპერიდან დაწყებული, ძირითადად უარს ამბობს გნოსეოლოგიურ ფენომენალიზმზე და თვლის, რომ შემეცნება შეუძლებელია განხორციელდეს მხოლოდ გრძნობადი მონაცემების საფუძველზე; ამით პოსტპოზიტივიზმი დიუჰემის კონვენციონალიზმიდან პლატონისა და ჰეგელის ობიექტური იდეალიზმისაკენ იხრება და მეტაფიზიკურ პრობლემებს უბრუნდება.

1934 წელს დაიბეჭდა პოპერის წიგნი „მეცნიერული კვლევის ლოგიკა", რომელიც დღემდე კლასიკურად ითვლება და რომელშიც მოცემულია ის ძირითადი იდეები, რამაც შესაძლებელი გახადა პოსტპოზიტივიზმის და, კერძოდ, კრიტიციზმის წარმოშობა. ამ წიგნში დასმულია ისეთი საკითხები და მოცემულია მათი ისეთი გადაწყვეტა, რომლებიც საფუძვლად დაედო პოსტპოზიტივისტურ მოძრაობას და განაპირობა მისი წარმოშობა. ასეთია, მაგალითად, მეტაფიზიკის რეაბილიტაციის, მეცნიერული ცოდნის, რაციონალურობის, ისტორიისა და მეცნიერების მეთოდოლოგიის კავშირის, მეცნიერული რევოლუციების პრობლემა და სხვ. სწორედ პოპერი იყო პირველი, რომელმაც სცადა გადაესინჯა და გადაელახა პოზიტივიზმის ამოსავალი დოგმები. ამიტომაც მიიჩნევენ მას პოსტპოზიტივიზმის ფუძემდებლად.

პოპერის დამოკიდებულება სხვა პოსტპოზიტივისტებთან (კუნი, ლაკატოსი, ფეიერაბენდი, ტულმინი,...) ნათელი გახდება ზემოხსენებული პრობლემების ანალიზის პროცესში. მაგალითად, პოპერმა დასვა საკითხი მეცნიერული რევოლუციების შესახებ და მოგვცა მისი გადაწყვეტის ორიგინალური ცდა. იგივე პრობლემა, მხოლოდ განსხვავებული სახით გააანალიზა კუნმა. ასევე პოპერს აინტერესებს მეცნიერული ცოდნის ზრდის მექანიზმი; ამ პრობლემას იკვლევს კუნი, ლაკატოსი და სხვა პოსტპოზიტივისტი. თუ რა პუნქტში ეთანხმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიან ან არ ეთანხმებიან პოპერი და მისი მიმდევრები ერთმანეთს, ამას ცოტა ქვემოთ გავარკვევთ. მთავარი საკითხი, რასაც გვინდა, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება მივაქციოთ, არის პოსტპოზიტივისტებთან პოპერის დამოკიდებულების აქტუალურობა. ამ საკითხის აქტუალურობას ისიც განაპირობებს, რომ პოპერი, ერთი მხრივ, პოსტპოზიტივიზმის ფუძემდებელია, ხოლო, მეორე მხრივ, პოპერსა და პოსტპოზიტივისტებს შორის ცხარე კამათი წარმოებს. უდავოა, რომ პოპერმა განსაზღვრა პოზიტივისტების მუშაობის ძირითადი მიმართულება, კერძოდ, მეცნიერების მეთოდოლოგიური საკითხების კვლევა. მანვე პირველად მოგვცა პოზიტივიზმის (აღსანიშნავია, რომ თვითონ თავდაპირველად პოზიტივიზმის წარმომადგენელი და „ვენის წრის“ წევრი იყო) ძირითადი დებულებების საფუძვლიანი კრიტიკა. ამდენად, პოპერისა და პოსტპოზიტივისტების იდეების შედარებითი ანალიზი და მათი მარქსისტულ-ლენინური შეფასება მეტად აქტუალურად გვესახება.

შეიძლება ითქვას, რომ პოპერის მთელი ფილოსოფია სხვა არაფერია, თუ არა პოზიტივიზმის ძირითადი დებულებების კრიტიკა, მათი საწინააღმდეგო მოსაზრებების წამოყენება და ანალიზი. ამ დებულების საილუსტრაციოდ საკმარისია პოპერისა და პოზიტივისტების შეხედულებების უბრალო შედარებაც, კერძოდ: პოზიტივიზმისათვის ძირითადია ინდუქციის პრინციპი; პოპერი კი ანტიინდუქტივისტია და მეცნიერების დედუქციურ სისტემას აგებს; პოზიტივისტები ვერიფიკაციის პრინციპს მიმართავენ ამა თუ იმ დებულების საზრისის დასადგენად, პოპერს კი ეს პრინციპი არ აკმაყოფილებს და მის ნაცვლად ფალსიფიკაციის პრინციპი შემოაქვს და პოზიტივისტებთან შედარებით გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს. პოზიტივიზმისათვის ცოდნის ძირითადი წყაროა გრძნობადი მონაცემები, პოპერი კი ამაზე არ ჩერდება და უფრო შორს მიდის. პოზიტივისტების შემეცნების თეორია სუბიექტივისტურია, პოპერი კი ობიექტურ ცოდნაზე ლაპარაკობს და უსუბიექტო ეპისტემოლოგიას აგებს.

ჩამოთვლილი დებულებების ანალიზი პოპერის ფილოსოფიის გადმოცემას ნიშნავს, რაც სრულიად აშკარას ხდის მის ანტიპოზიტივისტურ ხასიათს. მაგრამ, რადგანაც პოპერი „ვენის წრის“ წარმომადგენელი იყო და მისი ფილოსოფია პოზიტივიზმის ნიადაგზე წარმოიშვა, ამიტომ მათ შორის მსგავსებაც დიდია. ეს მსგავსება იმაში გამოიხატება, რომ 1) მეცნიერებისა და მეტაფიზიკის დემარკაციის პრობლემა პოპერმა ლოგიკური პოზიტივიზმისაგან აიღო (თუმცა იგი სულ სხვაგვარად გადაწყვიტა); 2) პოპერი, ლოგიკური ემპირისტების მსგავსად, ემპირიზმის პრინციპებიდან ამოდის და მის საფუძველზე აგებს საკუთარ მეთოდოლოგიას; 3) მისთვის მისაღებია ანალიზური და სინთეზური დებულებების ურთიერთობის პოზიტივისტური გაგება (ინდუქციის პრინციპის გამოკლებით); 4) პოპერი, პოზიტივისტების მსგავსად, ლაპარაკობს ცდისეული მეცნიერებების პრინციპულ განსხვავებაზე მათემატიკისა და ლოგიკისაგან; 5) პოპერს ლოგიკურ პოზიტივისტებთან ხშირად აახლოებს მეთოდოლოგიური პრობლემების ერთნაირი გადაწყვეტა, კერძოდ, ფორმალურ-ლოგიკურ ანალიზზე დაყრდნობა და სხვ.

ზემოთქმულის საფუძველზე პოპერის ზოგიერთი მიმდევარი ლაპარაკობს ლოგიკური პოზიტივიზმისაგან არა იმდენად განსხვავებაზე, რამდენადაც მსგავსებაზე, მაგრამ უფრო სამართლიანი იქნება თუ პოზიტივიზმთან მსგავსების მიუხედავად ვილაპარაკებთ პოპერის ფილოსოფიის ორიგინალურობასა და დამოუკიდებლობაზე. სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ პოპერი ახა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლი ფილოსოფიური მიმართულების — პოსტპოზიტივიზმის ფუძემდებელი გახდა.

ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ გავაანალიზებთ პოპერის ფილოსოფიის ძირითად დებულებებს იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა პოსტპოზიტივიზმთან მისი ურთიერთობის გასარკვევად.

პირველი პრობლემა, რომლის გადაწყვეტა პოპერს სურს, ესაა ერთი მხრივ, ინდუქციის, ხოლო, მეორე მხრივ, მეცნიერებისა და მეტაფიზიკის დემარკაციის პრობლემა. წიგნში „მეცნიერული კვლევის ლოგიკა“ პოპერი ვრცლად აანალიზებს ინდუქციის პრინციპს, რომელიც პოზიტივიზმის ამოსავალი პრინციპია, და აკრიტიკებს მას იმ ნაკლის გამო, რომელიც გაცილებით ადრე იყო შემჩნეული. სახელდობრ, ინდუქციის გზით დადგენილი ზოგადი (კანონი) არ შეიძლება აპოდიქტური აუცილებლობის შემცველი იყოს, ვინაიდან ერთეულიდან ზოგადზე გაკეთებული დასკვნა არასოდეს არ არის უეჭველი; „ყველას“ შემოწმება შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, პოპერს შეუძლებლად მიაჩნია ინდუქციის პრინციპის ხელაღებით უარყოფა. მისი აზრით, ის გარემოება, რომ ინდუქციური დასკვნები ლოგიკურად უფლებამოსილნი არიან, მიუთითებს ინდუქციის პრობლემაზე“ [5, გვ. 1].

როგორც ცნობილია, ნეოპოზიტივიზმის სფეროში ანტიინდუქტივიზმის გამოჩენა პოპერის სახელთანაა დაკავშირებული. მან ამოცანად დაისახა ეჩვენებინა ინდუქციის უნაყოფობა და მისი გამოყენების შეუძლებლობა მეცნიერული კვლევის პროცესში. ეს კი, თავის მხრივ, პოზიტივიზმის პოზიციების დალღოვებას ნიშნავდა.

პოპერის აზრით, ინდუქციის პრობლემა ყოველთვის იდგა ფილოსოფიის ისტორიაში. იუმი არაა სწორი, ამბობს პოპერი, როცა ინდუქციასთან დაკავშირებით განმეორებასა და მსგავსებაზე ლაპარაკობს. არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მოვლენები მეორდებიან თავისთავად, დაინტერესებული სუბიექტისაგან დამოუკიდებლად, რადგან ყველა განმეორება არის „განმეორება ჩვენთვის“; ისინი ცდებიან, რომელსაც სუბიექტი აღიქვამს როგორც ძველი სიტუაციის გამეორებას. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა რწმენა, ე. ი. გამეორება რწმენას კი არ უდევს საფუძვლად, არამედ პირიქით, რწმენაა მისი საფუძველი.

არც ერთი თეორია არ არის, პოპერის აზრით, დაკვირვების შედეგი. ასეთი გზით მისი აღმოჩენა შეუძლებელია. მართალია, ცდაში მოცემული ფაქტები ნათელია და უარყოფაც შეუძლებელია, მაგრამ ისინი მეცნიერების კანონის დასადგენად არ გამოდგება. ყველა შესაძლო შემთხვევის გათვალისწინება შეუძლებელია; მაგალითად, შეუძლებელია ვთქვათ, რომ „ყველა გედი თეთრია“ (როგორც ეს შავი გედის ჯიშის აღმოჩენამ დაადასტურა). აქედან გამომდინარეობს, რომ თეორიის მიღება დაკვირვებიდან ინდუქციის მეშვეობით შეუძლებელია; თვით ინდუქციის იდეა მცდარია, ილუზიურია. გამეორება კანონზომიერებას ვერ დაადგენს; იუმმა ეს სიძნელე ვერ გადალახა. კანტი კი „ინდუქციის პრინციპის სირთულეს იმით იცილებდა, რომ მას განიხილავდა აპრიორულად...“ საერთოდ კი „ინდუქციის ლოგიკის აღნიშნული წინააღმდეგობანი როგორც ჩვენ ვფიქრობთ, გადაულახავია“ [5, გვ. 3].

პოპერს სურს აჩვენოს, რომ ინდუქციონიზმის მიერ შემოთავაზებული ვერიფიკაციის პრინციპი ფაქტობრივად გამოუყენებადია იმის გამო, რომ მას მკაცრი დასაბუთება აკლია. აქედან იგი დაასკვნის, რომ მეცნიერული თეორიის აღმოჩენა შეუძლებელია ვერიფიკაციის პრინციპის საფუძველზე. ინდუქციური

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლოგიკა ამ თვალსაზრისით ახალს არაფერს იძლევა. „პრინციპული განსხვავება, რომელიც არსებობს ჩემებურ მიდგომასა და იმას შორის, რასაც მე ვუწოდებ „ინდუქტივიზმს“ —წერს პოპერი— მდგომარეობს იმაში, რომ მე ვეყრდნობი უარყოფით არგუმენტებს, ისეთს, როგორიცაა ნეგატიური მაგალითები და კონტრმაგალითები, უარყოფა და უარყოფის ცდები, მოკლედ რომ ვთქვათ—კრიტიკას, მაშინ როდესაც ინდუქტივისტი ყურადღებას ამახვილებს პოზიტიურ მაგალითებზე“... [6, გვ. 20].

მაშასადამე, ინდუქციის პრინციპი, პოპერის აზრით, ვერ ადგენს დებულების ჭეშმარიტებას, რადგანაც ის ვერიფიკაციას მიმართავს. ვერიფიკაციით კი ზოგადი დებულებები; რომელნიც მეცნიერების ინტერესების სფეროში შემოდის, საბოლოოდ არ დამტკიცდება, ხოლო ნაწილობრივი მტკიცებანი მიუღებელია. გამოსავალი ერთია: თუ დამტკიცებადობის, დასაბუთებადობის ძიება ვერ გვაძლევს სასურველ შედეგს, უნდა მივმართოთ მის საპირისპირო პროცედურას — უარყოფას. სწორედ ეს იქნება ფალსიფიკაციის პრინციპი, რომელიც დემარკაციის როლს ასრულებს, იმ როლს, რომლის შესრულება ვერ შესძლო ვერიფიკაციის პრინციპმა ინდუქციის ცნობილი ნაკლის გამო.

ერთი სიტყვით, თუ დემარკაციის პრობლემის გადაწყვეტას პოზიტივიზმი ვერიფიკაციის პრინციპის საფუძველზე ცდილობდა, პოპერი კი საწინააღმდეგოს მიმართავს,—კერძოდ, ფალსიფიკაციას. იგი დემარკაციის საკუთარი გაგების დაფუძნებას ვერიფიკაციის პრინციპის კრიტიკით იწყებს. ვერიფიკაციის კრიტერიუმი, მისი აზრით, ლოგიკურად არასაკმარისია, ხოლო პრაქტიკასთან შეუთავსებადი. აჩვენებს რა ვერიფიკაციის პრინციპის ლოგიკურ არასაკმარისობას, იგი წერს: „არც ერთი მეცნიერული თეორია არ შეიძლება დედუცირებულ იქნეს დაკვირვებადი მტკიცებებისაგან ან აღწერილ იქნეს როგორც დაკვირვებად მტკიცებათა ჭეშმარიტობის ფუნქცია“ [4, გვ. 9]. ამგვარი პრობლემის გადაწყვეტა ემსგავსება ინდუქციის პრობლემის გადაწყვეტას, რაც პოპერს პრინციპულად შეუძლებლად მიაჩნია. ვერიფიკაციის მეთოდი, ფიქრობს პოპერი, ინდუქციის პრინციპს ემყარება, რომელსაც ზემოხსენებული ნაკლი გააჩნია, სწორედ ამიტომ იგი მეცნიერებიდან გამორიცხავს ძირითად კომპონენტს — კანონებს და ყველაფერს იმას, რაც მეცნიერებას ახასიათებს. ვერიფიკაციის პრინციპისაგან განსხვავებით, ასეთი ნაკლი არა აქვს ფალსიფიკაციის პრინციპს. სწორედ ამიტომ მხოლოდ ამ პრინციპის საფუძველზე გახდება შესაძლებელი მეცნიერების გამიჯვნა არამეცნიერებისაგან; მაგრამ ეს შესაძლებელია არა მტკიცების, დასაბუთების საშუალებით, როგორც ეს პოზიტივიზმშია ცნობილი, არამედ უარყოფის გზით. ფალსიფიკაცია გვაძლევს მეცნიერებისა და მეტაფიზიკის ჭეშმარიტი დემარკაციის საშუალებას. საკუთრივ დემარკაციის პრინციპს კი პოპერი ასე განსაზღვრავს: „კრიტერიუმის დაძებნის პრობლემას, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა გაგვესხვავებინა ერთმანეთისაგან ემპირიული მეცნიერებანი, ერთის მხრივ, მათემატიკა და ლოგიკა, აგრეთვე მეტაფიზიკური სისტემები, მეორეს მხრივ, მე ვუწოდებ დემარკაციის პრობლემას“ [5, გვ. 5].

როგორც ვხედავთ, ამ ეტაპზე პოპერს ორი ამოცანის გადაწყვეტა სურს: პირველი, ინდუქციის პრობლემისა, რომელიც მას „ჰიუმისეულ პრობლემად“ [5, გვ. 6] მიაჩნია და რომელზეც პოპერის პასუხი უკვე ნათელია. მეორე, დემარკაციის ანუ ზღვარდების, შემოსაზღვრის პრობლემა (Abgrenzungsproblem), ე. ი. მეცნიერების ავტონომიურობის დასაბუთება, მისი განსხვავება არამეცნიერებისაგან, მათ შორის, მეტაფიზიკისაგან. ამ პრობლემას პოპერი „კანტისეულ

ეროვნული ბიბლიოთეკა



პრობლემას“ [5, გვ. 6] დაარქმევს და ფალსიფიკაციის პრინციპით შეეცდება მის გადაწყვეტას. პოპერის თანახმად, „ამ ორივე პრობლემიდან (იგულისხმება ინდუქციის და შემოსაზღვრის პრობლემა—ა. კ.), რომელზეც მიმართულია შემეცნების თეორიის თითქმის ყველა სხვა პრობლემა, შემოსაზღვრის პრობლემა საფუძველმდებარეა“ [5, გვ. 6] და შემდეგ: „დემარკაციის პრობლემის გადაწყვეტა ნიშნავს განსაზღვრო ცნება „ემპირიული მეცნიერება“ და „მეტაფიზიკა“ იმგვარად, რომ შესაძლებლობა გვქონდეს ვთქვათ, მიეკუთვნება თუ არა მტკიცებათა მოცემული სისტემა ემპირიული მეცნიერების სფეროს“ [5, გვ. 10].

რა არის ფალსიფიკაცია? რას ნიშნავს ფალსიფიკაციის პრინციპი? ეს პრინციპი ნიშნავს იმის შესაძლებლობის დაშვებას, რომ ნებისმიერი მეცნიერული თეორია მომავალში ყალბი აღმოჩნდეს. იქ, სადაც ასეთი შესაძლებლობა გამორიცხულია, არც მეცნირება გვაქვს. ერთი სიტყვით, მეცნიერულობის კრიტერიუმი ფალსიფიკაციის შესაძლებლობაა. ლოგიკურად კი ის ნიშნავს იმ მიმართებას, რომელიც არსებობს თეორიასა და ბაზისურ მტკიცებათა კლასს შორის. თუ თეორია, პოპერის აზრით, არის უნივერსალურ გამოთქმათა სისტემა, ემპირიული ბაზისი ეს არის ყოველგვარი სინგულარული მტკიცება ფაქტებზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბაზისური ანუ ეგზისტენციალური მტკიცებანი ეწინააღმდეგება მოცემულ თეორიას ან მის ცალკეულ დებულებას და ფალსიფიკაცია სწორედ გულისხმობს იმგვარი კონკრეტული სიტუაციის არსებობას, ან მის პრინციპულ შესაძლებლობას, როდესაც მოცემული თეორია ან დებულება შეიძლება ემპირიულად უარყოფილ იქნეს.

პოპერი ამტკიცებს, რომ რადგანაც მეცნიერული თეორიის უარყოფა ყოველთვის შესაძლებელია, ამიტომ ის უკეთეს შემთხვევაში ჰიპოთეზაა. არსებობს თუ არა სამყაროში კანონები? იგი თვლის, რომ სამყაროში კანონების მტკიცება ჰიპოთეზაა, ვინაიდან მისი ფალსიფიკაცია შესაძლებელია. ჰიპოთეზა კი ალბათურია, და ამიტომ ის არასოდეს არ იქნება დებულება მოვლენათა ნამდვილი მდგომარეობის შესახებ. ამით უარყოფის პრინციპული შესაძლებლობა რეალურ უარყოფად იქცა. ესაა თეორიულ-ჰიპოთეზური ნიჰილიზმი, რაც პრაგმატისტებს ახასიათებს, რომელთანაც პოპერი ასე თუ ისე ახლოს დგას.

პოპერის ის აზრი, რომ ზოგადი დებულებანი ფალსიფიცირებადია, ხოლო ეგზისტენცალური—ვერიფიცირებადი, გვაბედვინებს ვთქვათ, რომ პოპერი მიდის მეცნიერული თეორიების უარყოფამდე საერთოდ, ვინაიდან ამ თეორიების ფალსიფიკაციის შესაძლებლობა ყოველთვის არსებობს. ხოლო კერძო, ემპირიული დებულებების მტკიცება შესაძლებელია. ამდენად, მეცნიერებაში მდგრადობის მომენტი გამორიცხულია. როგორც ჯ. აგასი შენიშნავს, პოპერისათვის „მეცნიერება არის თავის თავთან მუდმივი ბრძოლა და ის მიიწევს წინ რევოლუციებისა და შინაგანი კონფლიქტების წყალობით“ [2. გვ. 121].

პოპერი იმასაც ამბობს, რომ თეორია არსებობს იმდენად, რამდენადაც მისი ფალსიფიკაცია შესაძლებელია. შედეგი ასეთი იქნება: თეორიას არასოდეს არ ექნება ჭეშმარიტების სტატუსი. ეს უკანასკნელი ემპირიულს მიეწერება მათი ვერიფიცირებადობის გამო. სწორედ ამიტომ თეორია საერთოდ უარიყოფა.

ფალსიფიკაციასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საკითხი დგება: ხომ არ ეწინააღმდეგება ფალსიფიკაციის პრინციპი მეცნიერული ცოდნის განვითარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბის იდეას? ხომ არაა საშიში ფალსიფიკაცია თვითონ ფალსიფიკაციის პრინციპისათვის? რადგანაც მეცნიერება პოპერთან შესაძლებელია როგორც მცდარი მეცნიერება, ამიტომ მისი ფალსიფიკაციის პრინციპი საფუძველშივე ირღვევა. ის ვერ იქნება დემარკაციის იარაღი, რადგანაც მისი პრინციპები გამოყენებადია არა მეცნიერებისათვის, არამედ ფსევდომეცნიერებისათვის. ამდენად, პოპერის მცდელობა, რომ ფალსიფიკაციის პრინციპი გამხდარიყო დემარკაციის აუცილებელი პირობა, არ გამართლდა. პოპერმა პოზიტიური მეცნიერება ვერ დაადგინა და ნეგატივიზმისაკენ გადაიხარა, მისი პრინციპები ფეიერაბენდის ანარქიზმისათვის ამოსავალი გახდა.

საკითხი, თუ რა მიმართებაშია ფალსიფიკაციის პრინციპი მეცნიერული ცოდნის განვითარებასთან, გაირკვევა მაშინ, თუ გავითვალისწინებთ პოპერის თვალსაზრისს ამ საკითხთან დაკავშირებით. „შემეცნების თეორია, რომელსაც მე გთავაზობთ,—წერს პოპერი,—წარმოადგენს ცოდნის ზრდის დარვინისეულ თეორიას ამ სიტყვის ფართო გაგებით... ჩვენი ცოდნის ზრდა წარმოადგენს პროცესს, რომელიც ძალიან გვაგონებს იმას, რასაც დარვინმა „ბუნებრივი შერჩევა“ უწოდა, ე. ი. ჰიპოთეზების ბუნებრივი შერჩევა: ჩვენი ცოდნა, თვითეულ მომენტში, შედგება ჰიპოთეზებისაგან, რომელიც ამტკიცებს თავის (შედარებით) გამოსადეგობას არსებობისათვის ბრძოლაში, ბრძოლაში—შეჯიბრებისათვის, რომელიც ჰიპოთეზების ელიმინაციას ახდენს, იმისას, რაც უსარგებლოა“ [6, გვ. 63].

რა არის მეცნიერული შემეცნება? შემეცნებას ციკლური ხასიათი აქვს. ის არის ჭეშმარიტების მიღწევის პროცესი, ობიექტური ჭეშმარიტების პოვნა. შემეცნება პრობლემატურია, ე. ი. იწყება პრობლემით და მთავრდება პრობლემით. ამაშია მისი ციკლური ბუნება.

პოპერმა შეიმუშავა შემეცნების პროცესის სქემა. ამ სქემის მიხედვით გვაქვს ამოსავალი პრობლემა $P_1$, სასინჯი თეორიები TT და შეცდომების ელიმინაცია EE, სადაც ხდება მკაცრი კრიტიკა და ყალიბდება $P_2$ — პრობლემური სიტუაცია, რადგანაც კვლავ იწყება შემეცნების პროცესი. ცოდნის ზრდის შინაგანი მექანიზმი ასეთ სახეს მიიღებს: $P_1 \rightarrow TT \rightarrow EE \rightarrow P_2$. ეს არის პოპერისეული მეცნიერული ცოდნის ზრდის სქემა. თუ ახალი პრობლემა $P_2$ გლობალურია და ძველს არ იმეორებს, გვექნება პროგრესი, წინსვლა ჭეშმარიტების წვდომის გზაზე, ხოლო თუ ის იგივეა, რაც $P_1$, მაშინ იქნება რეგრესი და არა წინსვლა. ამ სქემიდან ჩანს, რომ შემეცნებას უნდა ვუყუროთ არა როგორც ჭეშმარიტების დაგროვებისა და მიღწევის პროცესს, არამედ როგორც ჩვენი უცოდინარობის შემცირების პროცესს მცდარი მსჯელობების ელიმინაციის მეშვეობით, მისი კრიტიკით. ჭეშმარიტება, ამ სქემის მიხედვით, კი არ მიიღწევა, არამედ ვლინდება, ის რეგულატიური იდეაა, რადგანაც შემეცნების წინსვლის საფუძველია. შემეცნებას პოპერთან პრობლემატური ხასიათი აქვს, რაც თავის მხრივ ცოდნის პრობლემატურობაზე, მის რელატიურობაზე მითითებას წარმოადგენს. აქედან გამოსული, პოპერი დაადგენს მეცნიერული ცოდნის ისეთ ნიშნებს, როგორიცაა განვითარება და ობიექტურობა.

აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ჩვენ ვერასოდეს ვერ ვწვდებით, თუმცა მისკენ მუდამ ვისწრაფვით, ვინაიდან სხვანაირად პროგრესი შემეცნებაში შეუძლებელია. ჭეშმარიტება ადამიანებისაგან უსასრულოდ დაშორებულია; თუნდაც გვქონდეს ჭეშმარიტება, არ გვექნება მისი შეცნობის კრიტერიუმი, საზომი. მაგრამ გვაქვს ჭეშმარიტებასთან მიახლოების პროცესის გაზომვის საშუალება. პოპერს ამის აღსანიშნავად შემოაქვს სპეციალური ტერმინი — verisimilitude — რაც სიმართლის

ეროვნული ბიბლიოთეკა



მსგავსებას, სიმართლესთან მიახლოებას, ჭეშმარიტის მსგავსს ნიშნავს. „სიმართლის მსგავსის ცნება მოწოდებულია გადალახოს ფალსიფიკაციონიზმისთვის დამახასიათებელი ჭეშმარიტების რწმენაზე დაყვანა. სიმართლის მსგავსობა, არის, ასე ვთქვათ, ჭეშმარიტების მსგავსი, მასთან მიახლოება, რომელიც, ამგვარად, წარმოადგენს შემეცნების იდეალს“ [3, გვ. 80]. ჭეშმარიტების პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა არ ეწინააღმდეგება პოპერის ჰიპოთეტიზმს; სულ სხვა საკითხია, არის თუ არა ადგილი ჰიპოთეტიზმში ჭეშმარიტების გამოყენებისათვის.

პოპერთან განხილულია მეცნიერული ცოდნის ობიექტურობის საკითხი, რაც ამართლებს მის თეზისს: შემეცნება შემმეცნებელი სუბიექტის გარეშე. ამ დებულების დასაბუთებას პოპერი იწყებს ტრადიციული ეპისტემოლოგიის სუბიექტივიზმისა და ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ ბრძოლით.

ტრადიციულმა ეპისტემოლოგიამ, პოპერის აზრით, მარცხი იმიტომ განიცადა, რომ ის შემეცნებას სუბიექტს უკავშირებდა, მას აინტერესებდა სუბიექტური ცოდნის ყოველდღიური მნიშვნელობა. ლოგიკასა და მეთოდოლოგიაში ფსიქოლოგიზმის დაძლევა შემეცნების ნამდვილი დაფუძნება იქნება. ფსიქოლოგიზმი კი პოპერს ესმის როგორც იმის მცდელობა, რომ მეცნიერული დებულებების ბედი ინდივიდუალური სუბიექტის ცდაზე დავიყვანოთ. პოპერის აზრით, ტრადიციული ემპირიზმი ბეკონიდან რასელამდე ფსიქოლოგიზმის ტყვეობაში იყო.

მეცნიერული ცოდნის ობიექტურობის დასამტკიცებლად, პოპერს შემოაქვს ე. წ. „სამი სამყაროს“ თეორია. ის არჩევს რეალობის 3 ტიპს: 1) ფიზიკური სამყარო ანუ ფიზიკური მდგომარეობის სამყარო; 2) ცნობიერების მდგომარეობის ანუ ფსიქიკური სამყარო; 3) მეცნიერული ცოდნის ანუ „აზროვნების ობიექტური შინაარსის სამყარო“. პოპერის ინტერესი მიმართულია მესამე სამყაროსადმი, რომლის „მობინადრენიც“ არიან თეორიული სისტემები, პრობლემები, პრობლემური სიტუაციები, კრიტიკული არგუმენტები, ჟურნალები, წიგნები და ბიბლიოთეკები.

პოპერის თანახმად, „მესამე სამყაროს“ ობიექტურობის სტატუსი გააჩნია იმიტომ, რომ ადამიანი ქმნის ცოდნას წინასწარი განზრახვის გარეშე, ისევე როგორც ობობა ქსოვს აბლაბუდას ან ფუტკარი იმუშავებს თაფლს. ეს მესამე სამყარო, ამბობს პოპერი, წარმოადგენს ადამიანის პროდუქტს, იგი არის თეორია და არგუმენტი „თავისთავად“, პრობლემური სიტუაციები „თავისთავად“, რომელიც არასოდეს არ იყო გამოყენებული ან გაგებული და შესაძლებელია არც არასოდეს არ იქნება ადამიანების მიერ გამოყენებული და გაგებული. მათი წარმოშობის აუცილებლობა არც არსებობს, თუმცა როგორც კი წარმოიშობა, მაშინვე ქმნის ახალი პრობლემების ან იდეების ახალ სისტემას. ამგვარად, თეორიის ობიექტურობა პოპერთან გაგებულია როგორც ცნობიერებისაგან დამოუკიდებლობა. მაგრამ კონკრეტულად რაში გამოიხატება მეცნიერული ცოდნის ობიექტური და სუბიექტური შინაარსი?

პოპერის თანახმად, ერთი მხრივ, არის აზროვნების პროცესი, ხოლო, მეორე მხრივ, თეორიები, იდეები, პრობლემები. პირველი სუბიექტურია, მეორე კი ობიექტური. მეცნიერული თეორია არ უნდა დაინტერესდეს ცოდნის სუბიექტური მხარით — აზროვნების პროცესით; მისი მთავარი შინაარსია თეორიები და მათი ლოგიკური ურთიერთობა. აზროვნების პროცესი ყოველთვის ინდივიდუალური და სუბიექტურია, ხოლო მისი ზოგადი შედეგები პრობლემების, იდეების და თეორიის სახით ობიექტურია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მესამე სამყარო წარმოადგენს ადამიანის გაუცნობიერებელი მოღვაწეობის შედეგს. ის ავტონომიურია, სუბიექტზე არაა დამოკიდებული და არც საჭიროებს სუბიექტს შემეცნებაში. „ჩიტის ბუდე ჩიტის ბუდე იქნება, მიუხედავად იმისა, თუ ის მიტოვებულია. ანალოგიურად, წიგნი რჩება წიგნად — პროდუქციის გარკვეულ ტიპად — იმისდა მიუხედავად, რომ ის არასოდეს არ წაუკითხავთ“ [6, გვ.115].

მიუხედავად მესამე სამყაროს ობიექტურობის გამოცხადებისა, პოპერმა ვერ იპოვა ამ თეზისის სწორი ახსნა. ობიექტურობა მასთან ინდივიდუალურ ცდასთან დაპირისპირებას ნიშნავს, ხოლო თეორიის შემოწმებადობის კრიტერიუმს ინტერსუბიექტური ხასიათი აქვს. ამ შემთხვევაში ფალსიფიკაციის ობიექტი თეორიები და იდეებია. მათი უარყოფა ახლის მიღებას გულისხმობს, თეორიის უარყოფა კი შემეცნების თვითმიზანი ხდება. აქ დგება მეცნიერული თეორიის არჩევის საკითხი.

არსებობს ძველი და ახალი თეორია. ცალკე აღებულ თეორიაზე ვერ ვიტყვით, რომ ის ჭეშმარიტია ან მცდარი. ის უნდა დავუპირისპიროთ სხვას და ამ დაპირისპირებაში გამოჩნდება მისი ჭეშმარიტობა-მცდარობა. თეორიის „არჩევის“ ეს ხერხი ერთადერთი საშუალებაა თეორიის ჭეშმარიტობის დადგენისათვის.

თეორიები თავისთავად არ იცვლება. ისინი ერთმანეთს ცვლიან. როცა არსებობს არჩევანი, არსებობს პროგრესიც. „უკეთესია ის თეორია, რომელიც ფლობს მეტ ამხსნელობით უნარს, ე. ი. ის, რომელიც ახსნის მეტს, ახსნის სიზუსტით და რომელიც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ უკეთესი შედეგები“ [6, გვ. 192].

პოპერის აზრით, მისი ცოდნის ზრდის თეორია არაკუმულაციურია. აქ პროგრესი მიიღწევა ახალი თეორიის შემოსვლით, რომელიც წინასთან შედარებით უფრო ღრმაა, უფრო ზუსტია.

ამგვარად, პოპერი ანტიკუმულიატივიზმის მამამთავარი გახდა. მის გზას გაჰყვება შემდგომში ზოგიერთი მისი მოწაფე. „ცოდნის ზრდა — ანუ დასწავლის პროცესი—ამბობს პოპერი—არის არა გამეორებადი კუმულაციური პროცესი, არამედ შეცდომების ელიმინაციის პროცესი. ესაა დარვინისეული შერჩევა და არა ლამარკისეული ვარჯიში“ [6, გვ. 144].

ამრიგად, პოპერისეული მეცნიერული ცოდნის ზრდის თეორია არის მეცნიერული რევოლუციის თეორია. აქ შეიძლება ორი მომენტი გამოვყოთ: 1) ვიწყებთ ცალკეული თეორიით, ვაკრიტიკებთ, უარვყოფთ, რასაც მივყავართ ახალი თეორიის ძიებისაკენ. 2) ვიწყებთ ორი, ერთდროულად არსებული კონკურენტული თეორიიდან, ვიგონებთ ისეთ ექსპერიმენტს, რომელიც ერთ-ერთს უარყოფს და აქ გამოჩნდება თეორიის ძლიერი და სუსტი მხარეები. აქ ერთი თეორიიდან მეორეზე გადასვლა ევოლუციურ ხასიათს ატარებს. აქვე დგება საკითხი პოპერის დამოკიდებულების შესახებ პოსტპოზიტივისტებთან. რით განსხვავდება ან კონკრეტულად რაში გამოიხატება პოპერის შეხედულებების განსხვავება პოსტპოზიტივისტების შეხედულებებისაგან?

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ თ. კუნის გამონათქვამს პოპერისა და საკუთარი შეხედულებების განსხვავება-მსგავსების შესახებ. სტატიაში „აღმოჩენის ლოგიკა თუ გამოკვლევის ფსიქოლოგია“ კუნი წერს: „ჩემსა და პოპერის შეხედულებებს შორის ბევრი რამ საერთოა. კერძოდ: a) ორივეს გვაინტერესებს მეცნიერული ცოდნის დინამიკური პროცესი; b) ორივე მივმართავთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეცნიერების ისტორიას და ამ გზით ხშირად ერთსა და იმავე შედეგებამდე მივდივართ; c) ორივე უარვყოფთ კუმულაციურ თეორიას და ვაღიარებთ ცოდნის განვითარების რევოლუციურ ხასიათს; d) ორივე ვებრძვით კლასიკურ პოზიტივიზმს, არ ვაღიარებთ ნეიტრალური ენის არსებობას და ვთვლით, რომ მეცნიერის მოვალეობაა თეორიის აღმოჩენა და დაკვირვებადი ფაქტების ახსნა.

ჩვენ შეხედულებებს შორის ბევრი განსხვავებაცაა: *a*) პოპერს საქმე აქვს მეცნიერების ლოგიკასთან, მე კი შემეცნების ფსიქოლოგიასთან; b) მისი ისტორიზმი თანამიმდევრული არ არის; c) არ ვიზიარებ ფალსიფიკაციის მეთოდს, თუმცა პატივს ვცემ მას" [7, გვ. 1—3].

ზემოთქმულს შეიძლება დავუმატოთ:

1. პოპერი უშვებს ერთდროულად რამდენიმე თეორიის არსებობას, რომლებიც ერთმანეთთან კონკურენტულ დამოკიდებულებაშია (ეს იდეა აიღო და განავითარა ი. ლაკატოსმა, რომელიც პოსტპოზიტივისტებიდან ყველაზე უფრო ახლოს დგას პოპერთან). კუნი კი შეუძლებლად თვლის ერთდროულად რამდენიმე თეორიის (მით უმეტეს: კონკურენციული თეორიების) არსებობას. მისი აზრით, ერთ ეპოქაში ერთი პარადიგმა განუყოფლად ბატონობს. სწორედ ამას ემყარება კუნის კონცეფცია პარადიგმების შეუთავსებადობის შესახებ.

2. პოპერთან გამორიცხულია თეორიის გაუმჯობესება მისი რეკონსტრუქციის, მოდიფიკაციის, გასწორების გზით. კუნი კი ამ მეთოდს მიმართავს ერთი პარადიგმის ფარგლებში.

3. პოპერთან ერთი თეორიიდან მეორეზე გადასვლა არაა უეცარი, ნახტომისებური, მოულოდნელი, თუმცა პოპერი მეცნიერული რევოლუციის მომხრეა. მაგრამ ეს რევოლუციები, მისი აზრით, განუწყვეტლად ხდება: ყოველი ახალი აღმოჩენა რევოლუციას წამოადგენს. კუნი არ იზიარებს პერმანენტული რევოლუციების თეორიას და თვლის, რომ მეცნიერული რევოლუციები იშვიათად ხდება, რომელსაც თან სდევს შემობრუნება მეცნიერულ აზროვნებაში.

4. პოპერის გნოსეოლოგია ობიექტური იდეალიზმისაკენ იხრება. კუნი კი სუბიექტური ტენდენციის წარმომადგენელია. იგი ლაპარაკობს აღმოჩენის ფსიქოლოგიაზე და არა ლოგიკაზე.

5. პოპერთან თეორიის უარყოფა თეორიის მეცნიერების, ჭეშმარიტობის ნიშანია, ის ყოველთვის ხდება. კუნთან კი პარადიგმის უარყოფას თავისი დრო აქვს; ის დაკავშირებულია პარადიგმის შინაგან განვითარებაზე, მისი შესაძლებლობების ამოწურვაზე, მასში კრიზისული პერიოდების დადგომაზე;

6. პოპერთან მეცნიერული საზოგადოებრიობის მოღვაწეობა, მეცნიერის პირადი ინტერესები გადამწყვეტ როლს არ ასრულებს, კუნთან კი ის ამოსავალი პრინციპია. ესეც ადვილად აიხსნება იმით, თუ გავითვალისწინებთ, რომ პოპერი მეცნიერების ლოგიკის მომხრეა, კუნი კი მეცნიერების ფსიქოლოგიის.

7. კუნთან მეცნიერული რევოლუცია გააბსოლუტირებულია (რევოლუცია მთლიანად, უნაშთოდ სპობს ძველ პარადიგმას), რაც პარადიგმის დამოუკიდებელ ბატონობაში გამოიხატება, პოპერთან ის რელატიური ხასიათისაა. კიდევ მეტი, შემეცნების შედეგი — ჭეშმარიტება არც მიიღწევა, მასთან მიახლოებაა შესაძლებელი. კუნი კი ლაპარაკობს პარადიგმის შიგნით არსებულ აბსოლუტურ ჭეშმარიტებებზე. ამასთანავე, ჭეშმარიტებას აზრი აქვს მოცემული პარადიგმის მიმართ.

8. დაბოლოს, კუნი მეცნიერული ცოდნის განვითარებაში მემკვიდრეობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თობას არ აღიარებს. მასთან, როგორც უოტკინსი შენიშნავდა, პარადიგმის აღიარება და შექმნა ერთი და იგივე პროცესია. აქ ძირითადი მნიშვნელობა აქვს რწმენას. პოპერი კი მიუთითებს ემპირიულ მემკვიდრეობითობაზე გენეტიკურად დაკავშირებულ თეორიებში, რომლის არსიც ისაა, რომ თითოეულმა მომდევნო თეორიამ უნდა შეძლოს ახსნას წინა თეორიის ემპირიული შინაარსი, ე. ი. მან უნდა ახსნას ყველა ის ემპირიული ფაქტი, რომელიც თავის დროზე ძველმა თეორიამ ახსნა. ამას გარდა, ახალ თეორიას მოეთხოვება ახსნას ყველა ის ახალი ფაქტი, რომლის ახსნა ძველმა თეორიამ ვერ შეძლო.

ასევე შეიძლება ვილაპარაკოთ პოპერისა და ლაკატოსის თეორიების განსხვავებაზე (მიუხედავად იმისა, რომ ლაკატოსი ყველაზე მეტად ახლოსაა პოპერთან).

1) ლაკატოსის აზრით, მეცნიერული რევოლუცია არ არსებობს, იგი თეორიათა შორის არჩევანზე დაიყვანება. მეცნიერული რევოლუცია ლაკატოსისათვის სხვა არაფერია, თუ არა ერთი მეცნიერული კვლევის პროგრამის მეორეზე გამარჯვება.

2) პოპერის მიხედვით, დემარკაცია განასხვავებს მეცნიერებასა და ფილოსოფიას, უშვებს რა მეცნიერების განვითარების რაციონალურ რეკონსტრუქციაში მეტაფიზიკისა და მეცნიერების ინტერესების დამთხვევას.

ლაკატოსის მიხედვით, ფილოსოფია მეცნიერებაში შედის. მეცნიერების ფილოსოფია მისთვის მეცნიერების განვითარების ისტორიის რაციონალური რეკონსტრუქციაა. იგი თვითონვე მიუთითებს ამ განსხვავების თაობაზე: მე მივდივარ უფრო შორს, პოპერისეული „მეცნიერებისა“ და „მეტაფიზიკის“ განსხვავების წაშლამდე. მე არ ვხმარობ ტერმინს „მეტაფიზიკური“ — ამბობს ლაკატოსი.

ამ ორი მოაზროვნის შეხედულებებს შორის მსგავსებაც ბევრია (უფრო მეტი, ვიდრე განსხვავება). პოპერისა და ლაკატოსის თანახმად, ცოდნის ზრდა ხდება „მესამე სამყაროში“, ხოლო ფილოსოფიის ამოცანაა მისი შესწავლა. ორივე აღიარებს კონკურენციაში მყოფი თეორიების არსებობას.

პოპერისა და ლაკატოსის შეხედულებების ნათესაობაზე ბევრი რამ შეიძლება ითქვას, მაგრამ ვინაიდან ეს საკითხი დავას არ იწვევს, ამიტომ ამ მოკლე შენიშვნით დავკმაყოფილდებით.

როგორც ზემოთ ვნახეთ, თავისი ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპების შემუშავებით პოპერი პოსტპოზიტივიზმის ფუძემდებელი გახდა. მისმა მოწაფეებმა კიდევ უფრო გააფართოვეს ამ მიმდინარეობის ჰორიზონტები და ახალი თეორიებიც შეიმუშავეს. პოსტპოზიტივიზმი უახლესი ფილოსოფიური მიმართულებაა, რომლის შესწავლა და მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან შეფასება უთუოდ აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს. როგორც პოსტპოზიტივიზმის ერთ-ერთი მკვლევარი ა. ვ. პანინი წერს: „...პოსტპოზიტივიზმი დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფიური ანტიპოდია და წარმოადგენს მეცნიერული შემეცნების იდეალისტური თეორიის კიდევ ერთ ვარიანტს“ [4, გვ. 19]. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს პოსტპოზიტივიზმის მარქსისტულ-ლენინური შეფასების აუცილებლობაზე.

ყოველი მოაზროვნის, მათ შორის პოპერის შეხედულებების შეფასებაც გულისხმობს მისი დადებითი და უარყოფითი მომენტების წარმოჩენას. მართალია, პოპერის ფილოსოფია წარმოადგენს, როგორც თვითონ ამბობს, მარქსიზმის წინააღმდეგ მიმართულ თეორიას, მაგრამ შესაძლებელია მასში

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაიძებნოს რაციონალური მარცვლები, რომლითაც ის ხელს უწყობს არა მხოლოდ ფილოსოფიური აზრის განვითარებას დასავლეთში, არამედ ასე თუ ისე ეხმაურება დიალექტიკური მატერიალიზმის ზოგიერთ დებულებას.

პირველ რიგში, ეს ეხება შემეცნების თეორიას. პოპერის მიხედვით, შემეცნება იწყება პრობლემით და მთავრდება პრობლემით. შემეცნება წარმოადგენს პროცესს, რომელიც არის არცოდნიდან ცოდნაზე გადასვლა. ჩვენი წარმატება შემეცნებაში, ამბობს პოპერი, გულისხმობს ჭეშმარიტებისაკენ სვლას. ჭეშმარიტება მასთან რეგულატური იდეაა, რომელიც შემეცნების პროგრესს უზრუნველყოფს.

პოპერი უარყოფს აბსოლუტური ჭეშმარიტების არსებობას და თვლის, რომ შესაძლებელია მასთან მიახლოება და არა მისი უშუალო წვდომა. ამასთანავე პოპერს, ბევრი სხვა მოაზროვნის მსგავსად, ჭეშმარიტებაში მხოლოდ აბსოლუტური ჭეშმარიტება ესმის, რომელსაც იგი უარყოფს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პოპერი მაქსიმალურად თავს იკავებს ჭეშმარიტების ცნების ხმარებისაგან და შემეცნების თეორიის აგებას მის გარეშე ცდილობს.

პოპერის ის აზრი, რომ შემეცნება გულისხმობს უცოდინარობიდან ცოდნაზე გადასვლას, ეხმაურება ვ. ი. ლენინის ცნობილ დებულებას იმის თაობაზე, რომ „...ჩვენი ცოდნა მზამზარეულად და უცვლელად როდი უნდა ვიგულისხმოთ, არამედ უნდა გავარკვიოთ, როგორ იბადება უცოდინარობისაგან ცოდნა, როგორ ხდება არასრული და არაზუსტი ცოდნა უფრო სრული და უფრო ზუსტი“ [1, გვ. 120].

პოპერმა ასევე მიუთითა მეცნიერული ცოდნის ობიექტურობაზე და ჩამოაყალიბა მისი ნიშნები: ობიექტურობა და განვითარება. მაგრამ ეს თეზისი მან ბოლომდე ვერ განავითარა, ვინაიდან სუბიექტის როლი აბსოლუტურად გამორიცხა და, ამდენად, ცალმხრივი აღმოჩნდა. სუბიექტივიზმის შიშით მან აბსოლუტური ობიექტივიზმი აღიარა და ამით პლატონისა და ჰეგელისაკენ გადაიხარა.

ფალსიფიკაციის პრინციპის საშუალებით შეუძლებელი აღმოჩნდა მეცნიერებისა და მეტაფიზიკის ერთმანეთისაგან განსხვავება. პოპერის დებულება, რომლის თანახმად მეცნიერული თეორია მეცნიერულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის უარყოფადია, თვითონ მეცნიერების უარყოფა გამოდგა. პოპერს საბოლოო ჯამში მეცნიერება დაეკარგა და თავისი მეცნიერული რევოლუციის თეორია ფსევდომეცნიერების თეორიად იქცა.

ფალსიფიკაცია ხელს უშლის მეცნიერული ცოდნის ზრდას. თეორიის უარყოფა ფაქტობრივად ცოდნის გამორიცხვას ნიშნავს. ამრიგად, ფალსიფიკაცია საშიში გამოდგა თვით ფალსიფიკაციისათვის. ის თავის თავის უარყოფამდეც მივიდა.

მართალია, ფალსიფიკაციის პრინციპმა უარყო ვერიფიკაცია, გამორიცხა ის მეცნიერების მეთოდოლოგიიდან, მაგრამ იგი მხოლოდ უარყოფით შემოიფარგლა, ვერ მიგვანიშნა იმ გზებსა და საშუალებებზე, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ემპირიული თეორიის პოზიტიური გამოყენება.

ზემოთ ჩვენ ვცადეთ პოპერის თვალსაზრისის გადმოცემა, მისი მარქსისტული შეფასება. მიუხედავად ამისა, პოპერის ფილოსოფიის სრული კრიტიკული ანალიზი ჯერ კიდევ მომავლის საქმეა და იგი ჩვენი ფილოსოფიური მკვლევრების ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



**А. Ш. КУКАНИЯ**

# К. ПОППЕР И ПОСТПОЗИТИВИЗМ

Резюме

В статье дается критический анализ методологической концепции развития науки основателя т. н. постпозитивизма — нового направления в западной философии. Излагаются основные положения философии Поппера, определяющие характер и направление постпозитивизма. Доказывается, что Поппер, с одной стороны, умело критикует современный позитивизм, однако с другой стороны, его принцип фальсификации тоже страдает многими недостатками. В частности, на основе этого принципа невозможно разграничение научных и ненаучных положений. Больше того, принцип фальсификации приводит к самоотрицанию. Несмотря на то, что представители постпозитивизма (Кун, Лакатос, Фейерабенд и др.) исходили из философии науки Поппера, они дали ее серьезную критику. В статье показана необходимость критического изучения и марксистской оценки взглядов представителей постпозитивизма, в частности, К. Поппера.

## ლიტერატურა

1. ლენინი ვ. ი. მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი. თხზ., ტ. 14.
2. Агасси Дж. Наука в движении. «Структура и развитие науки». М., 1978.
3. Ойзерман Т. И. Некоторые проблемы научно-философской теории истины. Статья первая. Проблема истины и новейший эпистемологический субъективизм. «ВФ», 1982, № 7.
4. Панин А. В. Диалектический материализм и постпозитивизм. М., 1981.
5. Popper K. R. Logik der Forschung, Wien, 1935.
6. Popper K. R. Objektive Knowledge. An Evolutionary Approach. Oxford, 1972.
7. Kuhn T. S. Logik of Discovery or Psychology of Research. Criticism and the Growth of Knowledge. Cambridge, 1970, ed. by Imre Lakatos and Alan Musgrave.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფსიქოლოგია

ვლადიმერ ნორაკიძე

## პიროვნების თვისებები და ფიქსირებული განწყობა

პიროვნების ფსიქოლოგიის მკვლევრები შეთანხმებული არიან იმაში, რომ თვისებაზე პირდაპირი დაკვირვება შეუძლებელია (იგი არაა მოცემული უშუალოდ); იგულისხმება, რომ თვისება გარკვეული სახის ჰიპოთეზაა (ისე როგორც ყველა სხვა სახის ამხსნელი, განმსაზღვრელი ტენდენცია), რომლის გარეშე ინდივიდის ქცევისათვის დამახასიათებელი კონსისტენტობისა და სტაბილობის გაგება შეუძლებელია; თვისება ჩამრევი ჰიპოთეზური ხასიათის მდგომარეობაა, რომელიც აერთიანებს სტიმულსა და რეაქციას — სტიმული უშუალოდ კი არ გადადის ქცევაში, არამედ გაშუალებულია თვისებით. თვისება არის ქცევის ნიშნებზე დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნა.

თვისების ცნების შესახებ მრავალი განსხვავებული შეხედულება არსებობს. არიან ავტორები, რომელნიც სავსებით უარყოფენ თვისების რეალურ არსებობას, განსაკუთრებით მის ზოგადობასა და დისპოზიციურ ბუნებას (ამ მხრივ ცნობილია 1928—1930 წლებში ჰედ ჰორნისა და მაის გამოკვლევები, რომელთაც დამაჯერებელი პასუხი გასცა თვისების რეალობისა და ზოგადობის დამცველმა გ. ოლპორტმა [9]. აიზენკის აზრით, თვისება აღწერითი ცნებაა, ქცევის ის დონე, რომლის საფუძველზე შეიძლება პიროვნების ტიპის ემპირიული დადგენა (თვისებათა კონფიგურაცია), მაგრამ მისი დისპოზიციური ბუნების დასაბუთება ფსიქოლოგიური მეცნიერებისათვის მიუწვდომელია [10]. თვისების საკითხზე შექმნილია მრავალი თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევა, რომელთა განხილვა შორს წაგვიყვანდა. აქ შევჩერდებით თვისების იმ კონცეფციაზე, რომელიც მიგვაჩნია უფრო ჭეშმარიტად და, რაც მთავარია, რომელიც უფრო შეესატყვისება პიროვნების სტრუქტურის იმ კონცეფციას, რომლის საფუძველზე ვცდილობთ პიროვნების განწყობის სტრუქტურის კვლევის ადექვატური მეთოდის დადგენას.

თვისების კონსტრუქტულ ცნებად მიღების აუცილებლობის საკითხზე არსებული გამოკვლევების მიხედვით [9] შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე დებულება:

1. თვისებას, როგორც ახსნით ცნებას, გააჩნია რეალური საფუძველი, რადგანაც მის გარეშე შეუძლებელია გავიგოთ ადამიანის მიზანშეწონილი ქცევის შინაგანი ლოგიკა — კონსისტენტობა, ერთსა და იმავე სიტუაციაში ფორმით და შინაარსით მსგავსი ქცევის გამოვლენა; გაუგებარი დარჩება ერთნაირ პირობებში რატომაა პიროვნება ზანტი, მოქნილი, შურიანი, მეგობრული, აგრესიული და სხვ.

2. შემუშავებული თვისება ხასიათდება ზოგადობით: კეთილი პიროვნება სიკეთეს ამჟღავნებს არა მხოლოდ ერთ სიტუაციაში, არამედ ყველა შესატყვის სიტუაციაში; თვისება, შემუშავების შემდეგ, თანდათანობით იძენს ავტონომიურობას („ფუნქციონალური ავტონომია“) და ამით აღწევს უაღრეს ზოგადობას. მაგალითად, ბავშვი თავდაპირველად იძენს პირადი სისუფთავის დაცვის თვისებას (დაიბანოს ხელ-პირი, გაიხეხოს კბილები). ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისება შემდეგ იქცევა ზოგად თვისებად — მოიშოროს ყოველგვარი ჭუჭყი, გახდეს საერთოდ სისუფთავის მოტრფიალე.

3. ის გარემოება, რომ თვისება განსაზღვრავს ქცევის კონსისტენტობას, იგივეობას, სტაბილობას, მიუთითებს მის დისპოზიციურ და დინამიკურ ბუნებაზე. თვისების ცოდნა იძლევა იმის შესაძლებლობის წინასწარმეტყველებას, თუ როგორ მოიქცევა სუბიექტი მომავალში, ახალ სიტუაციაში თვისება არის გარკვეული ტიპური ქცევისა და განცდების გამოვლენის მზაობა; როგორიც არ უნდა იყოს, იგი მუდამ გამოხატავს რაღაცა სახის ხანგრძლივ ტენდენციას — მიმართულებას.

4. ქცევაზე ობიექტური დაკვირვებით, კლინიკური საუბრით, ექსპერიმენტით, ტესტებით შეიძლება დავადგინოთ ყველა ის ნიშანი, რომელიც მიეწერება თვისების ცნებას. პიროვნების ქცევის ეს ნიშნები შეიძლება გაიზომოს, შეიძლება მოხდეს მათი ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია. შესაძლებელია დადგენილი თვისებების პიროვნების სტრუქტურის ბუნების შესასწავლად გამოყენება.

5. პიროვნების ერთი თვისება არაა იზოლირებული სხვა თვისებებისაგან. ერთი და იგივე თვისება, რომელიც მოქცეულია განსხვავებულ სხვა სახის თვისებათა კომპლექსში, სრულიად თავისებურ ელფერს იძენს. მაგალითად, აგრესია, რომელიც გამოვლენილია ბრძოლის ველზე, შერწყმულია „მე“-ს მაღალ მიზნებთან (სამშობლოს დაცვა და ამისთვის აუცილებელი შეუდრეკლობა და ვაჟკაცობა), ინდივიდის მთლიანი ქცევის კომპლექსში იძენს „ჰუმანურობის“ ნიშანს. ეს არ ითქმის ისეთ აგრესიაზე, რომელიც შერწყმულია ფრუსტრაციით გამოწვეულ აფექტურობასთან ან ეგოიზმთან. ამიტომ თვისების დისპოზიციური ბუნების გაგება შესაძლებელია პიროვნების მთლიან სტრუქტურასთან, სხვა თვისებების კონფიგურაციასთან მიმართებაში.

6. თვისება განსხვავდება საზოგადოების კულტურაში განმტკიცებული ეთიკური ნორმების გამომხატველი კატეგორიებისაგან, ამიტომ ამ ნორმების მიხედვით პიროვნული თვისებების შეფასება არაა მისაღები. თვისების როგორც კარგის ან ცუდის შეფასება, როგორც ეს ხდება ეთიკაში ან სასამართლო პრაქტიკაში, მიზანშეუწონელია. მაგალითად, აგრესია, როგორც თვისება, შეიძლება თანაარსებობდეს აფილაციის გვერდით. ფსიქოანალიტიკოსების გამოკვლევით, აგრესიის თვისების მქონე ადამიანი შეიძლება იყოს მეყასბე, ციხეში ზედამხედველი, სამხედრო პირი ან კიდევ ქირურგი. საერთოდ, ისეთ სფეროში მოღვაწე, სადაც მისი აგრესია კმაყოფილდება ჰუმანურ საქმიანობაში. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ამიტომ თვისება განხილული უნდა იყოს პიროვნების მთლიან სტრუქტურასთან მიმართებაში. მისი გავლენის თავისებურება განსაზღვრულია იმ მთელის ბუნებით, რომლის შემადგენელ ნაწილსაც იგი წარმოადგენს.

7. პიროვნების თვისება შეიძლება შეფასდეს როგორც ინდივიდის კუთვნილება, როგორც ინდივიდუალური თვისება. შეიძლება არსებობდეს პიროვნების უნიკალური თვისებები, პიროვნება შეფასდეს ამ ზოგადი თვისებების ურთიერთმიმართების თავისებურების მიხედვით (ინტრაინდივიდუალური ანალიზი); თვისების მიხედვით შეიძლება დადგინდეს ადამიანთა შორის არსებული განსხვავება (ინტერინდივიდუალური ანალიზი), შეიძლება თვისებები შევისწავლოთ მათი უნივერსალობის თვალსაზრისითაც, თუ რამდენადაა თვისება გავრცელებული და განაწილებული მთელ საზოგადოებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგი ავტორი თვისებას თვლის განწყობის ანალოგიურ ცნებად; მაგალითად, ოლპორტის მიხედვით, განწყობა არის სუბიექტის ისეთი ფსიქონერვული მდგომარეობა, რომელიც გავლენას ახდენს ობიექტური სიტუაციით გამოწვეული რეაქციების მიმდინარეობის დინამიკაზე. ორივე — განწყობა და თვისება გამოხატავს რეაქციისათვის უკიდურესად განზოგადებულ მზაობას. ოლპორტის თქმით, რაც უფრო განზოგადებულია განწყობა, მით უფრო გავს იგი თვისებას. მაგალითად, თუ ზედსართავი სახელი „კატეგორიული" გამოხატავს მზაობას — გარკვეულ სოციალურ-კულტურულ მოვლენას უპასუხოს ყოველთვის სპეციფიკური კონსისტენტური სახით, მაშინ რადიკალიზმი არის განწყობა. თუკი „კატეგორიული" გულისხმობს ობიექტთან დაუკავშირებელ მდგომარეობას, მაგალითად ტემპერამენტს, მაშინ საქმე გვაქვს თვისებასთან. სხვა ავტორებიც აღნიშნავენ (მაგალითად დრობე), რომ განწყობა ყოველთვის გულისხმობს ობიექტს, თვისებას კი საეჭვოა ასეთი ობიექტი გააჩნდეს.

მკვლევრების წინაშე, რომლებიც თვისებას მიაწერენ დისპოზიციურობასა და ზოგადობას, საკითხი დგება თვისების მოტივაციური ბუნების შესახებაც: იგი ქცევის აღმძვრელი ძალაა თუ იფარგლება მხოლოდ იმით, რომ მისგან დამოუკიდებლად აღძრულ ქცევას მისცეს მიმართულება. ამ კითხვაზე მკვლევართა შორის არაა თანხმობა. აქ მოვიყვანთ მხოლოდ ოლპორტის აზრს, რომელიც, გარკვეული თვალსაზრისით, დგას შემთანხმებლურ პოზიციაზე: თვისებები არ აღძრავენ ქცევას, რადგანაც როგორც დისპოზიციები ისინი უნდა იქნან „გაღვიძებულნი", ისე როგორც ყველა სხვა სახის დისპოზიცია. ამავე დროს, მისი აზრით, დისპოზიციას ახასიათებს „თვითაქტივობა", ისინი აიძულებენ ინდივიდს ეძიონ ისეთი სიტუაციები, რომლებიც შეესატყვისება სუბიექტის მოთხოვნილებებს. ამ თვალსაზრისით პიროვნების ინტერესები, ამბიციები, ნევროზული ნიშნები, ფობიები, თავის დაჭერის მანერა, საყვარელი საქმიანობა, გემოვნებები და სხვა ასეთი სახის მოვლენები, ყველა შემთხვევაში, წარმოადგენენ ერთდროულად თვისებებსაც და მოტივებსაც.

ამ საკითხის ზოგიერთი მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ, დამოუკიდებლად იმისა, თვისებებს განვიხილავთ თუ არა როგორც ქცევის კონსტანტობის ან მოტივაციის საფუძველს, ისინი ყოველთვის ფუნქციონალურად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი მოტივაციურ სისტემასთან, ამიტომ ოლპორტის მიერ მოწოდებული „მოტივთა ფუნქციონალური ავტონომიის" სადავო პრინციპი, რომელმაც გენეტიკურ ასპექტში უნდა აგვიხსნას ქცევის კონსტანტობა, შეიძლება უშუალოდ გამოვიყენოთ თვისების დასახასიათებლად. მხოლოდ ამ გზით თვისებები შეიძლება ვიაზროთ პიროვნების ქცევის ორგანიზაციის განმსაზღვრელ, შედარებით დამოუკიდებელ ფაქტორად. თვისებები, რომელნიც აღჭურვილნი არიან ფუნქციონალური ავტონომიის ძალით, წარმოადგენენ ძირითად აუცილებელ ერთეულებს პიროვნების ფსიქოლოგიური ბუნების კვლევისათვის.

თვისების ბუნების შესახებ არსებული ზემოთ აღნიშნული მოსაზრებები მიგვანიშნებს, თუ როგორ უნდა გვესმოდეს თვისების ბუნება და მისი გენეზისი დ. უზნაძის განწყობის თეორიის ასპექტში. ამ საკითხზე საინტერესო გამოკვლევა აქვს ალ. ფრანგიშვილს, მან ქართველი ფსიქოლოგების, კერძოდ, ჩვენი გამოკვლევების ანალიზის საფუძველზე დამაჯერებლად უჩვენა მიზან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწონილი ქცევის შინაგანი ლოგიკის — კონსტანტობის, სტაბილობის, იგივეობის და სხვა ნიშნების ფსიქოლოგიური საფუძვლები. მისი აზრით, ქცევის ამ ნიშნების ახსნა და გაგება შესაძლებელია განწყობის კანონზომიერების გათვალისწინების ნიადაგზე [7].

როგორც განწყობის ფსიქოლოგიაში არსებული სპეციალური გამოკვლევიდან ჩანს, თვისებები წარმოადგენენ დიდი პიროვნული წონის ფიქსირებულ განწყობებს, რომელთაც გააჩნიათ ქცევის როგორც აღმძვრელი, ისე მიმართულების მიმცემი ძალა. თვისების ძირითად ნიშნებს, რომლებიც ზემოთ იყო დასახელებული, სავსებით იტევს განწყობის, კერძოდ, მისი ერთი სახეობის, ფიქსირებული განწყობის ცნება. ამის საილუსტრაციოდ ცალკე განვიხილოთ თვისების ნიშნები ფიქსირებული განწყობის ნიშნებთან მიმართებაში.

თვისების, როგორც ქცევის ორგანიზაციის საფუძვლის, ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ის, რომ იგი აშუალებს სტიმულსა და ქცევას — სტიმული უშუალოდ კი არ გადადის ხასიათისეულ ქცევაში, არამედ იმის მიხედვით თუ როგორი იქნება ქცევა — მისი შინაარსისა და ფორმის თავისებურება განპირობებულია თვისებით ან თვისებათა კონფიგურაციით.

განწყობის ფსიქოლოგიაში თეორიულად და ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ პიროვნების განწყობა უფრო ზოგადი, შორსმწვდომი და პიროვნებაში ღრმად მდებარე ფენომენია, ვიდრე თვისება. იგი განაპირობებს არა მხოლოდ ხასიათისეულ ქცევას, არამედ ყველა სახის ქცევას: განწყობის ერთ-ერთი სახეობა — ფიქსირებული განწყობა ხასიათდება ყველა იმ ნიშნით, რომელიც დამახასიათებელია საერთოდ მთლიანი განწყობისათვის. ფიქსირებული განწყობის არსებობა უეჭვო ფაქტია; მისი შემუშავება და გამოწვევა შეიძლება ექსპერიმენტული გზით. შესაძლებელია ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობაზე ვაწარმოოთ ობიექტური დაკვირვება, მოვახდინოთ მისი გამოვლენის რაოდენობითი და რომელობითი ასპექტების შეფასება, გაზომვა. ერთხელ ფიქსირებული განწყობა, როგორც წესი, სტაბილურია, იგი ინახება როგორც პიროვნების გარკვეული მიმართულებითი მოდიფიკაცია, როგორც შესაძლებლობა, და თავს იჩენს მისი წარმომქმნელი ან ანალოგიური სიტუაციის ზემოქმედების შედეგად და გავლენას ახდენს ქცევის მიმდინარეობაზე. ფიქსირებული განწყობის ეს თვისება მიუთითებს მის დისპოზიციურ ბუნებაზედაც. ერთხელ ფიქსირებულ განწყობას ახასიათებს ზოგადობაც. ზ. ხოჯავამ ექსპერიმენტულად დაადგინა, რომ ფიქსირებული განწყობა მოქმედებს არა მხოლოდ ანალოგიურ, არამედ განსხვავებულ სიტუაციებშიც. მაგალითად, თუ სუბიექტს შევუმუშავეთ უტოლო წრეების მიხედვით სიდიდეთა განსხვავების განწყობა, ასეთი განწყობის ნიადაგზე იგი ილუზორულად აღიქვამს არა მხოლოდ ტოლ წრეებს, არამედ ტოლ სამკუთხედებსაც, ტოლ ელიფსებს, ტოლ ხაზებს და ასე შემდეგ [8]. ე. ი. ექსპერიმენტულად დამტკიცდა, რომ განწყობას ახასიათებს ირადიაცია და გენერალიზაცია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ფიქსირებული განწყობა ხასიათდება ზოგადობით. როგორც ცნობილია, ფიქსირებული განწყობის მიმდინარეობა აგრეთვე ხასიათდება კონსტანტობით, სიმტკიცით, რომლითაც აღბეჭდილია ადამიანის ქცევა. ფიქსირებული განწყობის ეს ნიშნები განაპირობებენ ქცევის კონსტანტობას, იდენტურობას, იგივეობას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტაბილურობას და ა. შ. ე. ი. ასრულებენ იმ ფუნქციას, რასაც მიაწერენ თვისებას.

ექსპერიმენტულად დადასტურებულია ის გარემოებაც, რომ განწყობა ის ფენომენია, რომელიც აერთიანებს სტიმულსა და რეაქციას. იგი იქმნება სიტუაციისა და მოთხოვნილების ერთიანობის ნიადაგზე და საფუძვლად ედება ქცევის მიზანშეწონილ მიმდინარეობას. ამ მხრივ ის ასრულებს იმ როლსაც, რასაც თვისებას მიაწერენ. ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, იგი უფრო ფართო ცნებაა: განსაზღვრავს ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების ინტეგრაციას, თვისების როლი ეკისრება მის ერთ-ერთ სახეობას — ფიქსირებულ განწყობას.

ფიქსირებული განწყობა შეიძლება ასრულებდეს მოტივის აღმძვრელისა და მიმართულების მიმცემ ფუნქციასაც. ცნობილია, რომ განწყობა შეიძლება შემუშავდეს ფსიქიკურის პირველ დონეზე — სასიცოცხლო მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილების სიტუაციის ერთიანობის ნიადაგზე, აგრეთვე ობიექტივაციის დონეზედაც — „მე"-ს მოთხოვნილებებისა (მაღალი მოთხოვნილებები) და იდეური სიტუაციის ერთიანობის ნიადაგზე ადამიანისათვის ძირითადში ეს უკანასკნელია დამახასიათებელი. ამ მხრივ ინდივიდუალურ განსხვავებულობას შეიძლება ჰქონდეს ადგილი; ზოგისათვის მაღალ მოთხოვნილებებს მეტი ძალა აქვს, ვიდრე ვიტალურ მოთხოვნილებებს, ზოგისთვის კი პირიქით. როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, „აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა თითოეულის წარსულს აქვს, იმ სიტუაციას, რომელშიც მისი ცხოვრება მიმდინარეობდა და რომელშიც იგი აღიზარდა; იმ შთაბეჭდილებებსა და განცდებს, რომელთაც განსაკუთრებული წონა ჰქონდა მისთვის. უეჭველია, ყოველივე ამის გამო, თითოეულს თავისი განსხვავებული ფიქსირებული განწყობები აქვს შემუშავებული, რომელიც, ასე თუ ისე, მეტად თუ ნაკლებად თვალსაჩინოდ, ყოველთვის იჩენს თავს და შესაფერის პირობებში განსაზღვრული მიმართულებით მოქმედების მზაობას ედება საფუძვლად. ადამიანის პიროვნებას, სხვათა შორის, განსაკუთრებით ეს განწყობები ქმნიან, ისინი არიან მიზეზნი, რომ ზოგისათვის მოთხოვნილებათა ერთი სისტემაა ენერგიის მთავარი წყარო და ზოგისთვის მეორე ... როდესაც ადამიანის წინაშე საკითხი დგება, თუ როგორ მოიქცეს, შემდეგი გარემოება იჩენს თავს: იმ შესაძლო მოქმედებათაგან, რომელთაც მისი გონება თვლის მიზანშეწონილად, მხოლოდ ზოგი იზიდავს მას გარკვეული მხრივ. მხოლოდ ზოგიერთის მიმართ გრძნობს იგი მზაობას, მხოლოდ ზოგიერთს იწუნარებს როგორც შესაფერისს, როგორც ჭეშმარიტად მიზანშეწონილს — მოტივაციის აზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ისეთ მოქმედებას ეძებს და პოულობს, რომელიც პიროვნების ძირითადს, ცხოვრებაში განმტკიცებულ განწყობას შეეფერება. როდესაც სუბიექტი ქცევის ასეთ სახეობას მიაგნებს, იგი განსაკუთრებულად განიცდის მას: იგი ერთგვარ მიზიდულობას გრძნობს მის მიმართ, მისი შესრულებისათვის მზაობას განიცდის. ეს სწორედ ის განცდაა, რომელიც გადაწყვეტილების აქტის დროს იჩენს თავს და სპეციფიკური განცდის სახით ვლინდება, რომელიც „მე ნამდვილად მინდა"-ს სახელწოდებით იყო ზემოთ დახასიათებული. ეს განცდა უთითებს, რომ სუბიექტს გარკვეული ქცევის განწყობა შეექმნა, გადაწყვეტის აქტი მოხდა, და ახლა საკითხი გადაწყვეტის შესრულებაში მოყვანას ეხება" [2, გვ. 216].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ვრცელი ამონაწერი ნათლად მეტყველებს თუ რა კავშირი აქვს დიდი პიროვნული წონის ფიქსირებულ განწყობებს (დისპოზიციურ განწყობებს — თვისებებს) პიროვნების მოტივაციისათვის. მოტივის შექმნა ქცევის შესატყვისი განწყობის შექმნას გულისხმობს, მაგრამ თუ როგორი იქნება ასეთი განწყობის შინაარსი, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია პიროვნების მოთხოვნილებებისა და, განსაკუთრებით, წარსულში ფიქსირებული დიდი პიროვნული წონის განწყობების არსენალი; მაგალითად, თუ პიროვნებაში ფიქსირებულ განწყობათა შინაარსი სოციალური ხასიათისაა (აფილაციური, მაღალზნეობრივი და სხვა), მაშინ როცა მის წინაშე დადგებოდა საკითხი როგორ მოიქცეს, რომელს მისცეს უპირატესობა — ვიტალურ თუ ზნეობრივ იმპულსებს, იგი აირჩევს მაღალ ზნეობრივ ქცევას... იდეურ სიტუაციაში შექმნილ განწყობას ნებელობა ადვილად ჩართავს დისპოზიციურ განწყობათა და მოთხოვნილებათა სისტემაში, ქცევა გაიშლება ასეთი განწყობის შესატყვისად. ამრიგად, დიდი პიროვნული წონის ფიქსირებული განწყობები საფუძველია — ბიძგის მიმცემი ფენომენია, რომელიც განაპირობებს როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს პიროვნებამ, რომელ მოთხოვნილებებს უნდა მიმართოს მან, რომ იდეურ სიტუაციასთან შეთანხმებით შექმნას განწყობა — მიიღოს გადაწყვეტილება და ეს განწყობა აქციოს პიროვნებისათვის აქტუალური.

„ნებელობის აქტის წარმატება იმაზეა დამოკიდებული შეძლებს თუ არა აზრითი სიტუაცია იმ განწყობების გამოწვევას, რომლებიც ნებისმიერი ქცევის საფუძველს წარმოადგენს... აქვს თუ არა პიროვნებას ამ სიტუაციის ზეგავლენით იმ განწყობის აქტუალიზაციის უნარი, ე. ი. აქვს თუ არა მას ეს განწყობა დისპოზიციურად, მაშასადამე, გამოდის, რომ ის, რასაც ჩვეულებრივ ხასიათს უწოდებენ, ნამდვილად პიროვნების დისპოზიციურ განწყობას, გარკვეულ განწყობათა აქტუალიზაციის უნარს წარმოადგენს [2].

აქ უზნაძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პიროვნების თვისებების ერთობლიობა (ხასიათი) სხვა არაფერია — თუ არა ფიქსირებული დისპოზიციური განწყობების ერთობლიობა. როგორც ვნახეთ, ეს განწყობები ხასიათდებიან იმ ნიშნებით, რომლებსაც მიაწერენ თვისებას. ამ შემთხვევაში დიდი პიროვნული განწყობის ცნებას, თვისების ცნებასთან შედარებით, უპირატესობა აქვს. მისი შექმნა შესაძლებელია ექსპერიმენტულად, მისი მიმდინარეობა შეიძლება ვაქციოთ უშუალო დაკვირვების საგნად და, რაც მთავარია, ემპირიულად შეიძლება დავადასტუროთ, რომ ქცევის კონსისტენტობის, იდენტურობისა და სტაბილობის საფუძველი მოთხოვნილებისა და სიტუაციის ერთიანობის ნიადაგზე შექმნილი განწყობის ბუნებასთანაა დაკავშირებული. კერძოდ, მისთვის დამახასიათებელი ზემოთ აღნიშნული ნიშნები (კონსტანტობა, სტაბილობა, გენერალიზაცია და ა. შ.) განაპირობებს ქცევის დამახასიათებელ სპეციფიკურ თვისებებს.

განწყობის ცნება ნათელს ხდის თვისების წარმოქმნისა და მისი ფორმირების საკითხსაც. ამ მხრივ საინტერესოა მურეის კონცეფცია თვისების ჩამოყალიბების საკითხზე [11]. ამ ავტორის მიერ მოწოდებული თვისების კონცეფციას ფართოდ იყენებს ყველა ის ავტორი, ვინც სარგებლობს პიროვნების კვლევისას თემატიკური აპერცეპციის ტესტებით, მათ შორის ჩვენც. ამ ტესტების მიმართება ფიქსირებული განწყობის ცნებასთან ვრცლად განხილულია ჩვენს წიგნში „პიროვნების ხასიათის კვლევის მეთოდები“ [5].

ეროვნული ბიბლიოთეკა



აქ მხოლოდ გვინდა დამატებით გავარჩიოთ ის პრობლემა, რომელიც ეხება თვისების ბუნებას. მურეის მიერ მოწოდებული მოთხოვნილების ცნება იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც თვისება. სხვა ავტორებიც, კერძოდ ოლპორტი, აღნიშნავენ, რომ მურეის მიერ გამოყენებული მოთხოვნილების ცნება ემთხვევა თვისების ცნებას. მურეის მიხედვით, მოთხოვნილება არის ჰიპოთეზური სახის მდგომარეობა, რომელიც ახდენს პერცეპციის, აპერცეპციის, გონების მოქმედების, კონაციისა (ნებელობის) და ქცევის ორგანიზებას, იმგვარად, რომ მოახდინოს გარკვეული მიმართულებით არსებული არაშესატყვისი სიტუაციის შესატყვისად გარდაქმნა და უზრუნველყოს მიზანშეწონილი შეგუება. იგი იმპულსს აძლევს ორგანიზმს ეძიოს ან განერიდოს, ყურადღება მიაქციოს და პასუხი გასცეს გარკვეული სახის პრესს; მან შეიძლება გამოიწვიოს ილუზორული პერცეპციები და ბოდვითი აპერცეპციები; იგი წარმართავს ქცევას გარკვეული მიმართულებით და მიყავს იგი ბოლომდე. ამრიგად, მოთხოვნილებისთვის დამახასიათებელია გონიერი ქცევის ტენდენცია (გარეგანი მდგომარეობის ტრანსფორმაცია), ტიპური მეთოდები (კუნთური მოძრაობები, აქტონები და სხვა), ძებნა, განრიდება, შერჩევა, ყურადღება ან რეაგირება რამდენიმე ტიპური პრესიდან ერთისადმი (გარკვეული ჯგუფის ე. წ. კათეტირებული ობიექტებისადმი), ემოციისა და გრძნობის გამოვლენა, გარკვეული კმაყოფილების გამოხატვა მიღწევის შედეგად და უკმაყოფილებისა წარუმატებლობის გამო. ყველა ამ კომპონენტის ერთიანობა ქმნის ე. წ. მოთხოვნილებათა ინტეგრატს. მოთხოვნილებების ინტეგრატი ან კომპლექსი არის ცნება, რომელსაც შეუძლია ახსნას ქცევა, მისი განმეორებადობა, კონსისტენტობა და სხვა, იგი არის შინაგანი კონსტელაცია, რომელიც ქმნის ერთგვარ არხს, რომლითაც წარმოებს მოთხოვნილებების რეალიზაცია. მურეის მიაჩნია, რომ მისი კონცეფცია მოთხოვნილების შესახებ სრული არ იქნება თუ არ გავითვალისწინებთ პრესისა და თემის ცნებას.

პრესი ის ობიექტია, რომელსაც აქვს მოთხოვნილების გამომწვევი გარკვეული წარმმართველი ძალა. იგი არაა ინდიფერენტული ორგანიზმის მოთხოვნილებების მიმართ. მასში იგულისხმება ყველა ის ობიექტი, ის სიტუაცია (შინაგანი და გარეგანი), რომელსაც შეუძლია ზიანი ან სარგებლობა მოუტანოს ორგანიზმს. ორგანიზმი ხშირად ეძებს შესატყვის პრესს (პრესი შეიძლება იყოს წარმოსახული). უფრო ხშირად პრესი ხვდება ორგანიზმის ლტოლვას, გააჩნია გარკვეული პოტენცია გამოიწვიოს ქცევა. ქცევის განმსაზღვრელია მოთხოვნილების ინტეგრატისა და სპეციფიკური პრესის კომბინაცია. ასეთ კომბინაციას შეიძლება ეწოდოს თემა. თემა არის მოლარული ქცევის დინამიკური სტრუქტურა, პრესისა და მოთხოვნილებების ერთიანობა, გამოხატავს გარემოსა და სუბიექტის ურთიერთობის რეაგირების ზოგად ბუნებას. მაგ., სუბიექტი განიცდის წარუმატებლობას (პრესს), მას უჩნდება მიღწევის მოთხოვნილება, რის შემდეგაც სუბიექტი იწყებს ახალ კონტრმოქმედებას, რათა წარუმატებლობის შემდეგ მიაღწიოს წარმატებას. მოთხოვნილებათა ყოველი ინტეგრატი თემატიკური ტენდენციის შეკავების შემთხვევაში შეიძლება აისახოს ფანტაზიაში. ასეთ შემთხვევაში იგი შეიძლება ისევ აღძრას ისეთმა პრესმა, რომლის პოვნა სუბიექტს შეიძლება სურდეს არაცნობიერად. მურეის მიხედვით, სოციალურ გარემოში, კულტურაში არსებობს უამრავი ობიექტი (საგანი, პიროვნება, დაწესებულება, ორგანიზაცია და სხვა), რომელნიც იწვევენ გარკვეულ სპეციფიკურ რეაქციას სუბიექტში,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ე. ი. ეს ე. წ. „კათეტირებული ობიექტები“ წარმოადგენენ დადებით ან უარყოფით პრესს, რომელთა მოთხოვნილებებთან კომბინაცია ქმნის თემას (ასეთი თემების გამოსავლინებლად იყენებენ თემატიკური აპერცეპციის ტესტებს).

მურეი გამოყოფს მოთხოვნილებათა ორ ძირითად ჯგუფს; ვისცეროგენურსა და ფსიქოგენურს. ვისცეროგენური მოთხოვნილებები ემთხვევა ლიტერატურაში ცნობილ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს. ფსიქოგენური მოთხოვნილებები ყოველთვის არ არიან ბიოლოგიურ მოთხოვნილებებთან დაკავშირებულნი, თუმცა ზოგიერთი მათგანი შეიძლება იყოს თანდაყოლილი. აქ შევჩერდებით ფსიქოგენური მოთხოვნილებების კლასიფიკაციაზე: 1. მოთხოვნილებები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან უსულო საგნებთან (შეძენის, შენახვის, შენარჩუნების, კონსტრუირების და სხვ.); 2. მოთხოვნილებები, დაკავშირებულნი ამბიციასთან (უპირატესობის, მიღწევის, აღიარების, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ყურადღების ცენტრში ყოფნის — თვითდრამატიზების ტენდენციის სახით, მიუკარებლობის, საკუთარი ღირსების გრძნობის, სიამაყის და სხვ.); 3. ძალაუფლების, რომელიც გამოხატავს ძალაუფლებისათვის ბრძოლას ან მორჩილების ტენდენციას (დომინანტობა, პატივისცემა, შთაგონებადობა, ავტონომია, უნიკალობის ტენდენცია); 4. სადისტურ-მაზოხისტური (აგრესია, დამცირების, დასჯის მიღების სურვილი); 5. შეკავების, ინჰიბიციის მოთხოვნილებები; 6. ადამიანთა შორის სიმპატიის, სიყვარულის ან მათგან განრიდების ტენდენცია (აფილაციის, უარყოფის, სხვების უგულებელყოფის, სხვებისაგან დახმარების მიღების, სხვისადმი დახმარების გაწევის მოთხოვნილებები. ამას შეიძლება დაემატოს: გართობის, გაგების, ცნობისმოყვარეობის და სხვ.).

მურეის შემოაქვს კიდევ სხვა მოთხოვნილებები, ტენდენციები, რომლებიც ეხება პიროვნების ემოციას, სუბიექტის გარემოსა და საკუთარი სულიერი სამყაროსადმი დამოკიდებულებას (ინტროვერსია, ექსტრავერსია, ინტრაცეპცია, ექსტრაცეპცია). ყველა ეს მოთხოვნილება დაკავშირებულია გარკვეულ პრესთან — მათი განხორციელების საშუალებებთან და ქმნიან მოთხოვნილებათა ინტეგრატებს, რომლებიც კონკრეტული პიროვნების დახასიათების დროს წარმოგვიდგება თემის ცნების სახით (გაბატონებულ მოთხოვნილებათა ინტეგრატი).

მურეის მიერ წამოყენებული პიროვნების თვისებების ფორმირების თეორია ინტერესს იწვევს იმ მხრივაც, რომ მასში აშკარად ნაგრძნობია სპეციალურ ლიტერატურაში გაბატონებული პიროვნების თვისების, როგორც ამხსნელი ცნების შინაარსის, უკმარობა. იგრძნობა, რომ თვისება შეუძლებელია მოვწყვიტოთ იმ გარემოს, სიტუაციას, რომლის წარმოქმნაში ან მისი გარემოების მიხედვით აღძვრაში გარკვეული როლი მიუძღვის. ამ ხარვეზის შესავსებად მას შემოაქვს პრესის — კათეტირებული ობიექტებისა და თემის ცნება. მაგრამ უკანასკნელი, როგორც ამხსნელი ცნება, დამაჯერებლობას მოკლებულია. მოთხოვნილების ინტეგრატი, თვისება, პრესი, მათი კომბინაცია, თემა მოკლებულია გარკვეულ სტრუქტურას. იგი წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული ცალკეული კომპონენტების ჯამს; არ ჩანს მათი მთლიანობა, არ წარმოადგენს ისეთ ერთეულს, რომელიც აუცილებელია ისეთი ძირითადი ცვლადისათვის, რასაც ექსპლიკაციური ღირებულება მიეწერება. რაც მთავარია, მურეის თეორია მთლიანად ემყარება უშუალობის ჰიპოთეზს (პოსტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლატს) — პრესი უშუალოდ ზემოქმედებს მოთხოვნილებებზე, უერთდება მას და იწვევს გარკვეულ ქცევას. პრესისა და მოთხოვნილებების ინტეგრატის კომბინაციით შექმნილი თემა მხოლოდ აღწერითი ცნებაა — მიუთითებს სუბიექტის გარკვეულ ცნობიერ თუ არაცნობიერ მდგომარეობას, მას ქცევის განმსაზღვრელი როლი არ ეკისრება და ვერც დაეკისრება. თუ კი განწყობის თეორიის თვალსაზრისით განვიხილავთ მურეის მიერ წამოყენებულ მთელ რიგ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ბუნების კვლევის გზების ძიების სწორი მიმართულებით წარმართვაში, ჩვენ წინ შეიძლება შემდეგი სურათი გაიშალოს:

განწყობის ფსიქოლოგიის ძირითად დებულებას წარმოადგენს ის, რომ გამღიზიანებელი (ყოველი სახის პრესი) უშუალოდ კი არ მოქმედობს ფსიქიკურზე ან მოთხოვნილებაზე, როგორც ფსიქიკურ ფენომენზე, არამედ ზემოქმედებს მოთხოვნილების მატარებელ სუბიექტზე. რეაქცია გაშუალებულია სუბიექტის განწყობით, რომელიც შექმნილია მოთხოვნილებისა და სიტუაციის (პრესის) ერთიანობის ნიადაგზე. პიროვნების ქცევის წარმმართველ „ერთეულს“ წარმოადგენს განწყობა, რომელშიც ასახულია სიტუაციის შინაარსი, ამიტომ ქცევა გაიშლება იმ შინაარსით, რომელიც განწყობაშია ნაგულისხმევი. განწყობაში იმპლიციტე მოცემულია ის ქცევა, რომელიც შემდეგ ქცევის აქტში უნდა განხორციელდეს. აქედან გამომდინარე, პიროვნების თვისების წარმოქმნის ფაქტორად უნდა ვიგულისხმოთ განწყობა (პიროვნების მთლიანი მოდიფიკაცია — მოთხოვნილებისა და პრესის ერთიანობა), კერძოდ მისი ერთ-ერთი სახეობა, ფიქსირებული განწყობა, რომლის ბუნება, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, შეიცავს ყველა იმ მახასიათებელს, რომლებსაც მკვლევრები, კერძოდ მურეი, თვისების (მოთხოვნილებათა ინტეგრატის) ცნებაში გულისხმობს. ამიტომ პიროვნების სტრუქტურის ბუნების შესამეცნებლად მოთხოვნილებათა ინტეგრატების კლასიფიკაცია, რომელიც დაადგინა მურეიმ, წარმოადგენს პიროვნების დიდი წონის (ღირებულების) ფიქსირებულ განწყობებს, რომლებიც შექმნილია პიროვნების ბიოლოგიური (ვისცეროგენური) და სოციოგენური (მურეის მიხედვით ფსიქოგენური) მოთხოვნილებებისა და შესატყვისი გარემო სიტუაციების (ოჯახი, სკოლა, მთლიანად კულტურა და სხვ.) ერთიანობის ნიადაგზე. ამ თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ პიროვნების ის თვისებები (მოთხოვნილებათა ინტეგრატები), რომლებიც მურეის მიერაა მოწოდებული და გამოყენებულია თემატიკური აპერცეპციის ტესტებით პიროვნების კვლევის დროს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნილება უკლებლივ გამოხატავს პიროვნების გარკვეულ დამოკიდებულებას საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებსა და გარე სამყაროსთან, ან ასახავენ პიროვნების სუბიექტურ მდგომარეობას. ისინი ფაქტიურად წარმოადგენენ სოციოგენურ მოთხოვნილებებს (ამ კატეგორიის მოთხოვნილებების უმრავლესობას შალვა ჩხარტიშვილმა უწოდა სოციოგენური მოთხოვნილებები, რომლებიც გამოჰყო, როგორც თვითონ აღნიშნავს, ფსიქოგენური მოთხოვნილებებიდან და მათი ბუნება განიხილა საბჭოთა ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებების, კერძოდ განწყობის ფსიქოლოგიის, თვალსაზრისით [3]).

გარკვეულ სიძნელეს შეიცავს მურეის მიერ მოწოდებული მოთხოვნილება-თვისებების ბუნების გენეტიკურ ასპექტში განხილვა, მათ წარმომქმნელ კონკრეტულ ფაქტორებზე მსჯელობა და ამ მხრივ თითოეული მათგანის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხასიათება. ეს მოითხოვს სპეციალურ ინტენსიურ კვლევით მუშაობას. მაგრამ პრინციპულად, ფიქსირებული განწყობის ცნების ნიადაგზე, სავსებით შესაძლებელია თვისებების წარმოქმნისა და გენეზისის შესწავლა. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, როგორც ამას დ. უზნაძე აღნიშნავს, რომ ბავშვში, როგორც ადამიანის შვილში, უშუალოდ გაუშლელი სახით მოცემულია სოციალური მოთხოვნილებები, რომელნიც უნდა გამოვლინდნენ და ჩამოყალიბდნენ აღმზრდელობით გარემოში (უზნაძის მიხედვით ასაკობრივ გარემოში), ამგვარი მონაცემები არ გააჩნია ცხოველს. ამიტომ შეუძლებელია მასში წარმოიშვას და განვითარდეს სოციოგენური მოთხოვნილება. სწორედ ბავშვის აღმზრდელობით გარემოზე, აგრეთვე იმ კულტურულ გარემოზე, სადაც მოღვაწეობს ადამიანი, არის დამოკიდებული — როგორი მოთხოვნილებები გაუჩნდება ან გაეღვიძება მას და, რაც მთავარია, რა სახის სოციალურ გარემოში მოუხდება ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ე. ი. მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სიტუაციის ნიადაგზე რა სახის ფიქსირებული განწყობები ჩამოუყალიბდება სუბიექტს. დ. უზნაძის აზრით, „განწყობის აღმოცენება ობიექტური ფაქტორის, გარემო სიტუაციის ზემოქმედების გარეშე სრულიად შეუძლებელია. თითოეული ჩვენგანის განწყობათა დისპოზიციები, ჩვენი ხასიათი გარემოს ზემოქმედების პირობებში ყალიბდება, მაგრამ, მეორე მხრივ, განწყობას მარტო გარემო ვერ შექმნის, რომ სუბიექტს გარკვეული მოთხოვნილებები არ ჰქონდეს. განწყობა სუბიექტურ ფაქტორს გულისხმობს. მოთხოვნილებებს, რასაკვირველია, თავისი ბიოლოგიური ორგანული საფუძველი აქვს, მაგრამ ადამიანის მოთხოვნილებათა უმრავლესობა, მის მოთხოვნილებათა მრავალსახეობა მისი ისტორიული განვითარების პროცესშია შექმნილი: ადამიანის მოთხოვნილება უფრო მეტად მის ისტორიაზეა დამოკიდებული, ვიდრე მის ორგანიზმში მიმდინარე პროცესებზე. ბავშვის სოციალური მოთხოვნილება, რომელიც იღვიძებს სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში, შესატყვის პირობებში შეიძლება იქცეს პიროვნების თვისებად, მაგალითად, შეიძლება აფილაციის ფიქსირებულ განწყობად, გარკვეულ პირობებში მას მიენიჭოს დიდი პიროვნული წონა და იქცეს დისპოზიციურ განწყობად, ჩაერთოს „მე"-ს ღირებულებათა სისტემაში და გახდეს პიროვნების ქცევის მოტივაციის საფუძველი. ასევე შეიძლება ითქვას ყველა იმ მოთხოვნილებაზე, რომელსაც მიუთითებს მურეი. ამ მოთხოვნილებების ნიადაგზე შესატყვის გარემო სიტუაციებში შეიძლება ჩამოყალიბდეს დიდი პიროვნული წონის ფიქსირებული განწყობები, შეიძინონ ყველა ის ნიშანი, რომელიც ნიშნეულია პიროვნების თვისებისათვისაც.

ზემოთ თქმული მოსაზრება შეიძლება გავრცელდეს პიროვნების „მე"-ს ღირებულებებზედაც. ცნობილია, რომ პიროვნების „მე"-ს ცნების შესახებ როგორც ფილოსოფიაში, ისე ფსიქოლოგიაში მრავალი განსხვავებული შეხედულება არსებობს, მათი მთლიანად მიღება თუ უარყოფა ერთნაირად ძნელია. მიუხედავად აზრთა განსხვავებულობისა, მე-ს ცნებაში მკვლევრების უმრავლესობა გულისხმობს პიროვნების თვითცნობიერების, თვითხატისა და სულიერი ცხოვრების მიმდინარეობის იდენტურობის განცდის ერთიანობას [1—4]. პიროვნების ხასიათის თვისებების დასადგენად მნიშვნელობა აქვს შემდეგ ცოდნას: 1. რა მიაჩნია ადამიანს საკუთარი მე-ს კუთვნილებად, რაზეა კონცენტრირებული მისი ცნობიერება; 2. რა მიაჩნია თავის თავში მას კონსისტენტურად და მყარად, რა არწმუნებს მას საკუთარი პიროვნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალობაში, სამყაროდან გამოყოფილობაში, საკუთარი მე-ს უნიკალობაში; 3. რა სახისაა პიროვნებაში განმტკიცებული წარმოდგენა, უკეთ რომ ვთქვათ, ცნობიერი ხატი (სქემა) საკუთარ თავზე, რამდენად მყარია და ამავე დროს დინამიკური ეს სქემა; 4. რა კავშირი აქვს მას მისი მთლიანი პიროვნების სხვა სისტემებთან (ნებელობა, ტემპერამენტი, გონიერება და სხვ.), საბოლოოდ რა მნიშვნელობა აქვს მას პიროვნების გარემოსთან აქტიური შეგუებისა და პიროვნების ყველა სისტემის ინტეგრაციისათვის. პიროვნების ხასიათის სტუქტურის შესასწავლად, ალბათ, ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ხატს — საკუთარი პიროვნების სქემის თავისებურებების შესახებ ცოდნას:—რას გულისხმობს თვითონ პიროვნება საკუთარ „მე“-ს სქემაში. პიროვნების მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანია რაღაცა სახის რეგიონალური მახასიათებლები, რომელნიც მიუთითებენ, თუ რას გულისხმობს პიროვნება საკუთარი „მე“-ს ნაწილად, რა არის მყარად ჩართული მის პიროვნებაში, ისე რომ იგი მკვეთრად განცდილი იყოს როგორც „მე“-ს კუთვნილება, ე. ი. ექვემდებარებოდეს მის კონტროლს [4]. პიროვნებაში მოცემულია ურთიერთისაგან გარეგნულად სრულიად განსხვავებული საგნებისა და სოციალური მოვლენებისადმი ინტერესი (მეგობრები, შვილები, კულტურის საგნები, ხელოვნება, აბსტრაქტული იდეები, საყვარელი სამუშაო, გართობის სახეები და სხვა); ეს ინტერესები ერთიანდებიან საკუთარ მეში და ქმნიან საკუთარი პიროვნების სქემას. ამ მოვლენებიდან ზოგი ახლოა (უფრო ინტიმურია) საკუთარ „მე“-სთან, ზოგი უფრო დაშორებული, მაგარმ მეტ-ნაკლებად შედიან საკუთარი პიროვნების სქემაში: რამდენადაც დაქვემდებარებულნი არიან ცნობიერების კონტროლს და შედიან პიროვნების გაშინაგანებულ ღირებულებებში, იმდენად იმყოფებიან პიროვნების თვითრეგულაციის სფეროში.

„მე“-ს ანალიზს მივყავართ იმ დებულებამდე, რომ პიროვნებაში იგი წარმოიქმნება. ვითარდება და ყალიბდება ობიექტივაციის უნარის აქტივაციის ნიადაგზე. სუბიექტი, რომელშიც დარღვეულია ობიექტივაციის უნარი, იმპულსური არსებაა, მოკლებულია თვითრეგულაციის, თავისი იმპულსების მართვისა და თვითრეალიზაციის უნარს. ასეთ სუბიექტში დარღვეულია ის ფენომენი, რომელსაც უწოდებენ — „ეგოს“. როგორც აღვნიშნეთ, ობიექტივაციის დონეზე სუბიექტის წინაშე ისმის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა თხოულობს ცნობიერების დონეზე ისეთი მოქმედების არჩევას, რომელიც შეესატყვისება არა მხოლოდ გარემოს მოთხოვნებსა და საკუთარ მაგისტრალურ მიზნებს, არამედ ეთანხმება თავისი დიდი პიროვნული წონის ფიქსირებულ განწყობებს (მოტივაციის საფუძვლებს), ე. ი. ადეკვატურია როგორც ცნობიერი თვითხატის, ისე არაცნობიერად მოცემული მოტივაციის საფუძვლებისა, რომელთა ერთიანობაში ცნობიერი მიზანი იღებს ცხოველმყოფელ ძალას.

დ. უზნაძის კონცეფციის მიხედვით, იმპულსური ქცევის ობიექტივაციის შედეგად აზროვნება მოიხმობს ნებელობას, რათა ცნობიერების დონეზე შექმნილი განწყობა ჩართოს პიროვნების მოტივაციის საფუძვლების — ფიქსირებული განწყობების სისტემაში. სწორედ აქ იჩენს თავს, როგორც „მე“-ს სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლის, ნებელობის აქტივობის როლი — პიროვნების „მე“-ს რეგიონში მყოფი ინტიმური ღირებულებებისადმი

5. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1983, № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგარიშის გაწევა — გარემოს მოთხოვნათა და სუბიექტის შინაგანი მიდრეკილების ერთიანობის ნიადაგზე მიზანშეწონილი ქცევის არჩევა. უთუოდ სწორი არიან ის ავტორები, რომელნიც აღნიშნავენ, რომ ნებელობა თვითცნობიერების არსია. ნებელობის აქტივობის დაქვეითება ან მოშლა ნიშნავს საკუთარ „მე“-ს და არა „მე“-ს შორის განსხვავების საფუძვლის მოშლას. ობიექტები, ადამიანები, ობიექტური ღირებულებები საკუთარ მე-ს უკავშირდებიან იმ საზღვრამდე, სანამ ისინი კონტროლირებულია და ექვემდებარება პიროვნების მოტივებს ფართო მნიშვნელობით, რომლის საფუძველზე იშლება ნებელობის აქტი.

„მე“-ს თვითხატი, რომელიც შეიცავს პიროვნების ყველაზე ინტიმურ ღირებულებებს, როგორიცაა იდეალები, საყვარელი ადამიანები, კულტურის ღირებულებები და სხვა, ემყარება არაცნობიერ მზაობებს — განწყობებს, რომელნიც ჩანერგილია პიროვნებაში მისი ცხოვრების მსვლელობაში, აღზრდის, საერთოდ სოციალური გარემოს ზემოქმედების ნიადაგზე; ისინი წარმოადგენენ დიდი პიროვნული წონის ფიქსირებულ განწყობებს. ხასიათის ყველა თვისება (რომელსაც ფროიდი ათავსებდა სუპერეგოს შინაარსში), როგორც დისპოზიციური განწყობები, განაპირობებენ პიროვნების ნებელობით ქცევას, განსაკუთრებით ცნობიერი გადაწყვეტილების პროცესს (შეგნებული გადაწყვეტილება ადამიანს გამოაქვს დიდი პიროვნული წონის განწყობების აქტივაციის საფუძველზე). ადამიანი, რომელიც განწყობილია აფილაციურად (აფილაცია მისი პიროვნული თვისებაა), მისი გადაწყვეტილება უფრო სავარაუდოა წარიმართოს ასეთ განწყობასთან შეთანხმებული ცნობიერი მოტივის საფუძველზე. რაც უფრო შეთანხმებულია ერთმანეთთან პიროვნების ცნობიერი და არაცნობიერი სქემები, მით უფრო ადაპტირებულია პიროვნება — რაც უფრო „მე“-ს შეგნებული იდეალი ემყარება პიროვნების დიდი წონის ფიქსირებულ განწყობებს, რაც უფრო ადექვატურია ფიქსირებული განწყობების (თვისებად ქცეული დისპოზიციური განწყობების) ცნობიერ ღირებულებათა სისტემა, მით უფრო მთლიანია პიროვნება, ნებელობით კონტროლირებულია პიროვნების „მე“-ს რეგიონში შემავალი ყველა კომპონენტი, ნებელობა — „მე“-ს ძალა — მტკიცეა, მისი პოზიტიური და ნეგატიური ფუნქციები შეთანხმებულად ახერხებს პიროვნების ყველა ასპექტის მართვას. ნებელობის სისუსტე ნიშნავს „მე“-ს დეზინტეგრაციას, როცა პიროვნებაში „მე“-ს ზემოთ აღნიშნული ორივე ასპექტი, ცნობიერი და არაცნობიერი, ეთიშება ერთმანეთს, როცა ნებელობა ვერ ახერხებს მათ შეწყობას, როცა „მე“-ს რეგიონში არის ისეთი კომპონენტი (ღირებულება), რომელიც ნებელობის კონტროლს არ ემორჩილება.

Вл. Г. НОРАКИДЗЕ

## СВОЙСТВА ЛИЧНОСТИ И ФИКСИРОВАННАЯ УСТАНОВКА

Резюме

В исследовании в аспекте теории установки Д. Н. Узнадзе рассмотрено понятие свойства личности. Показано, что основные определяющие показатели, которые в психологии личности приписываются свойс-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



тву (консистентность, стабильность, тождественность поведения и т. д.) являются функцией установки, в частности, фиксированной установки: формирование свойства можно объяснить через закономерности выработки установки, ее фиксацией и течением.

## ლიტერატურა

1. ნ ა დ ი რ ა შ ვ ი ლ ი. შ. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი, 1975.
2. უ ზ ნ ა ძ ე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი, 1940.
3. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი შ. აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი, 1974.
4. К о н И. С. Открытие «я». М., 1978.
5. Н о р а к и д з е В. Г. Методы исследования характера личности. Тбилиси, 1975.
6. Н о р а к и д з е В. Г. Типы характера и фиксированная установка. Тбилиси 1966.
7. П р а н г и ш в и л и А. С. Психологические очерки. Гл. Установка и психологическая индивидуальность. Тбилиси 1976.
8. Х о д ж а в а З. И. Фактор фигуры и действии установки. «Экспериментальные исследования по психологии установки». Тбилиси, 1958.
9. A l l p o r t G. Personality. A Psychological Interpretation, New-York, 1937.
10. G r a u m a n n C. F. Eigenschaften als Problem der Persönlichkeits-Forschung. Handbuch der Psychologie. Gottingen. 1960. 4 band.
11. M u r r a y H., Explorations in Personality. New-York. 1938.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ფრანგიშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



Н. В. КИПИАНИ

# ВЗАИМООБУСЛОВЛЕННОСТЬ НРАВСТВЕННОГО И ТВОРЧЕСКОГО В ТЕОРИИ УСТАНОВКИ

Теория установки, позволяющая в самом широком аспекте исследовать закономерности психической действительности, ведет к пониманию и таких смежных для психологии и философии проблем, как нравственность и творчество. Это естественно: основополагающая для Узнадзе мысль о том, что «исходный пункт психологии — не психические явления, а живые индивиды, имеющие эти психические явления» [18, с. 166], непременно подразумевает дополнительные вопросы, связанные с общей проблематикой человека, его динамики, форм его сознания. Изучение этих вопросов, разумеется, теснейшим образом связано с задачами грузинской психологической школы, успешно расширяющей границы понимания и применения теории Д. Узнадзе.

Личность, общеличностное единство, установка как модус личности — понятия, широко и с необходимостью применяемые в психологических исследованиях по теории установки, для Д. Узнадзе преисполнены глубокого смысла. Но первым долгом они выражают результат длительной эволюции, связанной с динамикой психики.

Ведущий атрибут личности — нравственное поведение —также рассматривается не как одна из форм активности субъекта, а как внутренне обусловленный этап развития психики. Интересно, что закономерности, устанавливаемые в этой области, связаны с проблемой творчества.

Рассуждая о специфике художественного творчества, Узнадзе прямо указывает, что понять его можно только через эстетико-психологические исследования: «Согласно нашей основной концепции, —пишет он, — действительность первым долгом воздействует на личность как на целое и вызывает в нем определенную общеличностную реакцию, определенную установку, которая ложится в основу поведения личности. Надо думать, что эта общеличностная реакция у творца своеобразная, отличающаяся от вызванной такими же условиями реакции обыкновенного человека. А именно в чем заключается это своеобразие — дело будущего психологическо-эстетического исследования...» [17, т. III—IV, с. 104]. Однако, предваряя эти исследования, Узнадзе сам ясно указывает на то, в чем заключается своеобразие реакции творца — в ее независимости от внешней действительности: «Бетховен и после того как оглох, остался гениальным композитором. То же самое можно сказать и об остальных функциях — ни чувство, ни интеллект, ни воля не содержат ничего такого, что можно было бы считать специфическим для художественного творчества». [17, т. III—IV с. 104]. В этих высказываниях Узнадзе либо противоречит себе (в одном случае он говорит

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



о воздействии действительности, а в другом — о несущественности этого фактора для творчества), либо он имеет в виду иную действительность, не совпадающую в своем значении с действительностью в обычном смысле окружающей среды. Поскольку Узнадзе пишет о смежности проблемы творчества для эстетики и психологии, то естественно предположить, что он имеет в виду не эмпирическую, а идеальную эстетическую действительность, объективную в своем ценностном значении. А если это так, то получается, что Узнадзе указывает на какую-то специфическую установку, в которой отсутствует основной по содержанию установки признак — единство внешнего и внутреннего. Вместо этого мы имеем единство внутренне-субъективного и внутренне-объективного.

В научной литературе по теории установки полностью отсутствует обоснование подобного рода установки, нет вообще указаний на нее[1]. Но вышеизложенный факт совершенно ясно и четко констатирует функционирование этой необычной установки и просит своего объяснения. Настоятельность такого объяснения самоочевидна и для оправдания общеизвестного положения о решении в теории установки проблемы взаимосвязей между психическим и физическим: если установка как посредник между субъектом и окружающей действительностью, как единство внешнего и внутреннего есть основа всякой активности, то как возможна активность без этого единства и как возможна установка без этого основного своего признака?

Ответ, видимо, связан с представлением Д. Узнадзе о психике как о развивающемся явлении. Необходимо отметить, что содержание динамики психики, недостаточно ясно раскрытое им, по сей день в научной литературе остается проблемным. Очевидно, здесь не место излагать сложности, связанные с пониманием этого вопроса.

В данном случае достаточно просто сослаться на мысль Узнадзе о непреложности развития психики, чтобы естественным образом придти к выводу о динамике самой установки: во-первых, один и тот же застывший в своей формально-смысловой определенности механизм не может лежать в основе всех форм активности развивающейся психики, а, во-вторых, установка, как условие психической активности, с логической необходимостью должна являться и условием динамики психики, а, следовательно, сама она — динамическое явление, и, наконец, в-третьих, выйдем из сферы предположений и обратимся к самому Узнадзе. В «Экспериментальных основах психологии установки» он пишет, что «предшествующей сознанию ступенью развития психики является установка»

[1] Прослеживая возникновение и развитие на основе объективации таких психических функций как мышление и речь, Узнадзе указывает на второй план психологической активности—на установку, объективным фактором которой является «мыслимая ситуация.“ [18, с. 107]. Однако в данном контексте указанная установка ничего общего не имеет с рассматриваемой нами установкой художественного творчества. Дело в том, что под «мыслимой ситуацией» подразумевается все та же внешняя действительность, опосредованная мышлением и данная в снятой форме в слове.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
აღიარებულია ერთის მხრივ ის, რომ ყოველ ქცევას აქვს საკუთარი, სპეციფიკური, შინაგანი მოტივი, მეორეს მხრივ კი ის, რომ სწორედ ეს მოტივი არის ქცევის განმსაზღვრელი, რომ იგი ედება საფუძვლად ქცევის ამ კონკრეტული, დამოუკიდებელი ფორმის გამოყოფას. ამ პრინციპს პირობითად უწოდებენ ქცევისა და მოტივის შესატყვისობის პრინციპს [8]. ამ პრინციპის თანამიმდევრული გამოყენება ნიშნავს ქცევის კონკრეტული სახის ანალიზის დაწყებას ამ ქცევის ჰომოგენური, შინაგანი მოტივის აღმოჩენით. თუმცა ყოველთვის ასე არ ხდება. ხშირად ქცევის მოტივაციური საფუძვლის ძებნა ამოიწურება მოტივების დიდი რაოდენობის უბრალო ჩამოთვლით, რომელთაც ამ ქცევასთან, მართალია, ერთგვარი კავშირი აქვთ, მაგრამ გაურკვეველი რჩება, თუ რომელი მათგანი წარმოადგენს ამ ქცევისათვის სპეციფიურს. მდგომარეობა გაცილებით უფრო მარტივია, როდესაც მკვლევარის მიერ მოცემული ქცევის ანალიზი, პირველ რიგში, შეიცავს მითითებას ამ ქცევის ჰომოგენურ მოტივზე.

ზოგჯერ ლაპარაკობენ ქცევის შინაგანი და გარეგანი მოტივების შესახებ. გარეგანი მოტივის ცნებით სარგებლობის შემთხვევაში გარკვეულ წინააღმდეგობას ვაწყდებით. გაუგებარი ხდება, რატომ უნდა ეწოდოს გარეგანი მოტივით აღძრულ აქტივობას ქცევა, თუ მოტივისა და ქცევის შესატყვისობის თვალსაზრისზე ვდგავართ. ამ პრინციპის მიხედვით, ქცევას, როგორც ასეთს, მხოლოდ შინაგანი მოტივი უნდა ჰქონდეს და ერთი და იგივე ქცევა, რომელსაც სხვადასხვა აზრი აქვს და სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია, ფსიქოლოგიურად ფიქციად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ არსებობს საპირისპირო აზრი, რომელსაც ამ ბოლო დროს ბევრი მიმდევარი გაუჩნდა — აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანის ქცევათა დიდი ნაწილი პოლიმოტივირებულია.

ა. ლეონტიევის აზრით, ქცევას ჩვეულებრივ აღძრავს რამდენიმე მოტივი, რომელთაგან ერთი წარმოადგენს წამყვანს, ძირითადს, დანარჩენები კი დაქვემდებარებულნი არიან. მოტივთა ორი ტიპი გამოჰყო ლეონტიევმა: მოტივი-სტიმულები, რომლებიც აღძრავენ და მიმართავენ ქცევას და წამყვანი მოტივები, რომელთაც კიდევ ერთი ფუნქცია აქვთ — აზრის მომცემი ფუნქცია. ავტორის აზრით, პოლიმოტივაციასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა ერთი და იგივე ქცევაში მონაწილეობენ როგორც მოტივი-სტიმულები, ასევე წამყვანი მოტივი [10].

ქცევათა კლასიფიკაციას დ. უზნაძემ საფუძვლად დაუდო მოთხოვნილების ორი სახესხვაობის არსებობის იდეა და შესაბამისად გამოჰყო ქცევის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ჯგუფი: ინტროგენური და ექსტეროგენური [1]. ქცევის ე. წ. ექსტეროგენურ ფორმებს ერთ ჯგუფად აერთიანებს მათ საფუძველში მდებარე სუბსტანციონალური მოთხოვნილების არსებობის ფაქტი, ფუნქციონალური მოთხოვნილებით აღძრული ქცევები კი ერთიანდებიან ინტროგენურ ქცევათა ჯგუფში. ავტორის მიხედვით, სწავლა წარმოადგენს ქცევის თავისებურ, ორიგინალურ ფორმას, გარდამავალს თამაშიდან შრომისაკენ. იგი არ დაიყვანება არც ერთ მათგანზე, თუმცა აქვს მათთან საერთო ნიშნები. უზნაძემ აღნიშნა, რომ სწავლა წარმოადგენს ქცევას, რომელიც აგებულია მოვალეობებზე. მიუხედავად ამისა, სასწავლო ქცევის ერთადერთ მოტივად მან ჩათვალა ფუნქციონალური მოთხოვნილება, ე. ი. მოტივი, დამახასიათებელი ქცევის ინტროგენური ფორმებისათვის, კერძოდ, თამაშისათვის, რაც აძნელებს იმის გაგებას, თუ რას ეფუძნება ნათესაობა შრომის და სწავლის ქცევებს შორის.

საინტერესოა ვ. რეპკინისა და ა. დუსავიცკის აზრი. ეს ავტორები თავიანთ ნაშრომებში ამტკიცებენ, რომ არა მარტო სწავლის ქცევა, არამედ საერთოდ ადამიანთა ქცევები პოლიმოტივირებულია. ისინი გამოდიან იმ დებულებიდან, რომ ერთი და იგივე ქცევას შეუძლია დააკმაყოფილოს სხვადასხვა მოთხოვნილებები, ე. ი. ქცევის საფუძველში დევს არა ერთი, არამედ რამდენიმე მოთხოვნილება. ავტორები გულისხმობენ, რომ ყოველ ქცევას შეიძლება ჰქონდეს ორი სახის პროდუქტი: პირდაპირი (სპეციფიკური) და ირიბი (არასპეციფიკური [17]. იმ შემთხვევაში, როცა მოთხოვნილების საგნობრივი შინაარსი ემთხვევა ქცევის პროდუქტს, მოთხოვნილებასა და ქცევას შორის არსებობს შინაგანი, აუცილებელი კავშირი და პირიქით. მაშასადამე, ამ ავტორთა მიხედვით, ყოველ ქცევას აქვს ორგვარი მოტივაცია.

შ. ჩხარტიშვილმა შემოგვთავაზა თეორიული მოდელი, რომლის თანახმად სწავლა წარმოადგენს პოლიმოტივირებულ ქცევას. ამ ავტორის მიხედვით, სწავლა, როგორც ქცევის დამოუკიდებელი ფორმა ყოველთვის მოტივირებულია როგორც ინტელექტუალური, ფუნქციონალური მოტივებით, ასევე ნებელობითი ქცევის მოტივებითაც, რომელიც ემყარება სწავლის და მისი რეზულტატის — ცოდნა-ჩვევების ობიექტური ღირებულების გაცნობიერებას [3]. სასწავლო ქცევის ორივე შინაგანი მოტივი აღინიშნება ტერმინით — „ჰომოგენური“. ნებისმიერი სხვაგვარი მოტივაციის შემთხვევაში სუბიექტი, რომელსაც სასწავლო მიზანი აქვს, სწავლის ქცევას არ ახორციელებს. ასეთ შემთხვევაში ქცევას აქვს ჰეტეროგენური მოტივაცია და იგი მიმდინარეობს მოქმედების ფორმაში.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში არის შრომის ქცევის ანალიზისადმი ანალოგიური მიდგომის ცდები, ე. ი. მისი პოლიმოტივაციურ ნიადაგზე დაფუძნებისა.

გარდა ამისა ლაპარაკობენ ორმაგი ქცევების შესახებ, რომელთაც ორგვარი ბუნება აქვთ — იმპულსურნიც არიან და ნებისმიერნიც [3]. ამ მოსაზრებაშიც არის პოლიმოტივაციის იდეა გამოკვეთილი.

რა მოტივაციური საფუძველი შეიძლება გააჩნდეს შემსრულებლის სასცენო აქტივობას?

ცნობილი შემსრულებლები აღნიშნავენ, რომ მათ მოღვაწეობას სასცენო გამოსვლების მოთხოვნილება განსაზღვრავს. ჩეხი ავტორის — ო. ვონდროვიცის აზრით, შემსრულებლის სასცენო აქტივობას საფუძვლად უდევს აუდიტორიის წინაშე ნაწარმოების შესრულების მოტივი. ავტორთა უმრავლესო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბა იზიარებს მის აზრს. ჟ. ფევრიე მიუთითებს შემსრულებლობის მოთხოვნილებაზე. ი. ანტალის აზრით, შემსრულებელს აქვს თავისი შეხედულებების გადაცემის სურვილი.

ჩვენის აზრით, შესრულების მოტივი არ შეიძლება ჩაითვალოს საშემსრულებლო ქცევისათვის ჰომოგენურ მოტივად. იგი ჰეტეროგენურ მოტივთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ქცევის ფორმალურ აღწერას ვერ გავცდებით და მისი ნამდვილი ბუნების, მისი სპეციფიკის შესახებ ვერაფერს ვიტყვით.

ფსიქოლოგიური ანალიზის გზით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ შესაძლებელია შემსრულებლის ქცევა განვიხილოთ, როგორც პ ო ლ ი მ ო ტ ი ვ ი რ ე ბ უ ლ ი ქცევა, ხოლო მის ჰომოგენურ მოტივებად ჩავთვალოთ თ ვ ი თ გ ა მ ო ს ა ხ ვ ი ს ა და უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს მოტივები (ექსპრესიული და კომუნიკაციური მოტივაცია). აღსანიშნავია, რომ თვითგამოსახვის მოტივი საფუძვლად უდევს აგრეთვე კომპოზიტორის მიერ ნაწარმოების შექმნის პროცესს. მაშასადამე, იგი შემოქმედებითი ქცევისათვისაც ჰომოგენურ მოტივს წარმოადგენს, მაგრამ შემსრულებელთან დაკავშირებით ეს მოტივი განსხვავებული სპეციფიკის მატარებელია. თუ კომპოზიტორი ნაწარმოების შექმნის პროცესში თავისუფალია სხვისი გავლენისაგან და მხოლოდ საკუთარი სამყაროს გამოსახვითაა დეტერმინირებული, შემსრულებელი, პირველ რიგში, ვალდებულია დაემორჩილოს კომპოზიტორის ჩანაფიქრს, ჩასწვდეს ნაწარმოების შინაარსს და მხოლოდ ამის შემდეგ დგება საკითხი მისი თავისუფლების შესახებ. ეს უკანასკნელი კი ინტერპრეტაციის თავისუფლებაა, შემრულებლის ინდივიდუალობის, მის მიერ ნაწარმოების ახლებურად წაკითხვის თავისუფლება, ხოლო თვითგამოსახვა ამ ინდივიდუალობის ჩვენებას, მის გადმოცემას წარმოადგენს. აქ ხაზი უნდა გავუსვათ ერთ გარემოებას, რომელიც თვითგამოსახვის ცნების შინაარსსაც უფრო გასაგებს გახდის: თვითგამოსახვა არ ნიშნავს ნაწარმოების შინაარსის მშრალ გადმოცემას, როცა შემსრულებელი ფორმალურად ყველაფერს აკეთებს, რაც საშემსრულებლო გეგმით აქვს გათვალისწინებული, ე. ი. რასაც მოითხოვს მისგან სანოტო ჩანაწერის მიხედვით კომპოზიტორი თუ რედაქტორი. ხშირად შემსრულებელს კარგად აქვს გააზრებული ნაწარმოები, მაგრამ მის შესრულებაში არ იგრძნობა „ნაპერწკალი“. იგი მშრალად მისდევს მისსავე მიერ დასახულ საშემსრულებლო გეგმას ისე, რომ თვითონ არ არის ჩართული მთელი არსებით შესრულების პროცესში. თვითგამოსახვა შემსრულებლის ინდივიდუალობის სწორედ განცდისეულ გადმოცემას გულისხმობს, ისეთ გადმოცემას, როცა შემსრულებელი აქტიური მონაწილე ხდება შესრულების პროცესისა, როცა საშემსრულებლო გეგმა გარედან კი არ არის თავს მოხვეული, არამედ შემსრულებლის „გულიდან“ მომდინარეობს.

საშემსრულებლო ქცევის მეორე ჰომოგენურ მოტივად ჩავთვალეთ მსმენელთან ურთიერთობის მოტივი. მხოლოდ თვითგამოსახვის მოტივი შემსრულებელს სცენაზე ვერ გაიყვანს. ამ მოტივით განსაზღვრული ქცევა თავისი შესრულებისათვის აუდიტორიას არ მოითხოვს. იგი მაშინაც შეიძლება განხორციელდეს, როცა მსმენელის როლში მხოლოდ შემსრულებელი გამოდის. მაგრამ საქმე ის არის, რომ შემსრულებელს არა მარტო თვითგამოსახვა, არამედ სხვებისათვის საკუთარი თავის ჩვენება, სხვების შეფასება, სხვებზე ზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გავლენა უნდა აინტერესებდეს. ხელოვანი — თუ კი ის ნამდვილი ხელოვანია — თანაგანცდისაკენ უნდა ისწრაფოდეს.

„მხატვრული შემოქმედება, პირველ რიგში, აკმაყოფილებს მაღალ მოთხოვნილებათა ერთ-ერთ სახეს — მისწრაფებას საკუთარი თავის რეალიზაციისაკენ [4, ტ. 29, გვ. 149], საკუთარი ინტიმური არსის აქტუალიზაციისაკენ. ამას კი გარდაუვლად მივყავართ ურთიერთობის მოთხოვნილებასთან, რადგან თვითგამოსახვა მჭიდროდაა დაკავშირებული სულიერი ერთიანობის ძიებასთან" — ვკითხულობთ გ. პრაზდნიკოვის და ო. პრაზდნიკოვას ნაშრომებში [11].

ასხვავებს რა ერთმანეთისაგან ესთეტიკურ და მხატვრულ მოთხოვნილებებს, ნ. კოროტკოვი აღნიშნავს, რომ „სუბიექტური მხარე მხატვრული მოთხოვნილებისა — ეს არის მისწრაფება თანაგანცდისაკენ" [9].

გარდა თანაგანცდისა, ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში კიდევ ერთი მომენტია ხაზგასმული — ეს არის შემოქმედებითი შთაგონების მომენტი, რომლის გარეშეც სრულფასოვანი სასცენო შესრულების შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება. როგორც ავტორები მიუთითებენ, შემოქმედებითი შთაგონების მომენტის აღმოცენებისათვის აუცილებელია მსმენელთან ურთიერთობა. იგი აუდიტორიასთან კონტაქტის ნიადაგზე იქმნება.

ლ. ბოჩკარიოვის აზრით, სოციოგენური მოთხოვნილება საესტრადო გამოსვლებისა და მის საფუძველზე წარმოქმნილი აუდიტორიასთან კონტაქტის, აუდიტორიასთან ურთიერთობის გრძნობა შემსრულებელში იწვევს შემოქმედებით, საესტრადო თვითგანცდას, „მხატვრულ სახეში ღელვას", „შემოქმედებითი შთაგონების მდგომარეობას" [5]. აი, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით ცნობილი საბჭოთა პიანისტი მარია გრინბერგი: „ჩემი უმთავრესი სურვილის — მაყურებლის წინაშე დაკვრის სურვილის ნიადაგზე აღმოცენდება შთაგონება, ისეთი შეგრძნება, თითქოს მაღლდები ყოველი მიწიერიდან. ეს არის უდიდესი სიხარული შემსრულებლისათვის..."

თვითგამოსახვის და ურთიერთობის მოტივები საშემსრულებლო ქცევაში ცალ-ცალკე კი არ მოქმედებენ, არამედ გარკვეულ სტრუქტურას, მთლიანობას ქმნიან. ცალ-ცალკე თითოეულ მათგანს შეუძლია სათანადო ქცევის აღძვრა, მაგრამ ქმნიან რა შეერთების შედეგად ახალ ფენომენს, ახალ მოტივაციურ ერთეულს, ისინი საფუძვლად ედებიან ქცევას, რომელიც არ დაიყვანება თითოეულის მიერ ცალკე აღძრულ არც ერთ ქცევაზე. ისინი პრინციპულად განსხვავდებიან მათგან. უნიკალურობაც ამ ქცევისა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას ასეთი მოტივაციური საფუძველი აქვს. ცხადია, რომ საშემსრულებლო ქცევა, მოტივირებული მხოლოდ ჰომოგენური მოტივებით — ე. წ. „წმინდა" საშემსრულებლო ქცევა აბსტრაქციას წარმოადგენს. სინამდვილეში იგი გაცილებით რთულია. რეალურ საშემსრულებლო ქცევაში, ისევე როგორც სხვა ქცევებში, მონაწილეობს მთელი კომპლექსი როგორც ჰომოგენური, ასევე ჰეტეროგენური მოტივებისა. ეს უკანასკნელნი გამოირჩევიან განსაკუთრებული მრავალფეროვნებით. ჰომოგენურ მოტივთა ხვედრითი წონაც არ უნდა იყოს ერთნაირი სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე, მაგრამ ორივე ჯგუფის მოტივების არსებობა, და შეიძლება მათი განვითარების გარკვეული დონეც კი, აუცილებელია იმისათვის, რომ საშემსრულებლო ქცევის შესახებ ვილაპარაკოთ. აღზრდის და სწავლების პროცესში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ როგორც თვითგამოახვის, ისევე ურთიერთობის

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მოტივები უნდა გადიოდნენ განვითარების დიდ გზას. ჩანასახოვანი სახით ისინი შეიძლება ადრეულ ასაკშივე გაჩნდნენ, მაგრამ ქცევის მოტივირება ვერ შეძლონ. ამიტომ პედაგოგი, პირველ რიგში, უნდა ცდილობდეს გაარკვიოს, თუ რა მოთხოვნილებით მიდის ბავშვი მუსიკალურ სკოლაში, რომელ მოთხოვნილებას უკმაყოფილებს მას სასცენო შესრულება, როდის ჩნდებიან ეს მოთხოვნილებები და რა ადგილს იკავებენ ამ მოტივთა შორის შესრულების ჰომოგენური მოტივები. გარდა ამისა, საჭირო იქნება იმის დადგენაც, თუ რა კონტექსტში უხდებათ მოქმედება ჰომოგენურ მოტივებს, რა ადგილი უჭირავთ მათ შემსრულებლის მოტივაციური სფეროს იერარქიაში. ასე მაგალითად, თუ აღმოჩნდებოდა, რომ შემსრულებლის მოტივაციურ სფეროში გარკვეულ ასაკობრივ საფეხურზე დომინირებულ ადგილს იკავებს თვითგამოსახვის მოტივი, ეს ნიშნავს, რომ შემსრულებელი ინტროგენური ქცევის სუბიექტია და საჭიროა მისი მიმართვა ექსტეროგენურისაკენ.

ჩვენის აზრით, შესრულება არის ქცევა, რომელიც ატარებს როგორც ინტროგენური, ასევე ექსტეროგენური ქცევის ნიშნებს და თავის მოტივაციურ სტრუქტურაში შეიცავს მოტივებს, დამახასიათებელს ორივე მათგანისათვის. ინტროგენური ქცევის ნიშნები ამ ქცევაში შეაქვს თვითგამოსახვის მოტივს, ხოლო იმდენად, რამდენადაც შემსრულებელი ურთიერთობაზეა მიმართული, მის ქცევას ექსტეროგენური ქცევის ნიშნებიც აქვს.

„ქცევა განწყობით არის უშუალოდ განსაზღვრული. იგი არის მისი აღმოცენების უშუალო მიზეზი. ის, რაც უნდა მოხდეს მომავალში, ე. ი. როგორ უნდა მოიქცეს გარკვეულ პირობებში ცოცხალი არსება, ეს უკვე მანამდეა სუბიექტის განწყობაში მოცემული, სანამ ქცევა დაიწყებოდეს“ — წერს უზნაძე [2].

თუ ქცევის წარმოშობა, მიმდინარეობა, ცვალებადობა დამოკიდებულია განწყობის წარმოშობის, მიმდინარეობის, ცვალებადობის კანონზომიერებებზე, მაშინ სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ქცევის ეფექტურობას განსაზღვრავენ განწყობაში მომხდარი ცვლილებები ქცევის დაწყებამდე და ქცევის პროცესში.

აქედან გამომდინარე, საშემსრულებლო ქცევის ეფექტურობა ცვალებადობს იმის მიხედვით, თუ როგორ ცვალებადობენ მისი შესატყვისი განწყობის მახასიათებლები. საშემსრულებლო ქცევის განწყობა იქმნება ქცევის დაწყებამდე და ხშირად მისი ფორმირება ქცევის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე მთავრდება. ეს გასაგებიცაა — თვითგამოსახვის ან ურთიერთობის მოთხოვნილება შემსრულებელს უშუალოდ სცენაზე გასვლის წინ არ უჩნდება.

შესრულებისადმი მზაობის საკითხებს შორის ძირითადია, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობით, საკითხი იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს საშემსრულებლო ქცევის ეფექტურობაზე უშუალოდ ქცევის წინ ნაწარმოების შესრულების ფაქტი. იგი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც შესრულებასთან დაკავშირებით მწვავედ დგას რეპეტიციის ორგანიზაციის საკითხი; შესრულების ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად იყო ორგანიზებული რეპეტიცია. მართალია, უმეტეს შემთხვევებში, რეპეტიციის ჩატარებით იზრდება უკეთესი ხარისხის საკონცერტო შესრულების მიღების ალბათობა, მაგრამ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ისეთი შემთხვევებიც, როდესაც რეპეტიცია კი არ აუმჯობესებს, არამედ აუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რესებს საკონცერტო შესრულების ხარისხს. ასეთი საფრთხე უკლებლივ ყველა შემსრულებელს ემუქრება; რეპეტიციაზე ნაწარმოების კარგად შესრულებით შეიძლება ზიანი მივაყენოთ საკონცერტო გამოსვლას და პირიქით, არასრულყოფილად ჩატარებულ რეპეტიციას შეიძლება მოჰყვეს მაღალი ხარისხის საკონცერტო შესრულება. მსგავსი შემთხვევები იმდენად ხშირია, რომ ასეთი გამოთქმაც კი დამკვიდრდა — თუ გენერალური რეპეტიცია „ჩავარდა", სპექტაკლი კარგი იქნება.

მაშასადამე, საკითხი დგება რეპეტიციის იმგვარად ორგანიზების, ისეთი ფორმის შერჩევის შესახებ, რომელიც საშუალებას მისცემს შემსრულებელს მაქსიმალურად გამომჟღავნოს თავისი შესაძლებლობები სცენაზე.

ამგვარად, ჩვენს წინაშე მდგომმა მოტივისა და ქცევის ურთიერთობის პრობლემამ ასეთი სახე მიიღო:

რა ზეგავლენას ახდენს საშემსრულებლო ქცევის ეფექტურობაზე მოთხოვნილების ინტენსივობის ცვალებადობა, ან უფრო ზუსტად, აღმოჩნდება თუ არა რაიმე ცვლილება საკონცერტო შესრულებაში, თუ შემსრულებელს სცენაზე გასვლამდე შევუსუსტებთ ან გავუძლიერებთ რომელიმე მოთხოვნილებას, მაგალითად, თვითგამოსახვის მოთხოვნილებას.

ჩვენ ვცადეთ სარეპეტიციო შესრულების მეშვეობით გვემოქმედა თვითგამოსახვის მოთხოვნილების ინტენსივობაზე და სარეპეტიციო და საკონცერტო შესრულებათა ურთიერთდამოკიდებულების ფონზე გვეკვლია მოტივისა და ქცევის ურთიერთობის საკითხი.

სარეპეტიციო შესრულებაში უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ნაწარმოების უბრალო დაკვრა და შესრულება. როდესაც შესრულების შესახებ ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ ნაწარმოების ისეთი სახით წარმოდგენას, როცა შემსრულებელი მიმართულია არა მარტო სანოტო ტექსტის გადმოცემის სიზუსტეზე, არამედ, პირველ რიგში, ნაწარმოების შინაარსობრივ, ემოციურ-გამომსახველობით მხარეზე, როცა შემსრულებლის წინაშე დგას მხატვრული სახის შექმნის ამოცანა და არა მხოლოდ სანოტო ჩანაწერის აჟღერების, მისი ბგერებზე გადატანისა.

რაც შეეხება შესრულების გარეშე დაკვრას, მას მაშინ მიმართავს რეპეტიციაზე შემსრულებელი, როცა სანოტო ტექსტის გამეორება სურს მხოლოდ. ამ შემთხვევაში იგი არ იცავს დინამიურ, ტემპობრივ, სტილისტურ და სხვაგვარ მითითებებს, რომლებზე დაყრდნობითაც იქმნება ნაწარმოების მხატვრული სახე. აქ, როგორც წესი, შემსრულებელი ნელ ტემპში ასრულებს ნაწარმოებს, რადგანაც იგი მიზნად ისახავს სანოტო ტექსტის ათვისების ხარისხის საბოლოო შემოწმებას, მოტორიკის სრულყოფას, იმის აღდგენას, რაც „კუნთური მეხსიერების" მეშვეობით აქვს მოპოვებული.

„ნაწარმოების გაწმენდის მიზნით შემსრულებელი ვალდებულია დრო და დრო დაუბრუნდეს ნაწარმოების ნელა დაკვრას, რომლის დროსაც მთლიანად უნდა შეიკავოს თავი ყოველგვარი გამომსახველობისაგან" — წერს იოსებ ჰოფმანი თავის ცნობილ წიგნში, — „საფორტეპიანო დაკვრა" [6].

ჩვენის აზრით, რეპეტიციაზე ნაწარმოების ასეთი გამეორება საჭიროა, მაგრამ იგი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ შემსრულებელს გაუძლიერდეს შესრულებისაკენ სწრაფვა და ამ გზით მან ნაწარმოების შესრულების ხარისხი გააუმჯობესოს. ნამდვილი რეპეტიცია კი სწორედ ამას უნდა ისახავდეს მთავარ მიზნად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ცდებში ეს გარემოება გათვალისწინებულია, ამიტომ როცა ცდების აღწერას შევუდგებით, ყველგან შესრულების შესახებ გვექნება ლაპარაკი და არა უბრალო დაკვრის შესახებ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობდა კვლევის კონკრეტული ამოცანა. საჭირო გახდა შესრულებასთან დაკავშირებული სამი შესაძლო ვითარების წარმოდგენა და ანალიზი ამ თვალსაზრისით. შემსრულებლის რეალურ საქმიანობაში სამივე მათგანს აქვს ადგილი.

I შემთხვევა: საკონცერტო შესრულებას წინ უძღვის სრული ანუ მთლიანი სარეპეტიციო შესრულება. ეს იმას ნიშნავს, რომ შემსრულებელი სცენაზე გასვლამდე წინასწარ ასრულებს ნაწარმოებს მთლიანად, თავიდან ბოლომდე. ამას მოსდევს საკონცერტო შესრულება.

II შემთხვევა: შემსრულებელი სარეპეტიციო შესრულებაში მუსიკალური ნაწარმოების ნაწილს ასრულებს მხოლოდ, საკონცერტოში კი მთლიანად. რეპეტიციის ამ ფორმას ნაწილობრივი რეპეტიცია ვუწოდეთ.

III შემთხვევაში ნაწარმოები სრულდება რეპეტიციის გარეშე. მაშასადამე, საკონცერტო შესრულებას წინ არ უძღვის სარეპეტიციო შესრულება, არც სრული (მთლიანი) და არც ნაწილობრივი.

სავარაუდო იყო, რომ თვითოეულ ამ შემთხვევაში სხვადასხვა შედეგი უნდა მიგვეღო. გადავწყვიტეთ ეს საკითხი ექსპერიმენტულად გვეკვლია.

ცდები ჩატარდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისა და სამუსიკო სასწავლებლების საშემსრულებლო განყოფილებათა სტუდენტებზე. ცდები ორ სერიად დავყავით.

I სერია ჩავატარეთ სტუდენტთა ინდივიდუალურ მეცადინეობებზე სპეციალურ საგანში იმ პერიოდში, როცა სტუდენტებს მზად ჰქონდათ მასალა საკონცერტო შესრულებისათვის. ეს სერია სამი ცდისაგან შედგებოდა. თვითოეულ მათგანს ვატარებდით თითო მეცადინეობაზე. მეცადინეობას ესწრებოდა მხოლოდ პედაგოგი. ექსპერიმენტატორი, როგორც წესი, ცდას არ ესწრებოდა. წინასწარი ინსტრუქციის მიხედვით ცდისპირს ევალებოდა სამივე მეცადინეობაზე გამოცხადებულიყო ისე, რომ სახლში არ შეესრულებინა საკონცერტო ნაწარმოები.

პირველი ცდა შემდეგნაირად მიმდინარეობდა: მეცადინეობის დასაწყისშივე პედაგოგი ნაწარმოების მთელი მონდომებით შესრულებას მოითხოვდა სტუდენტისაგან. სტუდენტი ასრულებდა ნაწარმოებს. შემდეგ პედაგოგი იწყებდა მასთან თეორიულ საკითხებზე მუშაობას, რომლის დროსაც სტუდენტი ისვენებდა შესრულებისაგან. მეცადინეობის ბოლოს პედაგოგი ისევ სთხოვდა სტუდენტს ნაწარმოების თავიდან ბოლომდე შესრულებას.

მაშასადამე, I ცდაში ნაწარმოები სრულდებოდა ორჯერ. პირველ შესრულებას ჩვენ ვთვლიდით სარეპეტიციო შესრულებად, ხოლო მეორეს საკონცერტოდ, თუმცა ცდისპირმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. ცდისპირისთვის შეუმჩნევლად ვიწერდით ორივე შესრულებას მაგნიტოფირზე.

II ცდაზე სტუდენტი პედაგოგის მითითებით იწყებდა ნაწარმოების შესრულებას. ჩვენი ინსტრუქციის მიხედვით, პედაგოგი მას რამდენიმე ადგილას აწყვეტინებდა შესრულებას და გადაჰყავდა იგი სხვა ადგილზე (ჩვენს მიერ წინასწარ მითითებულზე). ამგვარად, ცდისპირს უტარდებოდა ნაწილობრივი რეპეტიცია, რადგანაც იგი ახერხებდა საკონცერტო ნაწარმოების მხოლოდ რამდენიმე მონაკვეთის შესრულებას. ამის შემდეგ თეორიულ საკითხებზე მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობდნენ და ბოლოს ისევ შესრულებაზე გადადიოდნენ, ამჯერად უკვე ჩვენს მიერ საკონცერტოდ წოდებულზე. ეს უკანასკნელი ფიქსირდებოდა მაგნიტოფონის მეშვეობით.

მესამე მეცადინეობაზე ჩვენ ვაფიქსირებდით ცდისპირთა ისეთ შესრულებას, რომელსაც წინ არ უძღოდა სარეპეტიციო შესრულება.

ცდების მეორე სერია ჩავატარეთ სტუდენტთა ღია აკადემიურ კონცერტებზე. ვიწერდით ცდისპირთა საკონცერტო შესრულებებს, რომლებიც აუდიტორიის წინაშე ხდებოდა. აქაც, ამ ცდებშიც, იმავე მეთოდით ვცვლიდით წინასაკონცერტო სიტუაციას; პირველ შემთხვევაში კონცერტის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე სტუდენტს უტარდებოდა რეპეტიცია, სადაც იგი ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე ასრულებდა, მეორე შემთხვევაში ნაწილობრივ, ხოლო მესამეში კი ნაწარმოები სრულდებოდა რეპეტიციის გარეშე.

აღნიშნულ შესრულებათა გარდა ცდების I სერიის დაწყებამდე ჩვენ ჩავიწერეთ ცდისპირთა ორი ურეპეტიციო შესრულება, რომელთაც საკონტროლო ვუწოდეთ. ერთი მათგანი აუდიტორიის წინაშე ხდებოდა, მეორე კი მეცადინეობის დროს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ გვაქვს ურეპეტიციო შესრულებათა კიდევ ერთი წყვილი, მაგრამ ცდებში საკონტროლო შესრულების ჩართვა აუცილებლად მივიჩნიეთ. რადგანაც თითოეულ ცდას მომდევნოსაგან საკმაოდ დიდი დროითი ინტერვალი აცილებდა და შეუძლებელი იყო ცდისპირთა შესრულებებში დროის ფაქტორის გამორიცხვა. თუმცა, როგორც ცდების მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, საკონტროლო შესრულებები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან ($p>0,1$; $p>0,1$. $p>0,05$), რაც იმაზე მიუთითებს, რომ შესრულების ხარისხის გაუმჯობესება დროის ფაქტორით არ არის განსაზღვრული.

მაგნიტოფირზე ჩაწერილ შესრულებას შესაფასებლად ვაწვდიდით ექსპერტებს, რომლებიც ოცი ქულით აფასებდნენ ყველაზე კარგ შესრულებას, ხოლო ერთი ქულით — ყველაზე ცუდს.

მონაცემთა საშუალოები ასეთ სურათს იძლევა:

(ურთიერთობის მოთხოვნილება)

| (თვითგამოსახვის მოთხოვნილება) | აუდიტორიის გარეშე | აუდიტორიით |
|---|---|---|
| საკონტროლო | 11,3 | 11,2 |
| მთლიანი | 8,3 | 9,3 |
| ნაწილობრივი | 13,5 | 13,9 |
| ურეპეტიციო | 11,2 | 11,3 |

ცდების პირველმა სერიამ გვიჩვენა, რომ ცდისპირები ნაწილობრივი რეპეტიციის გავლის შემდეგ უკეთ ასრულებენ ნაწარმოებებს, ვიდრე დანარჩენ ორ შემთხვევაში. ქულათა ყველაზე მცირე რაოდენობა მიიღო ისეთმა შესრულებამ, რომელსაც წინ უძღოდა რეპეტიცია ნაწარმოების მთლიანად შესრულებით.

რაც შეეხება ურეპეტიციო შესრულებას, აქ შედეგები უფრო დაბალია, ვიდრე ნაწილობრივი რეპეტიციის შემთხვევაში და უფრო მაღალი, ვიდრე მთლიანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანალოგიური შედეგები მივიღეთ II სერიის ცდებში. აქაც გამოიკვეთა ნაწილობრივი რეპეტიციის უპირატესობა ორ დანარჩენთან შედარებით. ყველაზე ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა მთლიანი რეპეტიცია, ხოლო ურეპეტიციო შესრულების მონაცემები მოთავსდა მთლიანსა და ნაწილობრივს შორის.

ორივე სერიის ცდებში ქცევის ეფექტურობის განმსაზღვრელი ორი ფაქტორი გამოიკვეთა — რეპეტიციის და აუდიტორიის. ის, რაც ამ ფაქტორებით არის განპირობებული, შეიძლება ამგვარად ჩამოყალიბდეს:

1) საკონცერტო შესრულება იმ შემთხვევაში უფრო ეფექტურია, როცა შემსრულებელი რეპეტიციის გარეშე ასრულებს ნაწარმოებს, ვიდრე მაშინ, როცა მას წინასწარ უტარდება სრული რეპეტიცია, ე. ი. წინასწარ ასრულებს საკონცერტო ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე ($p<0/001$).

2) ურეპეტიციო შესრულება ნაკლებად ეფექტურია იმ შესრულებასთან შედარებით, რომელსაც წინ ნაწილობრივი რეპეტიცია უძღოდა ($p<0,001$).

3) საკონცერტო შესრულება უფრო მაღალი ხარისხისაა მაშინ, როდესაც შემსრულებელი ნაწილობრივი რეპეტიციის გავლის შემდეგ ასრულებს ნაწარმოებს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა შესრულებამდე მას უტარდება მთლიანი რეპეტიცია ($p<0,001$).

4) სრული რეპეტიციის გავლის შემდეგ შესრულება უფრო ეფექტურია აუდიტორიის წინაშე, ვიდრე აუდიტორიის გარეშე ($p<0,001$).

5) შესრულება უფრო მაღალი ხარისხისაა მაშინ, როცა შემსრულებელი ნაწილობრივი რეპეტიციის გავლის შემდეგ ასრულებს ნაწარმოებს მაყურებლის წინაშე, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა შესრულებას მაყურებელი არ ესწრება ($p<0,001$).

6) თუ შემსრულებელი ურეპეტიციოდ ასრულებს ნაწარმოებს — განურჩევლად იმისა, მაყურებლის თანდასწრებით თუ უმაყურებლოდ, შესრულება დაახლოებით ერთი და იმავე დონის იქნება ($p< 0,05$).

რაც შეეხება ურეპეტიციო შესრულებებს, აქ ჩვენი ვარაუდით მაყურებლის ფაქტორის საპირისპიროდ მოქმედებს რომელიღაც სხვა ჩვენთვის ჯერჯერობით უცხო ფაქტორი, რის გამოც მაყურებლის ფაქტორის გავლენა შესრულებაზე არ აისახა. ვაპირებთ კვლევის გაგრძელებას ამ მიმართულებით.

ჩვენი ვარაუდიც ასეთი იყო:

მთლიანი რეპეტიციის შემდეგ საკონცერტო შესრულება დაბალი დონის უნდა ყოფილიყო, რადგანაც სარეპეტიციო შესრულებაში თვითგამოსახვის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება და საკონცერტო შესრულების დროს ეს მოტივი სუსტია. ცდა იმგვარად არის ჩატარებული, რომ სარეპეტიციო შესრულებაში ექსპერიმენტატორს საშუალება ეძლევა იმოქმედოს შემსრულებლის თვითგამოსახვის მოთხოვნილებაზე, გაზარდოს მისი ინტენსივობა. ამას ექსპერიმენტატორი იმით აღწევს, რომ შემსრულებელს აწყვეტინებს ნაწარმოების შესრულებას. ექსპერიმენტატორის მისია მხოლოდ ამით რომ შემოფარგლულიყო, შესრულება მაღალი ხარისხის უნდა მიგვეღო, მაგრამ საქმე ის არის, რომ იგი ცდისპირს ბოლომდე ასრულებინებს ნაწარმოებს, რაც შემსრულებელს უკმაყოფილებს თვითგამოსახვის მოთხოვნილებას. ეს კი დაბლა სწევს საკონცერტო შესრულების ხარისხს.

ურეპეტიციო შესრულების შემთხვევაში ექსპერიმენტატორი არ ცვლის შემსრულებლის მოთხოვნილების ინტენსივობას. ამ უკანასკნელს თვითონ აქვს

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გარკვეული ინტენსივობის მქონე თვითგამოსახვის მოთხოვნილება და თვითონვე იკმაყოფილებს მას საკონცერტო შესრულებაში (და არა მის დაწყებამდე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა პირველ შემთხვევაში). ამიტომ შესრულება აქ უფრო მაღალი ხარისხის არის მოსალოდნელი, ვიდრე მთლიანი რეპეტიციის შემდეგ.

რაც შეეხება ნაწილობრივი რეპეტიციის შემდგომ საკონცერტო შესრულებას, აქ ექსპერიმენტატორი ცდის დასაწყისში ისევე მოქმედებს შემსრულებლის თვითგამოსახვის მოთხოვნილებაზე, როგორც პირველ შემთხვევაში, ე. ი. ზრდის მისი მოთხოვნილების ინტენსივობას იმით, რომ აწყებინებს მას შესრულებას. მაგრამ განსხვავებით პირველი შემთხვევისაგან, ექსპერიმენტატორი ბოლომდე კი არ ასრულებინებს შემსრულებელს ნაწარმოებს, არამედ ნაწილობრივ, რის გამოც ეს უკანასკნელი თვითგამოსახვის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ვერ ასწრებს. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში საკონცერტო შესრულება ეფექტური უნდა იყოს.

როგორც ვხედავთ, შედეგების მიხედვით ეს შემთხვევა ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა. აქ საქმე გვაქვს დაუმთავრებელ ქცევასთან: სარეპეტიციო შესრულების დროს შემსრულებლის ქცევა წყდება, მისი განხორციელების გზაზე დაბრკოლება ჩნდება, რაც აჩენს ძლიერ ტენდენციას დასრულებისა. ფსიქოლოგიაში ზეიგარნიკის კარგად ცნობილი ეფექტი სწორედ ამაზე მეტყველებს. ბ. ზეიგარნიკმა და კურტ ლევინის სკოლის წარმომადგენლებმა საფუძვლიანად იკვლიეს დაუმთავრებელი ქცევები, მაგრამ მათი ინტერესების სფეროში არ შევიდა ქცევის ეფექტურობის კვლევა. ამ სკოლის წარმომადგენელთა ექსპერიმენტები მიმართულია ქცევის დასრულების, ქცევისადმი მობრუნების ტენდენციის კვლევისაკენ.

იმდენად, რამდენადაც ქცევის ეფექტურობაზე მოთხოვნილების ინტენსივობის გავლენა გვაინტერესებს, ვფიქრობთ, რომ ცდების ინტერპრეტაცია განწყობის ტერმინებითაც არის შესაძლებელი: მოთხოვნილება განწყობის სუბიექტური ფაქტორია, მისი ენერგეტიკული წყაროა, მოთხოვნილების ინტენსივობის ცვლილება აისახება განწყობაზე, ხოლო ქცევა განწყობით არის გაშუალებული.

**Л. В. БАЛАНЧИВАДЗЕ**

## МУЗЫКАЛЬНО-ИСПОЛНИТЕЛЬСКОЕ ПОВЕДЕНИЕ И ЕГО МОТИВАЦИЯ

Резюме

Работа представляет собой экспериментальное исследование, в котором поставлена проблема взаимоотношения мотива и деятельности. Цель работы состоит в изучении мотивизации сценической активности музыканта-исполнителя. Автор пытается установить существующее отношение между деятельностью и мотивом исполнителя, показать, какую роль играет мотивация в процессе исполнения.

Путем психологического анализа автор приходит к заключению, что деятельность исполнителя можно рассматривать как полимотивированное поведение, гомогенными мотивами которого являются мотивы самовыражения и общения.

Ставится вопрос, какое воздействие на эффективность исполнительской деятельности оказывает изменение интенсивности потребности. Посредством репетиционного исполнения попытались воздействовать на интенсивность потребности в самовыражении и на фоне взаимоотношения репетиционного и концертного исполнений исследовать проблему взаимоотношения мотива и деятельности.

Как показали результаты экспериментов, концертное исполнение эффективно в том случае, когда исполнитель до выхода на сцену проводит частичную репетицию. Наименее эффективной оказалась полная репетиция, а результаты безрепетиционного исполнения заняли место между полной и частичной репетициями.

## ლიტერატურა

1. უზნაძე დ. ქცევის ფორმები, შრომები, ტ. V, თბილისი, 1967.
2. უზნაძე დ. შრომები, ტ. III—IV. 1964.
3. ჩხარტიშვილი შ. აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი, 1974.
4. Ленин В. И. Сочинения.
5. Бочкарев Л. Л. Социогенные потребности в структуре пригодности к музыкально-исполнительской деятельности. В сб. Проблемы формирования социогенных потребностей. Материалы I всесоюзной конференции. Тбилиси, 1974.
6. Гофман Иосиф. Фортепьянная игра. Ответы на вопросы о фортепьянной игре. М., 1961.
7. Дусавицкий А. К. О структуре потребностей учебно-профессиональной деятельности. В сб. Проблемы формирования социогеннных потребностей. Тбилиси, 1981.
8. Имедадзе И. В. Полимотивация и принцип соответствия мотива и деятельности. В сб. Проблемы формирования социогенных потребностей. Тбилиси, 1981.
9. Коротков Н. З. Эстетические потребности личности. В сб. Проблема потребностей в этике и в эстетике. Л., 1976.
10. Леонтьев А. Н. Деятельность, сознание, личность. М., 1977.
11. Праздников Г. А., Праздникова О. А. Соотношение эстетических, нравственных и художественных потребностей. В сб. Проблема потребностей в этике и в эстетике. Л., 1976.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## ЦЕННОЕ ИСТОРИКО-ФИЛОСОФСКОЕ ИССЛЕДОВАНИЕ О СОКРАТЕ

*Theocharis Kessidis. Socrate, editions du Progres, Moscou,* 1982.

О Сократе, его личности и философском учении существует необозримая литература и в соответствии с той или иной эпохой множество интерпретаций. Сократ, которого Маркс назвал «олицетворением философии», является сложной натурой, учение его многогранно. Поэтому понятно, почему так активно старались использовать его как объективный, так и субъективный идеализм экзистенциализм и теология. Начиная с Платона, и по сей день пишутся апологии Сократа. Особенно острое внимание уделяется личности Сократа в современной художественной литературе. Он стал одним из самых загадочных героев.

Монография Ф. Х. Кессиди привлекает внимание прежде всего широтой рассмотрения проблем, что служит основной цели — выявлению общего духа учения Сократа.

Для правильной оценки сократовского учения автор в первой и второй главе монографии большое значение придает изучению исторических сведений о Сократе и рассмотрению его неповторимых индивидуальных качеств, особой оригинальности его духовного строя, в котором скрыто нечто загадочное, непостижимое, по причине чего современники Сократа считали невозможным сравнить его с кем-либо[1].

Редко можно найти мыслителя, личность которого столь ярко воплощала бы мировоззренческие принципы. Натура Сократа цельна и гармонична. Он одинаково принципиален по отношению к семье, к друзьям, к государственной власти. Рецензируемая книга содержит много интересных сведений о жизни и личности Сократа. Особенно значительным кажется анализ и опровержение так называемого сократовского «антидемократизма», тем более, что точка зрения о враждебном отношении Сократа к демократии довольно распространена в нашей литературе. Критерием оценки всяких ценностей Сократ признал человека; человек у Сократа существенно отличен от протагоровского человека, от чувственного индивида—для анализа столь сложного объекта он разработал метод самопознания.

В третьей и четвертой главах труда рассматриваются отношение Сократа к софистам и его учение о сущности философии и методе. Сократ по-новому определил предмет и назначение философии, переориентируя философию от космологии к антропологии. Хотя движение в этом направлении обычно связывают с именами софистов, но в центре

[1] См. речь Алкивиада в диалоге Платона «Пир», 221 C—D.

ეროვნული ბიბლიოთეკა

их интересов в основном осталась риторика и искусство диалектики. Вполне убедительно показывает автор различие, существующее между Сократом и софистами. Софисты уделили большое внимание форме мысли, а не ее содержанию, специфике познания, выявлению той грани, которая существует между истиной и заблуждением. Именно эта проблема — проблема истины ставится в центре исследования Сократа. Человек изучается Сократом как морально активное существо, он ставится выше материально-чувственного, земного мира; другими словами — философия с объекта космического масштаба, с небес спустилась в сферу человеческих отношений. Как писал Цицерон, если до Сократа философия исследовала, «откуда все берется, к чему приходит, — какова величина светил, расстояния между ними, пути их и прочие небесные явления», «Сократ первый свел философию с неба, поселил в городах, ввел в домах и заставил рассуждать о жизни и нравах, о добре и зле»[2].

Переориентируя философию на антропологию, Сократ вместе с тем способствовал превращению философии из чисто умозрительной деятельности в единство знания и поступков, в основу совокупности истинного познания и доброй воли к практической деятельности. Человек — цельное существо. Знание определяет ценность его поступков, а поступки, дела, в свою очередь, удостоверяют ценность знания. Эту специфику сократовского учения автор объясняет на основе социальных сдвигов в полисной системе в последней четверти V в. до н. э. и кризисом всей тогдашней культурной жизни греков.

Сократ развил рациональную точку зрения софистов о практической ценности знания. Знание, согласно Сократу, утверждает свою силу и ценность именно в непосредственной человеческой деятельности и активности. И в этом заключается причина отказа от письменного философствования, «литературного безмолвия» Сократа. Ссылками на платоновский текст автор убедительно показывает силу аргументов, приводимых Сократом в доказательство преимущества живой речи — диалога. Со своей стороны, автор книги, оценивая значение сократовской живой речи, вместе с тем вскрывает односторонность Сократа в отрицании значения письменных произведений.

В книге значительное место уделено анализу учения Сократа о методе. Вслед за общим обзором значения сократовского диалога автор довольно подробно рассматривает все основные моменты его диалектического метода (определение, индукцию, аналогию, гипотезу, иронию). Согласно Сократу диалектика является не только искусством спора, диалога (софисты), но и диалектического метода постижения истины, т. е. способом исследования понятий и установления точных определений.

Одно из центральных мест в книге занимает пятая глава, где изложено этическое учение Сократа. Это самая обширная и насыщенная глава монографии. Здесь рассматривается формула мудрости «Познай

---

2 Цицерон. Избранные сочинения, М., 1975, с. 326.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

самого себя» — в сократовском понимании, как философский принцип самопознания, направленного против «всезнайства» и практицизма софистов. Автор связывает этот принцип самопознания с майевтикой Сократа и характеризует его как поиск понятий, общих определений, постижение человеком своего внутреннего мира как высшей ценности и как заботу о своей душе, о своем назначении.

Одним из достоинств этой части книги является детальный анализ проблемы даймониона. Существуют разные толкования даймониона Сократа (в основном рационалистическое и иррационалистическое). По этому поводу высказывался и молодой Маркс, указывая на тенденцию Сократа освободиться от всего мистического и загадочно-демонического[3].

Автор находит общее в ксенофонтовской и платоно-сократовской интерпретациях даймониона и разъясняет этот феномен как «божественное» в душе, божественный голос, т. е. голос совести и разума. Даймонион рационален по существу связанный с иррациональным, с верой в божество, во внутренний голос. Философское значение даймониона автор справедливо оценивает как значительное достижение Сократа на пути искания всеобщего. Сократ открыл за субъективным, произвольным, ложным, преходящим всеобщий моральный закон, связывающий человека с другими, который дает ему возможность быть творцом своей судьбы. Согласно Сократу человек свободен лишь в той мере, в какой он познал самого себя и в состоянии сделать правильный выбор.

В книге подробно проанализирован сократовский принцип тождества добродетели и знания. Как известно, Сократ считал стремление к злу противоестественным, противоречащим природе человека. Выражением этого принципа является изречение: «Никто не делает зла по своей воле». Автор считает, что тождество знания и добродетели в учении Сократа основано на узком понимании философского знания как этического учения. В книге довольно подробно рассматривается критика вышеуказанного принципа Аристотелем и его полное отличие от платоновской точки зрения. В этой главе также анализируется толкование аристотелевских аргументов (Э. В. Ильенков, Дж. Бамброу). Автор полагает, что Аристотель хотя и искажает позицию Сократа, но он правильно критикует его интеллектуализм, который в конечном счете и для него оказался непреодолимым.

Интеллектуализм Сократа, свойственный его этике, ярко выявился и в его понимании души. Душа по Сократу—это способность мышления, умственной деятельности, основа разума. И большая заслуга Сократа в истории греческой философии, по словам Ф. Х. Кессиди, в том, что он ярко и со всей определенностью поставил вопрос об отношении души к телу в чисто философском плане. Поэтому ясно, что когда Сократ призывал к заботе о душе, он имел в виду не святость, религиозность, а мудрость, моральную интеллектуальную активность. Когда ставится вопрос о теологии, о сократовском божестве, то единственно пра-

3 К. Маркс и Ф. Энгельс. Из ранних произведений, М., 1955, с. 135.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



вильное понимание этого вопроса нужно искать в его интеллектуализме. В этом смысле можно считать, что обвинители Сократа справедливо упрекали его в отрицании народных божеств. Сократ, фактически исполняя все ритуалы, связанные с культом местных божеств, в сущности, видимо, был того мнения (согласно Ксенофонту и Платону), что бог является неличным, нечеловеческим разумом, правителем и закономерностью мира.

Основные вопросы учения Сократа рассмотрены четко и увлекательно. В этом отношении особенно привлекает внимание IV и V главы труда. В шестой главе рассказывается о судебном процессе над Сократом, а в заключительной части монографии оценивается духовное наследие Сократа в целом. В отношении заключительной части труда можно было бы пожелать следующее: как для самой книги, так и для ее читателей было бы полезнее и результативнее дополнить эту завершающую часть монографии хотя бы краткой характеристикой т. н. «сократовских школ», представители которых считали себя наследниками и последователями Сократа. Было бы желательно, чтобы читатели нашли в книге более полные ответы на такие вопросы: в какой мере удалось или удалось ли вообще последователям Сократа продолжить и развить сократовскую философию; насколько мы вправе считать их подлинными наследниками Сократа; какое место принадлежит самому преданному сократовцу Платону среди продолжателей сократовского учения, на какие проблемы обращал Платон особое внимание и, в отличие от представителей сократовских школ, что ему казалось недоказанным в учении Сократа.

Можно было бы указать и на другие проблематические аспекты философского наследия Сократа, но, конечно, в рамках одной монографии трудно охватить всю сократовскую проблематику.

Все это в плане пожеланий. Достоинство монографии Ф. Х. Кессиди в том, что она написана увлекательно, в ней проанализированы основные проблемы сократовского учения, указаны и его трудности; автор освещает и некоторые «темные» части учения древнего философа. Книга—результат долгой исследовательской работы автора, в ней в доступной и увлекательной форме изложено учение великого мыслителя прошлого, чему немало способствует эмоциональный настрой автора. Книга Ф. Х. Кессиди читается легко, с неослабевающим интересом. Следует особо отметить новизну позиции автора при рассмотрении моментов диалектического метода Сократа, в разъяснении даймониона, в выяснении отношения Сократа к демократии и др.

В целом об исследовании Ф. Х. Кессиди можно сказать, что интересной постановкой ряда сложных и спорных вопросов античной философии его книга принесет пользу и широкому кругу читателей, и специалистам-исследователям как нашей страны, так и за рубежом, всем, кто интересуется вопросами философии и культуры вообще.

Доктор философских наук, проф. **М. И. ЧЕЛИДЗЕ**
Научные сотрудники: **М. И. МАЧАВАРИАНИ, В. А. НИБЛАДЗЕ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, ქართულ ან რუსულ ენაზე. ქართულ ტექსტს უნდა ახლდეს რუსული რეზიუმე არა უმეტეს მანქანაზე დაბეჭდილი ერთი გვერდისა. წერილის მოცულობა, რეზიუმეს ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს ერთ საავტორო თაბახს (40 ათასი ასო ნიშანი); დაბეჭდილი უნდა იყოს სტანდარტის დაცვით.

წერილში გამოყენებული ნაშრომების სია დაერთოს ბოლოს, ტექსტში კი მიეთითოს რიგითი ნომერი კუთხოვან ფრჩხილებში. ავტორისეული შენიშვნები მიეთითება გვერდების მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია ნაშრომებს მიიღებს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი დაწესებულებების ან ამ დარგის აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წარდგინებით.

ჩვენი მისამართია: 380008, თბილისი 8, რუსთაველის 29,
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ფილოსოფიის ინსტიტუტი
(ჟურნალ „მაცნესათვის“)

**სარედაქციო კოლეგია**

ფასი 85 კაპ. ინდექსი 76195

650/157

ეროვნული ბიბლიოთეკა